# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №130 (2503) შაბათი, 7 ივნისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.


## გვილოცავენ

### მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

ჩემ მთავრობასთან და მთელ ესპანელ ხალხთან ერთად გულითადად გილოცავთ დღეს, როცა თქვენი ქვეყანა აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს.

კიდევ ერთხელ გისურვებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ყოველივე საუკეთესოს, პირად ბედნიერებას, აგრეთვე, მშვიდობასა და აყვავებას მეგობარ ქართველ ხალხს.

დიდი პატივისცემით, მეფე

**ხუან კარლოსი.**

### მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს სახელმწიფო დღესასწაულს – დამოუკიდებლობის დღეს.

დარწმუნებული ვარ, რომ ბელარუსის რესპუბლიკისა და საქართველოს მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ განვითარდება.

გისურვებთ, ედუარდ ამბროსის ძევ, ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მოღვაწეობაში, საქართველოს კი – მშვიდობას და აყვავებას.

პატივისცემით,

**ალექსანდრე ლუკაშენკო.**

## პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

### ბერძნული კომპანიები თანამშრომლობას გვთავაზობენ

6 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საბერძნეთის ნავთობის სახელმწიფო კომპანიის პრეზიდენტი ტერეზა ფოკიანო-მალავეტა და ბერძნული კომპანიების „პეტროლკო ლიმიტედისა“ და „სეაეაუს“ ხელმძღვანელები.

შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი, იმსჯელეს ჩვენი ქვეყნის ნავთობის რესურსებსა და განახლებადი, არატრადიციული ენერგიის გამოყენების სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე.

ბერძენმა სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი ითანამშრომლონ ქართველ კოლეგებთან როგორც ნორიო-საცხენისის მიდამოებში ნავთობის ძიება-მოპოვებაში, ასევე მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსების ათვისებაში. ტერეზა ფოკიანო-მალავეტას განცხადებით, კომპანია მზად არის საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ურთიერთსასარგებლო პროექტების რეალიზაციისათვის საჭირო თანხების გამოყოფის მიზნით იშუამდგომლოს ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა სტუმართა ინიციატივას და კონკრეტული პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

### გამომშვიდობების წინ

6 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო პოპულარული მომღერალი იოსებ კობზონი, რომელიც თბილისს თავისი ესტრადასთან გამოსამშვიდობებელი ტურნეს ფარგლებში ესტუმრა. ცნობილმა ხელოვანმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს მიღებისათვის და დაუდასტურა თავისი სრულიად განსაკუთრებული და თბილი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი, რომელსაც, როგორც თავად განაცხადა, მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი უკავშირდება.

## რეაქცია

რადიო „ბი-ბი-სი“: აფხაზეთში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, რა თქმა უნდა, შეიძლება განიხილო როგორც კერძო ინციდენტი, მაგრამ იმის ფონზე, რაც ხდება მთლიანად რუსეთის არმიაში, აგრეთვე კონფლიქტურ ზონებში თვით რუს მშვიდობისმყოფელთა მდგომარეობის ფონზე, ასეთ შემთხვევებს უაღრესად ფართო პოლიტიკური რეზონანსი ენიჭება. თბილისი უკვე დაემუქრა მოსკოვს, რომ გააძევებს რუსეთის მშვიდობისმყოფელი ძალების ნაწილებს და მათს ნაცვლად მიიწვევს უკრაინელებს. ასეთი გადაწყვეტილება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მხრივ ნამდვილი პანლური იქნება რუსეთისათვის.

## სამართალი

# ეს იყო შეთქმულება...

**ეს იყო შეთქმულება, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ხელისუფლების დასამხობად და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად,** – განაცხადა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც 1996 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმის საქმის წინასწარი გამოძიების დამთავრებას მიეძღვნა. დიახ, საერთო ჯამში ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, 1996 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი კი გახლდათ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ამ ბოროტი შეთქმულებისა, – ითქვა საჯაროდ!

„მუშა ტომებთან“ ერთად საქმე შედგება 100 ტომისაგან. გამოძიების პროცესი თითქოს გაჭიანურდა, მაგრამ არა პროკურატურის მუშაკთა გამო. პროკურატურა ჩაეტია 9 თვეში. საქმის გაცნობისას „ვადაში“ ვერ ჩაეტიენენ ბრალდებულები. თუ პროკურატურა მათ დროში შეზღუდავდა, ეს იქნებოდა უხეში პროცესუალური დარღვევა, რისთვისაც შესაძლოა სასამართლოს საქმე უკანაც კი დაებრუნებინა ხელახალი გამოძიებისათვის.

სადღეისოდ 14 პირს, რომელთა საქმეც უკვე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ბრალი ედება სამშობლოს ღალატში. შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, სწორედ სამშობლოს ღალატს განეკუთვნება. სისხლის სამართლის ეს მუხლი, გამონაკლისთა გარდა, სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებს. თუმცა... ჯაბა იოსელიანს ასაკის გამო ეს სასჯელი არ ელის. დახვრეტაზე ისედაც მორატორიუმია გამოცხადებული.

შეთქმულებაში მონაწილეობდნენ პირები სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან, „მხედრიონიდან“. იყო სხვა ძალებიც, რომლებიც შეთქმულებას მხარს უჭერდნენ ეკონომიკურადაც, პოლიტიკურადაც. გენერალური პროკურორის თქმით, თავის დროზე ყველა ეს ძალა გამჟღავნდება, ყველა შეთქმული „გაიშიფრება“. ცალკეა გამოყოფილი საქმე იგორ გიორგაძისა და კიდევ დაახლოებით 15 პირის შესახებ.

რაც მთავარია, შეთქმულები არ იყვნენ არსებულ ხელისუფლებაზე განაწყენებულები. უმრავლესობას წამყვანი პოსტები ეკავა. თემურ ხაჩიშვილი, მაგალითად, უშიშროების მინისტრის მოადგილე გახლდათ, ჯაბა იოსელიანი – პარლამენტარი, მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარე, გიგა გელაშვილი – მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელი, ზოგიერთი მათგანი მეთაურობდა უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმს ან ამ რაზმში შემავალ ერთ-ერთ რგოლს... მიუხედავად იმისა, რომ „ოფიციალურად“ ოპოზიციონერები არ იყვნენ, მათი ქმედება მიმართული იყო სახელმწიფო რეჟიმის შეცვლისაკენ. თუ ისინი სახელმწიფოს მეთაურს იმსხვერპლებდნენ, ყველაფერს ილონებდნენ და იგორ გიორგაძეს მომავალ არჩევნებში გზას გაუკაფავდნენ...

პრესკონფერენციაზე, ცხადია, იყო შეკითხვები.

*— როდის გაირკვა, რომ ეს იყო არა ტერორისტული აქტი, არამედ მცდელობა სახელმწიფო გადატრიალებისა?*

– როდესაც გამოძიებით დადგინდა, რომ ტერორისტული აქტების სერიალი მიმართული იყო პოლიტიკური მოღვაწეების, სახელმწიფოს მეთაურის ჩამოსაშორებლად, არსებული რეჟიმის შესაცვლელად...

*— რამდენად რეალურად გეჩვენებათ რუსეთის მხრიდან იგორ გიორგაძის გადმოცემა?*

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მის გადმოსაცემად. საკითხი ასედაც კი დაისვა: ან საქართველო, ან გიორგაძე... დაპირებები არის: სამწუხაროდ, მედეგი ძალზე მორსაა ამ დაპირებებისაგან...

*— თუ 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი სერიოზულად იყო მომზადებული, რატომ ვერ მიაღწია მიზანს?*

– ტერაქტს გეგმავდნენ უმაღლესი პროფესიონალები, ძალზე სერიოზულად, ძალზე კონსპირაციულად. საქმე გადაწყვიტა წამებმა – დროზე ვერ მოხერხდა აფეთქება...

*— როგორია პატიმართა მდგომარეობა?*

– დამაკმაყოფილებელია, ადეკვატურია იმისა, რაც უნდა იყოს წესითა და კანონით. ეს ბევრჯერ შეამოწმეს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ცნობილმა სამართალდამცავებმა.

*— შეიძლება სასამართლო პროცესი დახურული იყოს?*

– ამას სასამართლო გადაწყვეტს. ახლახანს უზენაესი სასამართლოდან ხუთი კაცის მკვლელი გაიქცა. უნდა ვიზრუნოთ პროცესის უსაფრთხოდ ჩატარებაზე...

*— რატომ სურთ ბრალდებულებს სასამართლოს დაწყების გაჭიანურება, რას ელოდებიან?*

– ვარაუდობენ სასამართლოს დაწყების გაჭიანურებას სექტემბრამდე, ოქტომბრამდე, ნოემბრამდე... კი, რაღაცას მართლაც ელოდებიან... თეთრ ტანკზე ამხედრებული იგორ გიორგაძის შემოსვლას... შეთქმულთა შორის ბევრია უშიშროების სამსახურის ოფიცერი. იციან, როგორ შექმნან ბარიერები: როგორ გააყალბონ ფაქტები და მოვლენები, როგორ გაავრცელონ სასურველი ვერსიები...

*— ხომ არაა მოსალოდნელი ახალი ტერორისტული აქტი?*

– „მხედრიონის“ საკმაოდ ქმედუნარიანი ნაწილი გაქცეულია. ნაწილს ჯერაც ხელთ უპყრია ძლიერი ეკონომიკური ბერკეტები. გაიხსენეთ „ნეზავისიმაია გაზეტას“ პუბლიკაციაც. არიან ძალები – ჩვენშიც და საქართველოს გარეთაც, რომლებიც ეცდებიან სიტუაციის გამძაფრებას, სასამართლო პროცესის ბლოკირებას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისათვის.

**ბონდო გულიაშვილი.**

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

**ხ. კაციტაძის II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)**

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ასურეთის რაზმის მებრძოლი **ხვიჩა კაციტაძე** დაჯილდოვდეს II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

**ვ. ანასტასიადის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აქტიური საქმიანობისათვის გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ რედაქტორი ვადიმ ანასტასიადი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## შევეწიოთ!



დღეს ვერავის გააკვირვებ გაჭირვებაზე საუბრით, მაგრამ სრულიად საქართველოში უკვე დადგა ჟამი შენებისა. სწორედ ამას მოწმობს წმინდა სამების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის შემომწირველთა სიმრავლე. სრულიად საქართველო, მშენებლობის ფონდი გულწრფელ მადლობას უხდის მათ, ვინც ტაძრის მშენებლობას შეეწევიან.

ხოლო მათ, ვისაც სურვილი და საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში, გაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს.

საქართველოს ბანკი

ეროვნული ვალუტის ანგარიშები № 003700076, მფო 521017

საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 501070635

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში. ბანკის მისამართი: პუშკინის ქუჩა № 3

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელ: 99-54-51; 99-06-43; 99-63-03; 99-70-14; 93-31-69, 99-80-26; 99-81-91.

მისამართი: რუსთაველის 29.

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ფსიქიატრიული საავადმყოფო | – 180 ლარი; |
| ირაკლი ჯიქურაშვილი | – 50 ლარი; |
| ნ. მოსიაშვილი | – 130 ლარი; |
| მელანო მელიაშვილი | – 4 ლარი; |
| საქართველოს ყულაბა „საქართველოს ბანკი“ | – 180 ლარი და 5 თეთრი; |
| ოჯახმა რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამოცხადება | – 260 ლარი; |
| კ. ნავაძე | – 30 ლარი; |
| ნ. ნავაძე | – 30 ლარი; |
| გ. ნავაძე | – 40 ლარი; |
| ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ ურთიერთობათა კომიტეტი | – 15 ლარი 53 თეთრი; |

## ანონსი

**ხვალ, 8 ივნისს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდება ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ლატარიის – „მომავალი საქართველოსთვის“ – 1997 წლის 26 მაისის გათამაშების ცხრილი.**

## ინფორმაცია

### კვლავ დავით გარეჯის პოლიგონის გამო

ბარეჯის უნიკალური კომპლექსი უნდა შევინარჩუნოთ, მაგრამ არც ეროვნული არმიის ინტერესები უგულებელვყოთ – აი, მთავარი დასკვნა იმ საგანგებო, საკონსულტაციო თათბირისა, რომელიც გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით გაიმართა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, ქართული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, პარლამენტარები, მწერლები.

პრეზიდენტის დავალებით უახლოეს დღეებში შეიქმნება სახელმწიფო კომისია, რომელიც ამ პრობლემის ყველა წვრილმანს შეისწავლის.

თათბირის სრულ ანგარიშს შემოგთავაზებთ.

### სანქტ-პეტერბურგში, ასამბლეაზე

7-9 ივნისს სანქტ-პეტერბურგში გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგი პლენარული სხდომა და თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს ერთობლივი სხდომა. ფორუმში მონაწილეობის მისაღებად 6 ივნისს საპარლამენტო დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით სანქტ-პეტერბურგს გაემგზავრა.

### რუს ხელოვანთა ვიზიტებს უკრაინელები აფინანსებდნენ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა და რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფელიქს სტანევსკიმ ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში გაცვლების პროგრამას.

პროგრამის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სპორტულ დაწესებულებათა შორის პირდაპირი კავშირების განვითარებას, მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა კონტაქტების გაღრმავებას, ახალგაზრდების გაცვლის საკითხის მოწესრიგებას.

პროგრამის ხელმოწერის ცერემონიაზე ფელიქს სტანევსკიმ გაოცება და სიხარული გამოხატა იმის გამო, რომ აქამდე საქართველოში ჩამოსული რუს კულტურის მოღვაწეებს უკრაინული ბანკები აფინანსებენ. თუმცა, მისი აზრით, დროა რუსეთის ბანკებმაც „გამოახილონ თვალი“.

### აფხაზეთთან დაკავშირებით აშშ პოლიტიკა უცვლელია

„აშშ საელჩოს არანაირი წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ გაუკეთებია, რომელშიც მხარს უჭერს აფხაზეთის დამოუკიდებლობას“, – განაცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოში ამერიკის საელჩოს კულტურისა და პრესის ატაშემ ომი კერიმ.

ამ განცხადების მიზეზი გახდა გაზეთ „მსგეფსში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ვაშინგტონმა თბილისს აფხაზეთის პრობლემის იმდაგვარი გადაწყვეტა შესთავაზა, რომელიც სეპარატისტული რეჟიმის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას ითვალისწინებს.

### დევნილთა ბედით დაინტერესდა

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ყოფილი წარმომადგენელი აფხაზეთში ტერე ბორიზანი, რომელიც ამჟამად ბელორუსიაში გაეროს მისიას ხელმძღვანელობს, ბელორუსიაში მყოფ აფხაზეთიდან დევნილთა ბედით დაინტერესდა.

მის მიერ ქალაქ გროდნოში გახსნილ სპეციალურ ჯგუფებში აფხაზეთიდან დევნილ ქართველ ბავშვებს საშუალება აქვთ ისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.

### ფელიქს სტანევსკი თავს იკავებს

რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოში ფელიქს სტანევსკიმ უკანასკნელი კვირის განმავლობაში რუსეთის ელექტრონული მასმედიის მიერ რუსეთ-საქართველოს შორის ვითარების ხელოვნური დაძაბვის კომენტარისაგან თავი შეიკავა. „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში გაირკვა, რომ მას კარგად ესმის რუსეთის პოლიტიკოსთა გაღიზიანების მიზეზი, რომელიც საქართველოს პარლამენტის აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნას უკავშირდება. მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება ძალაში შევიდეს 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

„ჩემი საჯარო გამოსვლა შეიძლება მომგებიანიც იყოს და შეიძლება პირიქით“, – განაცხადა ფელიქს სტანევსკიმ.

### საბაჟო კანონის გამკაცრებამ ბიუჯეტს არგო

ქვეყნის ბიუჯეტში საბაჟო სამსახურის მიერ შეტანილი თანხის 60 პროცენტი თბილისის საბაჟოზე მოდის. გასულ წელს დედაქალაქის საბაჟოს სამსახურმა სახელმწიფო ხაზინაში 43 მილიონ 600 ათასი ლარი, ხოლო წლეულს 5 თვეში 40 მილიონ 100 ათასი ლარი შეიტანა. ეს კი ტვირთბრუნვის მკვეთრმა ზრდამ და საბაჟო კანონის გამკაცრებამ გამოიწვია.

### აჭარაში თბოელექტროსადგური აშენდება

აჭარაში თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განხორციელების საკითხი განიხილეს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ და თურქეთის კორპორაცია „ანადოლუსის“ პრეზიდენტმა ოქან თაფანმა გუშინ ბათუმში გამართულ შეხვედრაზე.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა“, „იბერიამ“ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

## უკანასკნელ საათს

ჰოპარბალა. გუშინ ჩეჩნეთში გაათავისუფლეს მძევლად აყვანილი ჟურნალისტები – ზაგნოიკო, არხიპოვი, ზელცერი, მამულაშვილი, რომლებიც 3 თვეზე მეტ ხანს ჰყავდათ დაკავებული გამტაცებლებს. როგორც რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივანე რიბკინმა განაცხადა, ჟურნალისტთა გათავისუფლება იჩქერიის პრეზიდენტის ასლან მასხადოვისა და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის პოლიტიკური ნების წყალობით მოხდა. დღედღეზე მოელიან НТВ-ს კორესპონდენტების გათავისუფლებასაც, რომლებიც მაისში დაატყვევეს.

პეტერბურგი. რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ბორის ელცინი პუშკინის დაბადების დღესთან დაკავშირებით ეწვია რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქს. შეხვდა პეტერბურგის მერს ვლადიმერ იაკოვლევს, ლენინგრადის ოლქის გუბერნატორს ვლადიმერ გუსტოვს, ქალაქის მშრომელებს.

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ავღანეთში გრძელდება სამხედრო დაპირისპირების ესკალაცია. საბჭოს წევრებმა მხარეებს მოუწოდეს დაუყოვნებლივ დაიწყონ პოლიტიკური დიალოგი, ხოლო ყველა სახელმწიფოს მიმართეს, თავი შეიკავონ ავღანეთის საშინაო საქმეში ჩარევისაგან.

რაბათი. ოფიციალური წყაროების ცნობების თანახმად, ალჟირში გამართულ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 10,6 მილიონმა კაცმა, ანუ ამომრჩეველთა 66 პროცენტმა.

ლონდონი. ბრიტანეთის ახალი მინისტრთა კაბინეტის მეთაური ენტონი ბლერი, რომელმაც ქვეყნის ლეიბორისტული პარტია საყოველთაო არჩევნების დროს დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანა, შეერთებული სამეფოს ისტორიაში ყველაზე პოპულარულ პრემიერად არის აღიარებული. როგორც გუშინ აქ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრით გამოკითხვიდან ჩანს, რომელიც სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტმა „გელაპმა“ მოაწყო, ტონი ბლერი ეყრდნობა ბრიტანელთა აქამდე არნახული რიცხვის – ქვეყნის მოსახლეობის 82 პროცენტის მხარდაჭერას.

## ენერგეტიკა

# ბიუჯეტს „საწვავი“ არ სჭირდება?

არაოფიციალური მონაცემებით, თბილისში დღე-ღამის განმავლობაში 600 ტონა საწვავი იყიდება. სწორია თუ არა ეს ციფრი, დღეს დანამდვილებით ვერავინ გიპასუხებთ. სამაგიეროდ, ყველამ იცის, რომ თბილისში 250-ზე მეტი რეგისტრირებული ბენზინგასამართი სადგურია. თუ, რასაკვირველია, არ ვიგულისხმებთ ათობით აღურიცხავ მოხალისე გამსაღებელს.

ყველამ ისიც კარგად იცის, რომ ხარისხიანი ბენზინის ყიდვა ამ სადგურებში თითქმის შეუძლებელია.

შესაძლებელი სხვა რამაა – დიდი მოგების მიღება გადასახადისთვის თავის არიდების გზით.

წერეთლის პროსპექტზე სოცუზრუნველყოფის სამინისტროს წინ მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ა. გ.“-ს ბენზინის წერტში (ოპერატორი – კახა შარიქაძე) არ ჰქონდათ საწვავის მარკის აღმნიშვნელი რეკლამა, რეალიზაცია კი ხდებოდა შპს „ტაბასთვის“ გაცემული სერტიფიკატით (?!). ქსნის ქუჩაზე საწვავს მარკირების აღუნიშნავად ჰყიდდა აგრეთვე შპს „პაიჭის“ (დირექტორი – თამაზ პაიჭაძე) ოპერატორი ელიზბარ არსენაშვილი. „სამთოქიმიის“ ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „უნომი“ (დირექტორი – გოჩა ბოტკოველი) ოპერატორი კონსტანტინე მოვსესიანი კი მომხმარებლებს შესაბამისი მარკირების გარეშე ორი სახის საწვავს (95-ს და „NORMAL“-ს) სთავაზობდა, რითაც მან უგულებელყო სახსტანდარტის მოთხოვნა. აქვე უსერტიფიკატოდ იყიდებოდა ნავთი და დიზელის საწვავი. ვახუშტის ქუჩაზე № 5-ში მდებარე შპს „მელანში“ გასაყიდად გამზადებული ორი სახის საწვავზე არ ჰქონდათ სათანადო სერტიფიკატი. ოპერატორმა გოჩა აქიაშვილმა შემმოწმებლებს მხოლოდ მომწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი წარუდგინა. არ ჰქონდათ პროდუქციის მარკის აღმნიშვნელი ნიშანიც. ასეთივე მდგომარეობა იყო წერეთლის პროსპექტზე № 141 ა-ში მდებარე შპს „ბარაკონში“ (პასუხისმგებელი პირები – თემურ კაპანაძე და მალხაზ კოპაძე).

თითქმის ყველა შემოწმებულ ავტოგასამართ სადგურში ირღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს ჯარიმას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით ან უამისოდ.

ეს – ცნობისათვის.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**





### მორიგე რედაქტორის რეპლიკა

დარღვევაა, რაც ავტოგასამართ სადგურებში ხდება.

ტრაგედია კი ის არის, როცა ასეთი ბიჭები, როგორსაც გიორგი ცაგარელის მიერ გადაღებულ ფოტოზე ხედავთ, იძულებული ხდებიან ჩაიხედონ უფროსების მრუდე სარკეში. მათი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მსოფლმხედველობა ითვისებს იმას, რასაც ხედავს.

ხედავენ სიმრუდეს და აღიქვამენ, როგორც სწორსა და მართალს. თვითონაც ასეთი წესით იწყებენ ცხოვრებას.

რა იქნება ხვალ?

**ბონდო მძინარაშვილი.**

პროკურატურაში

# კვლავ თურქეთის კრედიტის შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის თავმჯდომარეობით პროკურატურაში გაიმართა გაფართოებული შეხვედრა თურქეთის კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობდნენ თავად პროკურატურის, კონტროლის პალატის, ფინანსთა, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები.

ორი კვირის წინათ ამავე შემადგენლობით გამართულ პირველ თათბირზე ხაზგასმით ითქვა, რომ ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რამდენად კანონიერად გაიცა ეს კრედიტები, ვისი მიზეზით იქნა შემოტანილი უხარისხო საქონელი თურქეთიდან, ვინ მოაწერა ხელი კონტრაქტს და სხვა.

შეხვედრამ ცხადყო, რომ საქმის გამოძიებაში გარკვეული წინსვლა იგრძნობა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფრის დადგენა ვერ ხერხდება რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო.

მთლიანობაში თურქეთის კრედიტი 50 მილიონ დოლარს შეადგენს. იგი გაიცა რამდენიმე ორგანიზაციასა და ფირმაზე. დღეისათვის მათგან თითო-ოროლა ჩანს გადახდისუნარიანი. ერთ-ერთის საქმე იხილება ანკარის სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხარე მართალია, ამ საქმის ბოლომდე მიყვანას საკმაოდ დიდი ხარჯები სჭირდება. ითქვა ისიც, რომ დღეს მთელი კრედიტი ფინანსთა სამინისტროს აწევს მხრებზე. იგია მისი უფლებამონაცვლე და ამიტომაც სთხოვა გენერალურმა პროკურორმა ამ უწყებას განსაკუთრებული მხარდაჭერა. ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა იმის განსაზღვრა, არის თუ არა აქ თანამდებობრივი დანაშაული.

მონაწილეთა თქმით, მთლიანობაში ეს არის კომპლექსური სამუშაო. ამიტომ მასალები უნდა შეჯერდეს და შემდეგ ერთად შეფასდეს. გამოიკვეთა ისიც, რომ საქმე შეიძლება საარბიტრაჟო სასამართლოს განსარჩევი გახდეს.

გადაწყდა — საბოლოო დასკვნითი შეკრება ორი კვირის შემდეგ გაიმართოს.

პური ჩვენი არსობისა

# ვინც კანონს არღვევს – მუშაობს, ვინც იცავს – კოტრდება.

საქართველოში პურის ფასების ლიბერალიზაციამ რომ წარმატებით ჩაიარა, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ პურის ცხობაში მეტად რთული და გაუგებრობამდე მისული სიტუაცია რომ შეიქმნა, ესეც ფაქტია. დღეს ჩვენს დედაქალაქში ერთ ქუჩასაც კი ვერ იპოვით, რომ იქ პურის საცხობი არ იყოს გახსნილი. კერძო სახაბაზოები მუშაობს სადარბაზოებში და გარაჟებში, სარდაფებსა და ბარაკებში, პოლიკლინიკებში და საავადმყოფოებში, აბანოში, სტადიონზე და კინოსტუდიაში. როგორც გავიგე, თურმე ზოოპარკშიც კი გაუხსნიათ პურის საცხობი, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკეულ ქარხნებსა და ფაბრიკებზე, სადაც წლების მანძილზე ზოგან მომწამლავი ქიმიური ნივთიერებები მუშავდებოდა.

და ამის მიუხედავად, როცა თბილისში მხოლოდ სახელმწიფო პურის ქარხნები მუშაობდა, ქალაქში დღეში საშუალოდ 350-450 ტონა პური ცხვებოდა. დღეს კი, როცა ლიცენზირებასა და სერთიფიკაციაზე 3000-მა საცხობმა გააკეთა განაცხადი და ამდენი ქარხანა და კერძო სახაბაზო მუშაობს, დღეში მხოლოდ 200 ტონა პური ალირიცხება. დანარჩენი სად მიდის?!...

ამას წინათ საქართველოს საგადასახადო სამსახურში გამართულ თათბირზე ითქვა, რომ მსხვილი პურის ქარხნები ბიუჯეტის წინაშე პირნათელნი არიან (გადასახადებს ყოველთვის დროულად იხდიან), მაგრამ სხვები? თუ ასე გაგრძელდა, მდგომარეობა გადასახადებთან დაკავშირებით დაიძაბება, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა და ნორმალური პური გაქრება (ქუთაისისა და რუსთავის მაგალითი სწორედ ამაზე მიგვანიშნებს). ზოგს ჰგონია, თუ ცომსაზელი და ღუმელი იშოვა, მაშინვე პურის ცხობა უნდა დაიწყოს. საერთოდ არ ითვალისწინებენ ელექტროენერგიის, ნედლეულის, სანიტარიის და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ავიღოთ, მაგალითად, ნაძალადევის რაიონი. აქ, გარდა იმისა, რომ კარგი ტრადიციების მქონე ორი დიდი პურის ქარხანა (120 და 50 ტონა პურის წარმოების) მუშაობს, დამატებით კიდევ 40 პურის საცხობი გაიხსნა. ესეც არ იკმარეს, ამჟამად მშენებლობის პროცესშია 1 დიდი და 10 მცირე ზომის პურის საცხობი. მათ მესვეურებს, დარწმუნებული ვარ, გათვითცნობიერებულიც კი არა აქვთ საგადასახადო ვალდებულებები, ენერგეტიკული, ტექნიკური საშუალებებისა და კომუნიკაციების მდგომარეობა. ყველას ახსოვს, პურის ქარხნების გამხოლოება როგორი ვაივაგლახითა და დიდი ძალისხმევით მოხდა, კერძო საცხობები კი არაფერს დაგიდევენ და სოკოებივით მრავლდებიან. ასეთ პირობებში, რა ჯანსაღ კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი. ვინც კანონს არღვევს – მუშაობს, ვინც კანონს იცავს – კოტრდება...

უფრო ხშირად ყოფილ სახელმწიფო პურის ქარხნებს გვემოწმებენ, ჩვენგან მოითხოვენ ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას, გადასახადების დროულ გადახდას, სანიტარიული წესების დაცვას. რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ რატომ ასევე არ მოითხოვენ კერძო სახაბაზოებისაგან? მათ ხომ ხშირად ხელის დასაბანი ონკანიც კი არა აქვთ! იგივე ითქმის ლიცენზირებასა და სერთიფიკაციაზე, რაც ჩვენს კონკურენტ მეხაბაზეებთან რატომღაც უმტკივნეულოდ ჩაატარეს.

კონკურენცია რომ ჯანსაღი იყოს, ხმას არ ამოვიღებდით, მაგრამ აბა ნახეთ, რა ხდება. სახაბაზოებმა იციან, რომ ხალხი ქარხნების მიერ გამომცხვარ „ძირის პურს" ეტანება და პლაგიატობა დაიწყეს. ახლა „ძირის პური" სავაჭრო ქსელში შედის როგორც პურის ქარხნებიდან, ისე სახაბაზოებიდან. მათი ღირებულება ერთნაირია, მაგრამ წონაში განსხვავებაა (სახაბაზოების გამომცხვარი ნაკლები წონისაა). ეს არ იცის მოსახლეობამ და ცდება. ყველას მიაჩნია, რომ „ძირის პურს" აცხობენ მარტო პურის ქარხნები, სახაბაზოები კი მხოლოდ „ქართულ" ან „შოთის" პურს.

მსგავსი პრობლემები იყო მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, რიგაში. იყო შემთხვევები, როცა კერძო სექტორის მიერ შეტანილ ფქვილში მღრღნელების ჩხირები აღმოაჩინეს, უხარისხო პურის ცხობის, ფალსიფიკაციის, სანიტარული ნორმების დარღვევების უამრავი ფაქტი გამოავლინეს. იქ უმკაცრესი ზომები გატარდა და ასეთი ტიპის საცხობები მინიმუმამდე შემცირდა. პურის ქარხნებს მეტროს სადგურებთან გამოუყვეს ადგილები, სადაც სპეციალიზებული მანქანებიდან იყიდება ცხელი პური, ჩვენთან კი მეტროს სადგურებთან კერძო პირებს ტომრებით მოაქვთ პური და ისე აჩეჩებენ მოსახლეობას. ჩვენ შევეცადეთ კეთილმოწყობილი მანქანით გაგვეყიდა პური, მაგრამ რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მისი ადგილი არსად აღმოჩნდა, გვითხრეს, გამგეობის ნებართვა მოიტანეთო, და ეს მაშინ, როცა ამავე ტერიტორიაზე უამრავი ხელით მოვაჭრე ყიდის გაურკვეველი წარმოშობის პროდუქციას.

მოვიდა ზაფხული. გამორიცხული არ არის, რომ ასეთმა მოუწესრიგებელმა პურის ცხობამ და ვაჭრობამ სხვადასხვა დაავადებების გავრცელების საშიშროება შექმნას. დროა დავიწყოთ ცივილიზებული წესით ცხოვრება.

**მალხაზ დოლიძე,**

სს თბილისის № 4 პურის ქარხნის დირექტორი, ნაძალადევის რაიონის გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე.

ენერგეტიკა

## თბილისის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი 1997 წლის ივნისის თვეში (ენგურჰესის გაჩერების პერიოდში)

ქვესადგურები: „მთაწმინდა", „ბაგები", „სოლოლაკი", „თეცი", „საბურთალო I", „საბურთალო II", „საბურთალო III", „ნუცუბიძე", „დიღომი I", „ნაძალადევი", „ორთაჭალჰესი", „სანაპირო", „დინამო", „დიდუბე". ჩაირთვება ქვემოთ აღნიშნული გრაფიკით:

| საათები | ივნისის თვე რიცხვების ჩვენებით | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.00-15.00 | 2; | 5; | 8; | 11; | 14; | 17; | 20; | 23; | 26; 29 |
| 18.00-21.00 | 1; | 4; | 7; | 10; | 13; | 16; | 19; | 22; | 25: 28 |
| 21.00-24.00 | 3; | 6; | 9; | 12; | 15; | 18; | 21; | 24; | 27; 30. |

ქვესადგურები: „ავშნიანი", „მუხიანი", „ცენტროლიტი", „მახათა", „ზღვისპირეთი", „არსენალი", „გლდანი 220", „დიღომი II", „ღრმაღელე", „აბრეშუმი". ჩაირთვება ქვემოთ აღნიშნული გრაფიკით:

| საათები | ივნისის თვე რიცხვების ჩვენებით | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.00-15.00 | 3; | 6; | 9; | 12; | 15; | 18; | 21; | 24; | 27; 30 |
| 18.00-21.00 | 2; | 5; | 8; | 11; | 14; | 17; | 20; | 23; | 26; 29 |
| 21.00-24.00 | 1; | 4; | 7; | 10; | 13; | 16; | 19; | 22; | 25; 28 |

ქვესადგურები: „ორხევი", „ნავთლუღი II", „ვარკეთილი", „მცირე ნავთლუღი", „ფონიჭალა", „ავლაბარი", „დიდი ნავთლუღი", „აეროპორტი", „ლილო I" „ლილო II", „ლილო III". ჩაირთვება ქვემოთ აღნიშნული გრაფიკით:

| საათები | ივნისის თვე რიცხვების ჩვენებით | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.00-15.00 | 1; | 4; | 7; | 10; | 13; | 16; | 19; | 22; | 25; 28 |
| 18.00-21.00 | 3; | 6; | 9; | 12; | 15; | 18; | 21; | 24; | 27; 30 |
| 21.00-24.00 | 2; | 5; | 8; | 11; | 14; | 17; | 20; | 23; | 26; 29 |

შენიშვნა: შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიძლება აღნიშნული საათების გარდა, დამატებით მიეწოდოს ძაბვა მოსახლეობას.

ვითხოვ სიტყვას

# „კორუფციასთან ბრძოლის კომისიამ შენს მეტი ვერავინ ნახა?"

**ყველაზე დიდხანს ამ წერილის სათაურზე ვიფიქრე. უცებ ჩემი ერთი ახლობლის, რომელმაც ჩემი ცხოვრების წესი დეტალურად იცის, შეკითხვა გამახსენდა და სათაურად ის წავუმძღვარე.**

**უკვე რამდენი ხანია პრესის, ძველი და ახალი პარლამენტის, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანია საქართველოს ვალები. ამ მსჯელობაში ძალიან დიდია დილეტანტიზმის ხვედრითი წილი, გაცილებით ნაკლებია ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი. ერთ პატარა ცხრილს მოგაწვდით:**

| საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წლები | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 |
| ექსპორტი | 266,6 | 457 | 380 | 154,4 | 372 |
| იმპორტი | 644,5 | 905,3 | 743,9 | 379 | 685 |
| — | -378 | -448 | -363 | -221 | -313 |
| საშუალოდ 2-2,5-ჯერ ჭარბობს იმპორტი ექსპორტს. | | | | | |

დიდი ეკონომისტობა არაა საჭირო, რომ გაიგო, ქვეყანას, რომელსაც ასეთი ექსპორტ-იმპორტის ბალანსი აქვს, ამავე დროს არ გააჩნია ისეთი სასიცოცხლო პროდუქცია და ნედლეული, როგორიცაა პური, მარილი, შაქარი, არ ყოფნის თავისი ენერგეტიკული რესურსი, ჩართულია სამოქალაქო თუ ეთნიკურ ომში, ქარხნები არ მუშაობს, ბიზნესმენს და მეწარმეს გზაზე შიშით ვერ გაუვლია, ან უნდა მოკვდეს შიმშილითა და სიცივით, ან, თუ ასეთი კეთილი მეზობელი გამოეჩენდება, საგარეო ვალი უნდა აიღოს. სწორედ ასე მოხდა 1992-95 და შემდგომ წლებშიც. ქვეყანამ კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო. ახლა ადვილია ძველი აღმასრულებელი ხელისუფლების ლანძღვა.

დიდი თემაა... მოკლედ გეტყვით. მამინდელმა მთავრობის პრაქტიკოსმა ხელმძღვანელებმა სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ყველაფერი გავაკეთეთ ქვეყნის გადარჩენისათვის. მე მინისტრად ერთი ლევიზით მოვედი: „ვეცდები ხალხი ბიოლოგიური სიკვდილისაგან გადავარჩინო-მეთქი". სწორედ ამიტომ ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ხალხს მყიდველუუნარო კუპონებზე შეეძლო ეყიდა გაზი, პური, შაქარი, მარილი, აუცილებელი მინიმალური ცხიმეული.

ჩემი ცხოვრების წესი ვახსენე. 1974 წელს მოვედი სამეურნეო სამუშაოზე, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ტალღაზე. ბოლომდე განვახორციელე ეს პრინციპი. დღემდე მასივში 9-სართულიან სახლის მე-8 სართულზე სახელმწიფო ბინაში ვცხოვრობდი და დღესაც იქ ვცხოვრობ. სხვა რაიმე ქონება არც ფარული და არც ხილული არ გამაჩნია. ჩემი ერთადერთი შვილი, რომელმაც სკოლა ოქროს მედალზე, ხოლო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა, ისე დაჭაბუკდა, მამისა და დედისათვის ფული მომეცი არ უთქვამს, მისი ტერმინი იყო „ბაბუ, ფული მომეცი". არც მეუღლის და არც ჩემს ოჯახს სიამისო არაფერი ჭირდა, მექრთამეობა დამეწყო. ამიტომ ჩემი მთავარი კოზირი იყო „პატიოსნება და პროფესიონალიზმი". ამ პრინციპით ვიმუშავე მინისტრობის დროსაც. მაგრამ, როგორ შეტრიალდა ყველაფერი! ბედის ირონიაა, როცა თურქმენეთის გაზთან დაკავშირებით ჩემს კორუმპირებულობაზე ეჭვი ეპარებათ!

ჩვენი სამინისტრო გაზს არც ყიდულობდა და არც ყიდდა.

1994 წლის 27 იენისს თურქმენეთის ოთხი ვიცე-პრემიერი და ამდენივე მინისტრი მოულოდნელად ჩამოვიდნენ ულტიმატუმით: ან გადაიხადეთ ფული, ან ხვალიდან გაზს საბოლოოდ შეგიწყვეტთო. ამ დროისთვის ბატონ ედუარდის თხოვნით თურქმენეთმა უკვე რამდენჯერმე გადაგვივადა ვალის გადახდა. სახელმწიფოს მეთაურმა მთავრობას დაავალა საკითხის მოგვარება: „მეტი მათხოვრობა აღარ შემიძლიაო", თქვა მან. ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რა შედეგი მოჰყვებოდა ზამთრის წინ მოსახლეობისათვის და საწარმოებისათვის გაზის შეწყვეტას. რადგან გამიჭირ (მკრეხელობად ნუ ჩამითვლით, 12 კაცია მოწმე) იმასაც გეტყვით, მაშინ ქვეყანა ჩემმა გამოცდილებამაც გადაარჩინა. როცა თურქმენებს საქონლით ყოველთვიური ანგარიშსწორება შევთავაზე, ხოლო საგრანზიტო ვალის დოლარებით გადახდაზე კატეგორიულად ვუთხარი, რომ ქვეყანას ვალუტა არ გააჩნია, რომ სავალუტო ფონდს თუ უარს ვეტყვით თავის პირობებზე, შეიძლება საერთოდ საქართველო გადახდისუუნარო გახდეს და თქვენს ვალს ვერასოდეს გავისტუმრებთ მეთქი.

ისინი ამ წინადადებას დასთანხმდნენ. მაშინ ქვეყანა გადარჩა. შემდგომ თუ ვალების გადახდაში კერძო სტრუქტურები ჩაერთვნენ (მიზანი კეთილი იყო, ჩემი სკეპტიკურობის მიუხედავად ამ პროცესის წინააღმდეგი ვერ წავედი) და მათ რაიმე კრიმინალი აქვთ ჩადენილი, ეს ძიების საქმეა. მე მზად ვარ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ყოველმხრივ დავეხმარო მათ.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის დასკვნებში ბევრი არასწორი ფორმულირებაა. მურთაზ ზანკალიანს ქრთამის აღება და გაცემა არასოდეს არ შეეძლო და არც ახლა შეუძლია, – თუ დანაშაული მაქვს ჩადენილი, გამოძიება თუ არაფერს მაპატიებს, ქვეყანა „ჩალით" არ არის დახურული. მადლობა ღმერთს, დღეს პოლიტიკური ინტერესებით, „ზევიდან" დაწოლით თეთრის შავად წარმოჩენა ძნელია.

დღეს სიტყვა „კრედიტი" კორუფციასთან არის გაიგივებული. უმეცრებაა, ბატონებო, ეს შეხედულება. საბაზრო ეკონომიკაში კრედიტის გარეშე ერთი ოპერაციაც ვერ განხორციელდება. ფირმა, რომელიც ახალ ოპერაციას იწყებს, ძველი ოპერაციიდან მიღებული შემოსავლიდან აკრედიტებს ამ პროცესს. კაპიტალიზმში ბანკები და წარმოება ერთი მთლიანი პროცესია.

სამინისტროს თურქეთის კრედიტზე ედავებიან. ბევრმა ისიც არ იცის, რომ თურქეთს ჩვენთვის ერთი დოლარიც არ გამოუყვია კრედიტით. ეს სასაქონლო კრედიტი იყო. თურქეთმა თავის მეწარმეები დააკრედიტა.

ჩვენ კი მათი უმძიმესი პირობებით თურქეთში დამზადებული საქონელი შემოვიტანეთ. სასაქონლო კრედიტი მამინდელმა მთავრობამ აიღო (სამინისტროებსა და უწყებებს, უბრალოდ, გავინაწილეს). პირველი, ვინც ამ კრედიტის პირობების გაცნობის შემდეგ უარი თქვა (სხვებს მიემართე – ღმერთმა მოგახმაროთ-მეთქი), მე ვიყავი. ამის ცოცხალი მოწმეები არიან.

რატომ დავუბრუნდით მას ექვსი თვის შემდეგ? იმიტომ, რომ ევროგაერთიანების დახმარებით 1993 წელს საქართველოს ყველა მოსახლეს კუპონებზე შეღავათიანი ფასებით ეძლეოდა ყოველთვიურად თითო კილო შაქარი, ქალაქის მოსახლეობას – კარაქი, ან მარგარინი, ზოგჯერ – ზეთი და ხორციც. მამინდელი ვაჭრობის სამინისტრო პასუხისმგებელი იყო ქვეყნის მოსახლეობის წინაშე ცარიელი ბაზრის შევსებაზე, ყველა სახის ჯარების მომსახურებაც ჩვენს კისერზე იყო. სხვათა შორის, ომის დროს ჩვენს ჯარს არ მოკლებია პური, ხორცი, კარაქი, მარილი, ასანთი, სიგარეტი, თეთრეული, ფეხსაცმელი. ეს ჩვენი სამინისტროს საქმიანობის შედეგი იყო.

როცა დავინახეთ, რომ 1994 წლისათვის ევროგაერთიანებამ და სხვა დონორებმა ორჯერ და მეტად შეგვიმცირეს დახმარება, რომელიც მხოლოდ პურით ჩვენი მომარაგების ექვსი თვის ნორმა იყო, ქვეყნის მეთაურთან და მთავრობასთან შეთანხმებით დავიწყეთ ფიქრი სხვა, თუნდაც უძნელეს კრედიტებზე. ამიტომ ჩემი ნების წინააღმდეგ დავუბრუნდით თურქეთის კრედიტს. (სხვათა შორის, ის 41,5 მილიონია ათვისებული და არა 50 მილიონი, როგორც ამას ხშირად წერენ. ესეც მის სიმძიმეზე მეტყველებს). ამ კრედიტით 14,5 მილიონის ხორბალი და ცხიმია შემოტანილი, რომელიც მოსახლეობას ნორმირებულად მიეცა. ჩვენი პროგრამით შემოტანილი სამრეწველო საქონლით (127 დასახელება) ვგონდოდა გადაგვეფარა 1,2 მლნ დოლარის საბუტერბროდე მარგარინის ღირებულება, რომელიც კუპონებზე იაფად, ნორმირებულად მიეეცით მოსახლეობას, მაგრამ ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც გვინდოდა.

საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით (ჩვენ მაშინ სხვა გზა არ გვქონდა, სხვანაირად დავილუპებოდით) თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოდელი აირჩია, რითაც თურქ მეწარმეებს მიეცათ საშუალება ფიქტიურად საწარმოო, ან საბითუმო ფასით შემოეტანათ ჩვენს ბაზარზე იგივე საქონელი, რომელმაც ჩვენი საქონელი „ჩააწვინა". საქართველოს სოციალიზმის დროს ყოველწლიურად საკავშირო ფონდებით ასი ათასი სხვადასხვა მაცივარი შემოჰქონდა (ყოველი ოჯახი 15-20 წელიწადში ცვლის მაცივარს) და არ გვყოფნიდა, ჩვენ კი იტალიელების მიერ თურქეთში დამზადებული სამი ათასი უმაღლესი კლასის მაცივარი შემოვიტანეთ, მაგრამ არ გაიყიდა: არც მაცივარი სჭირდებოდა ხალხს, არც მსყიდველობითი უნარი გააჩნდა.

ვინ დამარწმუნებს იმაში, რომ საქართველოს სოფლებში მსოფლიო ფასთან 5-ჯერ იაფი ჩინური, უმაღლესი კლასის ტრაქტორი „სინტაი" (ჩვენ სამინისტროს მის შემოტანაში მონაწილეობა არ მიუღია) არ სჭირდება?! მისი ჩაწოლა ჩვენი ქვეყნის უბედურების შედეგია, ეს ჩვენი დამოუკიდებლობის საზღაური უფროა, ვიდრე რომელიმე დიდი თუ პატარა ჩინოვნიკის შეცდომა.

საქართველოში 4-5 კაცმა თუ იცის, მთელი გენეზისი საგარეო ვალებისა. მე, როგორც მთავრობის წევრმა, ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ ვალების საკმაოდ დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, ჩვენი „პოლიტიკური" ვალია.

ვინმემ იცის დღეს, რომ რუსეთის ვალებიდან 137 მლნ დოლარი საქართველოში 1961 წლიდან 1992 წლის 6 ივნისამდე ემისიით შემოსული საბჭოთა მანეთია, რომელიც სამანეთო ზონიდან გამოსვლის შემდეგ აღარ დაგვიბრუნებია?

1992 წლის ბოლოს 1993 წლის დასაწყისში ეს ფული საქართველოდან უკვე „გაწოვილი" იყო ან მოსახლეობის ჯიბეში იდო. სახელმწიფო ხაზინა ცარიელი იყო. ხელფასებს ვერ გავცემდით, ამიტომ სასწრაფოდ მოგვიხდა კუპონის შემოღება. დიდი თემაა. აქ მეტს ვერ გავაგრძელებთ. ვალების ერთი ნაწილი ხომ 1992 წელს ჩვენთვის რუსეთის ბანკიდან (სსრკ ბანკის მემკვიდრე) გამოყოფილი საკრედიტო რესურსის გადალიმიტების შედეგია, რომელსაც განსვენებული დემურ დვალიშვილი, საქართველოში მატერიალური რესურსის მეტი ოდენობით შემოზიდვისათვის ხელოვნურად უშვებდა, რადგან ვემზადებოდით სამანეთო ზონიდან გამოსასვლელად. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ თემაზე, მაგრამ საგაზეთო წერილი მეტ საშუალებას არ იძლევა.

ახლა მთავარი:

დაწყებული საგაზეთო წერილებიდან და დამთავრებული პარლამენტის ტრიბუნიდან (ბატონი ოთარ მელქაძისა მიკვირს, ჩვენ შორის მუდამ კეთილი დამოკიდებულება იყო, ალბათ, მას თავისი ოპოზიციური მდგომარეობა აიძულებს ყველაფერი გამოიყენოს), პირდაპირ თუ შეფარულად ბატონ პრეზიდენტს უკიჟინებენ, ხომ ხედავთ, ძველმა თქვენმა მთავრობამ, მათ შორის, მურთაზ ზანკალიანმა „ქვეყანა დააქცია", ის კი სახელმწიფო კანცელარიაში გიზით, მათი გაგებით „მაღალ" სკამზე და ვერ მოგიშორებიათო, ყოველ შემთხვევაში, მე ამ სიტუაციას ვგრძნობ.

მინდა ყველამ იცოდეს, ბატონმა ედუარდმა 1992 წლის ივნისში (მანამდე მე მასთან პირადი ცნობობა არ მქონია) ტრიბუნაზე მნახა, როგორც წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა (არასახელმწიფო სექტორის) კავშირის თავმჯდომარე. ჩემი მინისტრობაც, როგორც შემდეგ გავარკვიე, ძირითადად მისი ინიციატივა იყო. მე მას ჩემს გამო უხერხულ სიტუაციას არ შევუქმნი. იმის ეჭვსაც გამოვრიცხავ, რომ ძიებას ჩემი „თანამდებობის" გამო უჭირს ჩემი „ბრალეულობის" დამტკიცება. ამიტომ ამ თანამდებობიდან, თუ საჭირო გახდა, წავალ. მინისტრობიდანაც ჩემი ნებით წავედი. არავის დაუძალებია, პირიქით.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ მე ხალხისა და სახელმწიფო ქონებაში ხელი არასოდეს „მიფათურია", ამიტომ დიდი შიში არავისი არა მაქვს. ერთადერთი დიდი შეცდომა (იმ დროს ნეტა ვის არა ჰქონდა?) ის იყო, რომ რეალიზაციის დაჩქარების მიზნით თურქული საქონლის ერთი ნაწილი საქართველოს „გადამრჩენ" ბიზნესმენთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელს ა. ჯგერენაიას კონსიგნაციის წესით ვენდე და გავატანე, ისიც იმიტომ, რომ მას მამინდელ საქართველოს მთავრობაში დიდი ბიზნესმენის იმიჯი ჰქონდა. ის ბოლო ხანებამდე გვპირდებოდა ამ ვალის გადახდას, იმიზეზებდა, რომ მეზობელი ქვეყნის ბიზნესმენებმა დღე ვალში ჩააგდეს. მე მინდა ვთხოვო ადმინისტრაციულ ორგანოებს მისი მოძებნა და მისი პასუხისმგებლობის დაჩქარება. სხვა მხრივ ჩემი სინდისი სუფთაა.

სიამოვნებით ვეახლები ყველას, ვისაც ამ საკითხებში სიმართლის დადგენა სურს, პარლამენტი იქნება ეს თუ საგამოძიებო სტრუქტურები. მინდა დაჩქარდეს ეს პროცესი. ჩემი მიზანი იყო, არის და დარჩება ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა, ჩემი ერთადერთი შვილის და მისი ოჯახისათვის ცივილიზებული მომავლის შექმნა.

**მურთაზ ზანკალიანი.**

რეგიონი

# გზები, გზები გვინდა!

ვის ეცალა გზებისთვის – თავზე გვექცეოდა ქვეყანა! ახლა ფეხზე ვდგებით და გზების კეთილმოწყობისათვის მოვიცალეთ.

ქარელის რაიონი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საბიუჯეტო დავალებებს და დაბა-სოფლების კეთილმოწყობასაც არ აკლებს ყურადღებას.

ამ დღეებში დამთავრდა ქარელ-ყინწვისის მონასტრის 16 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზის მოხრეშვა და ყინწვისის ეკლესიაში წირვის განახლების დღესასწაულზე სწორედ ამ გზით ამოვიდნენ ქარელელებიცა და მათი სტუმრებიც.

მოიხრეშა აგარა-ზნაურ-ცხინვალის გზის პირველი მონაკვეთი – 12 კილომეტრი. მოსწორდა საღოლაშენ-ბრეთი-ავნევის გზაც, რომლის სიგრძე 16 კილომეტრია.

– არც რაიონული ცენტრი დაგვრჩენია უყურადღებოდ, – ამბობს ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თემურ სანდოძე, – ქალაქის ქუჩების საერთო სიგრძე, რომლებიც წელს შევაკეთეთ, 9 კილომეტრია.

სულ რაიონში შეკეთებული ან მოხრეშილია 63 კილომეტრი საერთო სიგრძის საავტომობილო გზა, რაზეც 45 ათასი ლარი დაიხარჯა.

**გურამ ვაშაკიძე.**

„სრ" საკ. კორ.

# დურუჯი ყვარელს ემუქრება

ყვარლის ულამაზეს ბუნებას მდინარე დურუჯიც ამშვენებს. თავის სილამაზისა და მიმზიდველობის მიუხედავად ამ მდინარემ არაერთხელ აზარალა ყვარელი, იგი ხასიათით, ბუნებითა და ონავრობით სელური მდინარეების ყველაზე ტიპური წარმომადგენელია. წლების განმავლობაში უწყინარად მომდინარე, პერიოდულად დაიქუხებს ხოლმე და შიშის ზარსა სცემს ყვარლელებს. მისი აბობოქრების მიზეზი კი ის არის, რომ მის სათავეში ბუნებრივი აქტიური გეოლოგიური პროცესები მიმდინარეობს – იშლება ვეებერთელა მთები და ჩამონაშალით, თიხით, ფიქალით ივსება დურუჯის კალაპოტის ზედა ნაწილი, გროვდება ათეულობით მილიონი კუბური მეტრი გრუნტი, რომელიც ავდრის დროს რისხვად ატყდება თავს ყვარელს. მეცნიერებმა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ მდინარეს ყოველწლიურად ჩამოაქვს და ყვარლის მიდამოებში ტოვებს 400 000 კუბურ მეტრ მასას (მიწას, თიხას).

პირველი კატასტროფა ამ საუკუნის დასაწყისში – 1904 წელს მომხდარა. სელის სიძლიერეზე მეტყველებს, დურუჯის მიერ ჩამოტანილი და ყვარლის თავში დაგდებული დაახლოებით 100-ტონიანი ქვა. ამ კატასტროფის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, აშენებულა სამი კაპიტალური ქვის დამბა, რომელმაც 1949 წლამდე დაიცვა ყვარელი.

1949 წელს კი კვლავ განმეორდა კატასტროფა. იმდენად დიდი იყო სელური ნაკადი, რომ მან ზემოდან გადმოუარა ილიასეულ დამბებს და რამდენიმე საათში 300 ჰექტარზე მეტი ფართობის ტერიტორია 2 მეტრის სიმაღლის ნალექით დაფარა. როგორც ამბობენ, სამოცი კაცი, ძირითადად ყვარლის თავში მცხოვრები საბჭოთა არმიის ოფიცრები და მათი ოჯახების წევრები, დაღუპულან.

ყვარლის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან ბატონ ჯემალ ავაზაშვილთან საუბრისას გავიგეთ, რომ მომხდარი კატასტროფის შემდეგ მთავრობამ საგანგებო ღონისძიებები განახორციელა. გამოიყო მასალები და უმოკლეს დროში აშენდა 7 მეტრის სიმაღლისა და 5,5 კმ-ის სიგრძის კაპიტალური ქვის დამბა. იმისათვის, რომ დურუჯის ღვარცოფისაგან ყვარლის დაცვის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიყო, საგანგებო კომისიამ დაადგინა და გადაწყვიტა, რომ კალაპოტიდან ყოველწლიურად უნდა გაეტანათ მდინარის მიერ დატოვებული 400 ათასი კუბური მეტრი გრუნტი. ეს უნდა მომხდარიყო სისტემატურად.

1989 წლიდან შემცირდა მთავრობის ფინანსური დახმარება და 1991 წლიდან შეწყდა ყოველგვარი სამუშაო. ამის შედეგად მდინარის კალაპოტი ყოველწლიურად ზევით მიიწევდა. კედლის თავისუფალი სიმაღლე ცალკეულ მონაკვეთებში ნულამდე დავიდა, ქალაქის თავში დაახლოებით 1,5 კმ-ის სიგრძეზე კედელი მთლიანად ამორტიზებულია, 100 მეტრის სიგრძეზე კი მთლიანად დანგრეულია. დღეს ქალაქის დაცვა უბრალო მიწაყრილის ამარაა.

ზემოთ ვთქვით, რომ პირველი კატასტროფა საუკუნის დასაწყისში მოხდა, მეორე – 50 წლის შემდეგ – საუკუნის შუაში. მას შემდეგ 50 წელიწადი გავიდა. ამჟამად მდინარის ხეობაში, მის სათავეებში დაგროვილია მილიონობით სელური მასალა, რომელიც ადვილი შესაძლებელია, სულ მალე ესტუმროს ყვარელს.

შეიქმნა მდინარე დურუჯის ღვარცოფისაგან ყვარლის დაცვის ფონდი. ყვარელში მოიწვიეს საქართველოს წყალთა ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა და სხვა მეცნიერები. ისინი შეხვდნენ ყვარლის საზოგადოებას, დაათვალიერეს მდინარე, შოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნა მოსალოდნელი საშიშროებაც და იგი გაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს. გამოჩნდა შედეგიც: საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ყვარლის რაიონს გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერტი 300 ათასი ლარი მდინარე დურუჯის კალაპოტის გამწმენდი სამუშაოებისათვის, მაგრამ თანხა რაიონს დღემდე არ მიუღია. დრო გადის, მდინარე დურუჯის გადმოვარდნის საშიშროებაც უფრო და უფრო მატულობს.

**ქეთევან გიორგაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№130. შაბათი, 7 ივნისი, 1997 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხიდები

# სომხეთიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებები



წლეულს, 27-30 მაისს სომხეთის პატრიარქმა, უწმინდესმა გარეგინ I-მა მიიწვია საქართველოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომლის დელეგაციაში ყოფნის ბედნიერება მეც მხვდა წილად.

ძნელი და თითქმის შეუძლებელია ჩემს თანამემამულეებს გავუზიარო ის დიდი შთაბეჭდილებები, რომლებითაც ჩამოვედი თბილისში, მაგრამ ისიც გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ ყურადღება არ გავამახვილო ზოგიერთ არსებით მხარეზე. ყველა შეხვედრაზე ხაზგასმით იყო აქცენტირებული, რომ ჩვენი ერების ინტერესთა დაპირისპირების შემთხვევაში ორივე დამარცხებული ვიქნებით, გამარჯვებული გამოვა მხოლოდ ის მესამე, რომელიც ჩვენ დაგვაპირისპირებს.

მთელ სომხეთში დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი აღმაველობა და ურთიერთთანადგომა იგრძნობა, რაც ვლინდება დაწყებული „მცირე" ყოფითი დეტალებით და დამთავრებული მასშტაბური სახელმწიფოებრივი საქმიანობით.

ყოფითი დეტალები შემთხვევით არ ვახსენე, ერევანსა და მთელს სომხეთში უპირველესად თვალში გეცემა იდეალური სისუფთავე და წესრიგი. ამას კი ახორციელებს არა ადმინისტრაციული სამსახურები, არამედ უპირველესად თვით ხალხი. ვის მოუვა ფიქრად, რომ ქუჩაში დააგდოს თუნდაც სიგარეტის ნამწვი. თვალში საცემია ისიც, რომ თითქმის გამორიცხულია ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა და ნარკომანია. ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლა პრესისა და ტელევიზიის კოპწიობით კი არ გამოიხატება, არამედ რეალურად ხდება და ამიტომ ამის შესახებ არც მსჯელობენ. თვალშისაცემია ისიც, რომ ვერსად ვერ ნახავთ უცხოენოვან წარწერას, უცხოენოვან აბრას!

ქუჩებში, ვერც ცენტრში და ვერც გარეუბნებში, ვერ ნახავთ უსაქმოდ დაყუდებულ ახალგაზრდებს. მართალი გითხრათ ერთ-ერთ ჩემს მასპინძელს ვკითხე კიდეც, როგორ გყავთ ასე დასაქმებული მოსახლეობა-მეთქი, მან მიპასუხა: ვცდილობთ, მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ჩავრთოთ სხვადასხვა საქმიანობაში, სადაც შეიძლება სათანადო შრომით ანაზღაურებას ვერ ღებულობენ, მაგრამ რაღაცას იღებენ. ხოლო იმ პიროვნებას, რომელიც უკადრისობს მუშაობას შედარებით მცირე ანაზღაურების გამო, იძულებით გზავნიან შრომით ბრიგადებში. ამან გამახსენა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ ჟვანიას სიტყვები, როდესაც იგი მარშან ერევნიდან დაბრუნდა, მან ბრძანა, „ყველა წარმოება-დაწესებულებაში გამოკრულია განცხადება, „შრომა და მხოლოდ შრომა მოგვიტანს ბედნიერებას". ეს მართლაც სასიცოცხლო პრინციპად აქვთ ქცეული.

თბილი და მზრუნველი ურთიერთდამოკიდებულებაა ერევნელებსა და ლტოლვილებს შორის. ლტოლვილები ისეთივე მონდომებით და თავდადებით ზრუნავენ ქალაქის კეთილმდგომარეობისათვის, როგორც თვით ერევნელები. ამასთანავე ისიც შესამჩნევია, რომ ქალაქში ცოტაა ლტოლვილი. მათ ძირითადად რაიონებში დაურიგდათ მიწის ნაკვეთები, სადაც აამენეს პატარა კოხტა სახლები და ეწევიან ინტენსიურ სამეურნეო საქმიანობას,

იშვიათად ნახავ ქალაქში ადამიანს, ისიც მამაკაცს, ქუჩაში ვაჭრობდეს. ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტიც აღნიშნეს: უცხოეთიდან მიღებულ ჰუმანიტარულ დახმარებას სახელმწიფო მოქალაქეებს საარსებო საჭიროებისათვის უნაწილებს და არა სავაჭროდ. როგორც შევნიშნე, მაინცდამაინც მოხიბლულნი არ არიან ამ ვადაგასული ჰუმანიტარული პროდუქტით. საინტერესოდ მომეჩვენა მათი დამოკიდებულება ინვესტიციების მიმართ. — ჩვენი მთავარი მიზანია ადგილობრივი მეურნეობებისა და წარმოებების ამოქმედება და არა უცხოელთა კმაყოფაზე ყოფნა. თუ უცხოელებს გულწრფელად უნდათ ჩვენდამი დახმარება, მაშინ მათ შემონაწირი საინვესტიციო თანხა და კრედიტები სახელმწიფო ბანკს უნდა ჩააბარონ და სახელმწიფომ თვითონ იცის, სად და როგორ გამოიყენოს ეს თანხები. უცხოელთა მიერ გაშლილი კერძო სამუშაოები არაფერი სიკეთის მომტანი არააო, მით უფრო, თუ ისინი ეცდებიან ჩვენი წარმოებებისა და შენობების შესყიდვას, განსაკუთრებით — მიწის დაუფლებას. ამასთან დაკავშირებით შემახსენეს პალესტინაში გამოცემული ახალი კანონი: თუ პალესტინელი მოქალაქე უცხოელს მიყიდის მიწას, მას დახვრეტის მუხლი მიეყენებაო. შესაშურ წინდახედულებას იჩენენ ჩვენი მეზობლები.

ჩვენი იქ ყოფნის დროს პარლამენტმა გამოიტანა საგანგებო დადგენილება სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ, რომელშიც ჰუმანურ პრინციპებთან ერთად მკვეთრად არის ჩამოყალიბებული დამოკიდებულება სექტანტების მიმართ. ისინი აღშფოთებულნი არიან სექტანტების მოძალებით, რომელთაც დიდი მატერიალური შესაძლებლობების წყალობით პირდაპირ მოისყიდეს მოქალაქეები და სპობენ ეროვნულ ტრადიციებსა და ეროვნულ აღმსარებლობას. ამის გამო პარლამენტმა გამოიტანა დადგენილება, რომ ყველა უცხოელი სექტანტი გაძევებულ იქნას სომხეთიდან, ხოლო თუ თვით სომეხი ეკუთვნის რომელიმე სექტას, მას აქვს უფლება იცხოვროს თავისი აღსარებით, მაგრამ სასტიკად ეკრძალება ქუჩებში, თავშეყრის ადგილებსა და მით უფრო ბინებში სიარული და ქადაგება. რადგან ეს არის ეროვნული აღმსარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლად დაუშვებელი ქმედება, რომელიც ნიადაგს უმზადებს მომავალ სამოქალაქო ომს, ასეთი პირები უსასტიკესად იქნებიან დასჯილნი. ეს დაადგინა პარლამენტმა ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში.

განსაკუთრებით მომხიბლა იმან, თუ როგორ გადაჭრეს ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა. ჯერ ერთი, სახელმწიფომ განუსაზღვრელი უფლებები მისცა ეკლესიას მოსწავლეთა (როგორც სკოლის, ისე უმაღლესი სასწავლებლის), ახალგაზრდათა სულიერი აღზრდის სფეროში, რის გამოც მთელი ახალგაზრდობა ცხოვრობს ეკლესიური ცხოვრებით. ვერ ნახავთ ვერც ერთ ახალგაზრდას, რომელიც რომელიმე ეკლესიის მრევლის წევრი არ იყოს და არ ჰყავდეს თავისი მოძღვარი. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუმცა სომხეთში არსებობს უცხოური სასწავლებლები, მაგრამ სალვთისმეტყველო საგნებს ასწავლიან მხოლოდ და მხოლოდ გრიგორიანული აღმსარებლობის მსახურნი და ყოვლად დაუშვებელია სექტის შეშვება სასწავლებელში. ასევე საგანგებო კონტროლისა და ზრუნვის სფეროა, თუ როგორ და ვინ ასწავლის უცხოურ კოლეჯებში სომხურ ენასა და ლიტერატურას, სომხეთის ისტორიასა და გეოგრაფიას. ასე რომ ეროვნული სულისკვეთების სადავეები მთლიანად სახელმწიფოს და საეკლესიო სამსახურის ხელშია, რის გამოც ახალგაზრდობაში დიდი ეროვნული აღმაველობა სუფევს, მოდის ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ძლიერი ჰუმანური თაობა.

კვლავ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რადგან ეს მეტად თვალშისაცემია — სახელმწიფომ განუსაზღვრელი უფლებები მისცა ეკლესიას, და, რაც მთავარია, არა მარტო ახალგაზრდების, არამედ მთელი მოსახლეობის ეროვნული კონცეფციის დამამკვიდრებელი და განმავითარებელია ეკლესია, რომელსაც საერთოდ დიდ ანგარიშს უწევს მთავრობა, განსაკუთრებით — განათლების სამინისტრო.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი. ერთ-ერთმა სასულიერო პირმა გაოცებით მითხრა, რა ხდება საქართველოში (ისინი ყველაფერში კარგად არიან ინფორმირებულნი), რატომ წარმოიშვა თქვენში ნეოკომუნისტური ათეისტური საზოგადოება, ეს ახალი დროის ეშმაკის მოციქულები უფრო დიდ მკრეხელობას სჩადიან, ვიდრე თავის დროზე ათეისტი კომუნისტებიო. ამ უკიდურესმა მკაცრმა მხილებამ დამაბნია, მაგრამ სიტყვის თქმა არ მაცალა: როგორ დაუშვა მთავრობამ, რომ ასეთი ნათელი და მსოფლიო ეკლესიაში აღიარებული წმიდათა წმიდა კაცის, უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის ილია II მიმართ შემაძრწუნებლად მკრეხელური სტატიები დაიბეჭდა, და არც ავტორების და არც თვით გაზეთის მხილება და დასჯა არ მომხდარა. თქვე დალოცვილებო, ერთ-ერთმა თქვენთაგანის მიერ ებრაელთა უპატივცემულოდ მოხსენებამ, რაც მართლაც ყოვლად გაუმართლებელი იყო, ისე აღგაშფოთათ, რომ ავტორი პასუხისგებაში მიეცით და გაზეთი დახურეთ, ამ დროს კი თქვენს სულიერი მოძღვრის მიმართ უპატივცემულობას ამჟღავნებენ და თქვენი მხრივ კი ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, ეს ხომ ეროვნული რწმენისა და ეროვნული ღირსებების სრული უგულებელყოფაა, ეს ხომ სავსებით დაგიკარგავთ სულიერ ცხოვრებასო.

რადგან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ გავიზიაროთ ამ ასპექტით იქაური ვითარების არსი, რამაც შთამბეჭდავი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, უპირველესად ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე, არა მარტო სომხეთში. მსოფლიოში არსებულ სომხური დიასპორებიდან მიღებული ინფორმაციითაც ამკარაა მათთვის, თუ რა რეზონანსი აქვს საქართველოს პრეზიდენტის სახელს. მეც, ჩემი მხრივ, ჭეშმარიტად მიღებული შთაბეჭდილებებით (რომელიც ვლინდება მისი საქმიანობითა და მეტყველებით), გამოვხატე ჩემი აზრი ბატონ ლევონ ტერ პეტროსიანის მიმართ. მოსაუბრე დამეთანხმა, მაგრამ გარკვეული სკეპტიკური ტონებიც შევნიშნე, როგორც გამოირკვა, ეს მოსაუბრე სხვა პარტიის წევრი იყო და გარკვეულ საკითხებში გამოკვეთილად განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა. ეს ჩემი საქმე არ იყო და არც განმივითარებია ამ ასპექტით მასთან საუბარი, მაგრამ გამაოცა და მომხიბლა კიდეც მისმა მოსაზრებამ, კერძოდ, როცა მან ბრძანა, მართალია ჩვენს პრეზიდენტს მთელ რიგ საკითხებში არ ვეთანხმებით, განსხვავებული შეხედულებები გვაქვს, მაგრამ პრეზიდენტი არის ქვეყნის პატრონი, გამგებელი და მასთან თანადგომა და მისთვის ენერგიული მხარდაჭერა (ჩვენთვის ჩაბარებული საქმის სფეროში) სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენ იმდენად პატარა ერი ვართ, რომ კინკლაობის და ამაში ენერგიის დახარჯვის არანაირი უფლება არ გვაქვს, შიდა აწეწილობაზე პრეზიდენტს არ უნდა დავაკარგვინოთ დრო და ენერგია.

ჩვენ ჩვენი შესაძლებლობით რჩევისა და თათბირის ფარგლებში პრეზიდენტის ნებას უნდა ვემორჩილებოდეთ და გულწრფელად ვასრულებდეთ დავალებებს, რადგან ეს არ არის მხოლოდ პრეზიდენტისადმი თანადგომა, ესაა ერისა და სახელმწიფოსადმი სამსახური. ამის დარღვევის არც მორალური და არც იურიდიული უფლება არ გვაქვს. ეს უკვე ქვეყნის, ერის ღალატის ტოლფასია, ყოველგვარი ორგანიზაციული ქმედებანი დიდზე დიდი ღალატია და მართალი გითხრათ, ამ სფეროში თვით პრეზიდენტიც უკომპრომისოა, მისთვის უცხოა ფსევდოჰუმანური მიმტევებლობა. იგი სავსებით დაუნდობელია საქმისადმი გულგრილ და მით უფრო მოღალატე ადამიანებისადმი. ამიტომ პრეზიდენტს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ძლიერი, პროფესიონალი, საერთო საქმისათვის თავდადებული გუნდი. ვუსმენდი და გაოგნებული ვიყავი სომეხი თანამოსაუბრის მოქალაქეობრივი და ეროვნული ინტერესების სიღრმით, რომლის ფონზე ქარწყლდებოდა ყოველივე პირადი, წვრილმანი ინტერესები. ყოფითი და კარიერისტული ინტერესების ასეთი თანამიმდევრული ჩაკვლა ხომ ერის ამაღლების და შეკვრის უმტკიცესი საფუძველია.

ქვეყანაში მთავარია ყველა სფეროს გამაერთიანებელი და ყველა სფეროდან მიღებული ერთი არსებითი მოვლენა: სომხეთში ზეიმობს ურთიერთთანაგრძნობისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნების დამკვიდრების შინაგანი და წმიდათაწმიდა სასიცოცხლო მოთხოვნილება.

რევაზ ბარამიძე.

## სკოლა

# ყველას, ვისაც შექსპირი უყვარს

ვიწრო ოთახი, თვალის შევლებითაც უცებ გათბობს. მესამე სართულზე, სკოლის დიდი კორიდორის ბოლო პატარა ოთახში, რომელშიც წამდაუწუმ შემოდიან უფროსკლასელები და ცნობისმოყვარეობით იხედებიან პატარა მოსწავლეები, სტუმრების მიღების „ცენტრია". იგი თბილისის 55-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის „შექსპირის კაბინეტია", რომელსაც ნიკო ყიასაშვილი, უნივერსიტეტის შექსპირის კაბინეტის ხელმძღვანელი, „შვილიშვილს" უწოდებდა.

ეს კაბინეტი-მემორიალი 1978 წელს, მაისში დაარსდა ქალბატონ ლიანა მაჭარაშვილის მეცადინეობით. მისი შექმნის აუცილებლობა რამდენიმე წლით ადრე, სკოლაში ინგლისური ენის სწავლების გარდა, ინგლისური ლიტერატურისა და ტექნიკური თარგმანის საგნად დანერგვამ მოიტანა, ასე რომ, შეიყვარეს მოწაფეებმა. როგორც „შთაბეჭდილებათა წიგნში" ბატონი რეზო თაბუკაშვილი წერს, ეს არ იყო სახელოვანი სკოლის პედაგოგთა, განსაკუთრებით ქალბატონ ლიანა მაჭარაშვილის მოდასაყოლილი ნაბიჯი, იგი მოკრძალებული ნაბიჯია „შექსპირის გაქართველებისა" იმ გზაზე, ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა რომ გაგვიტკეპნეს ჯერ კიდევ წინა საუკუნეში.

თავისი 20-წლიანი არსებობის მანძილზე, თაობებმა და თვით ამ კაბინეტმა, ბევრი სასიკეთო ღონისძიება, შეხვედრა და დაუვიწყარი წუთები აჩუქა ყველას, ვინც შექსპირიანა, დროებით თუ მუდმივად, თავის ცხოვრებისა და შემოქმედების კრედოდ გაიხადა.

მოსწავლეთა მონდომებით, მეცნიერთა, მთარგმნელთა, მსახიობთა საჩუქრებით კაბინეტი გამდიდრდა შექსპირის ნაწარმოებთა ეკრანიზაციის კადრებითა და სცენებით სპექტაკლებიდან. შენს თვალწინ უცებ გაიელვებს მისი ცხოვრება და შემოქმედება. მაგრამ აქ საკრალურია კაბინეტის „შთაბეჭდილებათა წიგნი" და რამაზ ჩხიკვაძის გეირგეინი სპექტაკლიდან „რიჩარდ III", რომელიც ამ სიტყვებით უწუქებია 55 სკოლელთათვის: „ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი რიჩარდი თქვენს კაბინეტში ერთ პატარა ადგილს დაიმშვენებსო".

...იმ დღესაც განსაკუთრებული სამზადისი იყო. სტუმრად მოდიოდნენ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობები. კოლექტივი, რომელმაც უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი" დადგა.

ლიანა მასწავლებელს, ასევე დირექტორის მოადგილეს, სასწავლო ნაწილის გამგეს ინგლისური ენის სწავლების დარგში ნათელა ბობოხიძეს და სკოლის დირექტორს ბატონ პარმენ მარგველაშვილს მალიმალ აწუხებდნენ და ერთი და იგივეს ეკითხებოდნენ ღონისძიებებზე გამომსვლელი მოსწავლეები. ღელავდნენ, და ხელახლა კითხულობდნენ უკვე გაზეპირებულ ტექსტებს მიხეილ თუმანიშვილის ღვაწლისა და შემოქმედების შესახებ, მსახიობთათვის მისაცემ შეკითხვებს თეატრის სამომავლო გეგმებზე. მალე დარბაზში რეჟისორი გოგი მარგველაშვილი, მსახიობები რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, ზაზა მიქაშავიძე, ზურაბ გეწაძე, თემურ ნატროშვილი და კოტე ლეკიშვილი შევიდნენ. როგორც ხელოვნების ხალხს სჩვევიათ, მათ უცებ დაამყარეს კონტაქტები მოსწავლეებთან და მეგობრულად ისაუბრეს...

მსახიობთა ნაამბობმა დარბაზი გაამხიარულა. მაგრამ დაწყებითი სკოლის პედაგოგის ქეთევან სამხარაძის უმცროსკლასელთა თაიგულებით შემოჭრამ და გამაირებამ (მაირ-კაფიები ლიანა მაჭარაშვილს ეკუთვნოდა) ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარბაზი სიხარულით აივსო!..

ბევრ მსგავს ღონისძიებაზე საუბრობს ლიანა მაჭარაშვილი ბუკლეტში „შექსპირის კაბინეტი სკოლაში", რომელსაც „ნორჩი შექსპირელის" ემბლემა ამშვენებს. ვინ არ ყოფილა აქ: მეცნიერები, პოეტები, მთარგმნელები, მწერლები, რეჟისორები, მსახიობები რუსთაველის, მარჯანიშვილის, სოხუმის, ონის თეატრებიდან, სახალხო მთქმელები, სტუდენტები, უცხოელები... ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს დიდი ბრიტანეთის საელჩოს მრჩევლის ტერენს გარეტის მეშვეობით დამყარდა კავშირი ქ. დათფორდის ვაჟთა კლასიკურ სკოლასთან, რომელთანაც მეგობრობა დღესაც გრძელდება. ხოლო დაიწყო 25 მოსწავლის წერილით, ინგლისიდან რომ მიიღეს 55-ე სკოლელებმა. შემდეგ სტუმრად თბილისში ჩამოვიდნენ, რასაც საპასუხო ვიზიტი მოჰყვა საქართველოდან. 1990 წელს 15 დღით ისევ ჩვენები გაემგზავრნენ, რადგან უცხოელებს ჩამოსვლისა შეეშინდათ. მერე სამოქალაქო ომი ატყდა... მაგრამ ნატო ფალავამ და რასელ სპუნერიმ დაოჯახება მაინც შეძლეს. ახლა შვილიც ჰყავთ და ქ-ნ ლიანას ხუმრობით ბებიასაც უწოდებენ.

„ნორჩი შექსპირელები" ამერიკაში, ჯორჯიის შტატში, ქ. ატლანტის ალფარეტას სკოლამიც იყვნენ ორი კვირით. ინგლისელმა პედაგოგმა ჯინ მორისონმა, და ქ-ნმა ლიანამ ერთობლივი მოღვაწეობის პროგრამაც შეიმუშავეს, მაგრამ სამოქალაქო ომმა შეუშალათ ხელი.

რას იზამ, ყველა ქვეყანა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს! ერთია ოღონდ, ინგლისისა და ამერიკის შექსპიროლოგების წრეებში მაღალ შეფასებას აძლევენ 55-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის „შექსპირის კაბინეტის" მუშაობას.

კვლავ წარმატებები ვუსურვოთ ახალგაზრდა „შექსპიროლოგებს", მათ ხელმძღვანელს ლიანა მაჭარაშვილს.

ია კალანდარიშვილი.

## თავანკარა ქართული

***ვისაც ინგლისურ და რუსულ ენებთან პროფესიული შეხება აქვს, იცნობს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩევლის, სამეცნიერო-ტექნიკური სატერმინოლოგიო სექტორების ხელმძღვანელის, გამომცემლობა „იბერთედ-პრესი"-ს დირექტორის ბატონ რევაზ ბერულავას ავტორობით გამოცემული რუსულ-ქართულ და ქალბატონ იდელა ქვაჩახიასთან თანაავტორობით გამოცემულ ლექსიკონებს (მხედველობაში გვაქვს ინგლისურ-ქართული ტექნიკური ორტომეული ლექსიკონი და „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური განმარტებითი ლექსიკონი") კომპიუტერულ მეცნიერებაში მუშაობის პარალელურად ბ-ნი რევაზი 25 წელიწადზე მეტია ეწევა ლექსიკოგრაფოსის მძიმე და საპატიო საქმიანობას.***

***ლექსიკოგრაფოსი კი ყოველთვის გამოწვლილვით, ზედმიწევნით გრძნობს ენაში ცვლილებებს, აღნუსხავს, აანალიზებს, ქმნის სიტყვებს, ტერმინებს.***

***გთავაზობთ საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტის ბატონ რევაზ ბერულავას წერილს:***

უცხო ენის გაელენის ფაქტორის პირობებში უკანასკნელ თვეებში ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს თითქოს-და მეტი ყურადღება ექცევა. ჩვენი ქვეყანა ძირითადად მაინც დასავლეთის ქვეყნებისკენ ეკონომიკური ორიენტაციისა და ამ ეტაპის კავშირურთიერთობები (კონტაქტები, ხელშეკრულებითი საქმის წარმოება, კონფერენციები, სიმპოზიუმები) უმეტესად ინგლისურენოვანია. ამ კუთხით, ცხადია, აქედანვე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ლექსიკოგრაფიულ, პრაქტიკულ სატერმინო ასპექტებსა და სიტყვათშემოკლებებს. პოპულარულ გამოცემებში, კერძოდ გაზეთებში ენის ნორმების პრინციპებზე დადგენილ მოთხოვნებზე ნაკლებად არის მსჯელობა. ამგვარ პრინციპებზე რატომღაც არ მსჯელობენ დაწვრილებით, მაგრამ გულისხმობენ, რომ ეს პრინციპები იმათ იციან, ვინც უნდა დაიცვას ენის სიწმინდე, ცოცხალი ენისა და ცხოვრებისეულ პირობებში.

**ენის ნორმის არსებული წესები უბიძგებს ახალი ტერმინების გენერაციას.** ამასთან ახალი ტერმინი მისაღები უნდა იყოს ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისითაც. მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს საქართველოში გამოცემულ ლექსიკონებში ჯერ კიდევ არარსებული უახლესი ტერმინები: **cyberspace კიბერსივრცე** (სამგანზომილებიანი სივრცე, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს ყველა კომპიუტერული ქსელი მსოფლიოს ხალხების ეკონომიკურად მართვის მიზნით); **dusergy დისერგია** (ორი დამოუკიდებელი კომპანიის შერწყმა მეტი ეფექტური მუშაობისა და მაღალი მოგების მიზნით); **demographics დემოგრაფიკა** (მაჩვენებლები, რომელთა საფუძველზეც ხდება გასაღების ბაზრის სეგმენტაცია: სქესი, წლოვანება, შემოსავალი, ოჯახური მდგომარეობა და სხვა); **Eurocrat ევროკრატი** (ევროპული ქვეყნების თანამეგობრობის ადმინისტრაციის ოფიციალური წევრი); **intervert ინტერვერტი** (დანიშნულების მიხედვით გამოუყენებლობა; სხვისი საგნის, ობიექტის და სხვათა საკუთარი საჭიროებისათვის მორგება, გამოყენება) და სხვ.

ინგლისურენოვან (ვითვალისწინებთ ბრიტანულ და ამერიკულ ვარიანტებს) ტერმინებზე ქართული ენის რეაქციის აუცილებლობის გამო ეს ტერმინები შევიტანეთ გამომცემლობა „იბერთედ-პრესი"-ს თანამშრომელთა მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამეცნიერო ტერმინოლოგიის სექტორებში. ჩვენი ხელმძღვანელობით შექმნილ ნაშრომში **„ინგლისურ-ქართული უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი"** (იგი წიგნის ხელმომწერთა და სპონსორთა მეშვეობით უახლოეს მომავალში გამოიცემა). ნორმატული წესის შესაბამისად მრავალი ტერმინი დახვეწას მოითხოვს, მაგალითად: საბანკო-საფინანსო ტერმინის giro (იტალიურად ბრუნვა; გადაგზავნა) ქართულ ეკვივალენტად უნდა გამოვიყენოთ არა რუსული ტერმინოლოგიის ჩვენში უხეირო დანერგვით არასწორი გამოთქმა „ჟირო" (ЖИРО) არამედ **სწორი იტალიური ფორმა „ჯირო"** და შესაბამისად, ტერმინები: **ჯიროსისტემა, ჯირობრუნი, ჯირიჩეკ(ებ)ი**. მაგალითები ბევრია და მათ დაინტერესებული მკითხველი იპოვის ზემოაღნიშნულ ბიზნეს-ლექსიკონში.

უპირველესად ენის ნორმატული წესების დაცვა, ცხადია, მოეთხოვებათ პროფესიონალ ჟურნალისტებს, ლიტერატორებს (გაზეთების რედაქტორებს და სხვებს), საკანონმდებლო აქტებზე მომუშავეებს, საბიზნესო რეკლამათშემქმნელებს, რეჟისორებს და, საერთოდ, ქართული ენის სიწმინდის დაცვით რეალურად დაინტერესებულ პიროვნებებს.

ეს პროცესი ერთობლივად, ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს: გვჭირდება სახელმწიფო ენის დაცვის რეალური სინერგიზმი და მისი ამოქმედება. საერთოდ, სინერგიზმი არის კომპლექსურ საშუალებათა (ჯგუფთა) მიზანმიმართული გაერთმთლიანება. ამ პირობებში ცალკეული ჯგუფების ურთიერთშეკავშირებითი ერთობლიობით შექმნილი მოქმედების ჯამური ეფექტი მაქსიმალურად დიდ შედეგს იძლევა, ვიდრე იმავე ჯგუფების ცალცალკე აღებული შეუკავშირებელი ფუნქციობის ეფექტი (ენის მიმართ ეს ტერმინი გამოვიყენეთ ჩვენს ერთ-ერთ წერილში „გვჭირდება ენის დაცვის სინერგიზმი". გაზ. „სახალხო განათლება", 6 დეკ. 1990).

ქართული ენა მოითხოვს ინტეგრირებულ, ურთიერთძალისხმევით შეკავშირებულ, ერთიან დაცვას განსაკუთრებით დღეს, ვინაიდან ასე

### საჭიროა ენის დაცვის სინერგიზმი

**მისი შექმნით და ამოქმედებით ენის სტატუსის გარკვეული გარანტია მოგვეცემოდა, თუკი ეს რთული კომპლექსური პროცესი განხორციელდება. „ენის დაცვის მენეჯერთა ჯგუფის" შექმნითა და დროულად ამოქმედებით საქმე წინ წაიწეოდა.**

მომძლავრებულად „უცხო სიტყვებისათვის კარის გახსნამ" (მიხეილ ჯავახიშვილი), რაც ზემოაღნიშნული ენის ნორმების დაცვის პირობებში აუცილებელიც არის, უკიდურესობაში არ უნდა გადაგვაგდოს, როგორც ეს ერთ დროს (მაგრამ სხვა პირობებში) რუსულმა ენამ დაგვმართა. ამ ენის მუსირებითა და მოძალებით მიზანმიმართულად გაგვიჩნდა ტერმინოლოგიური ინდიფერენტიზმი. „კულტურის პეწის" გამოსახვის ბარომეტრად ბევრ ქართველს რუსულფრაზაშერწყმული ქართული მიაჩნდა და ა. შ. ორი დედაენა არ არსებობს; ენების ათვისების დონის ხარისხებზე არ ვლაპარაკობთ. ენის სიწმინდის დაცვა, კონტროლი, სათანადო მასალათა გამოქვეყნება და, საერთოდ, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგრამ გვეჩვენება, რომ ოფიციალური დაწესებულებები (ენის საპარლამენტო კომიტეტი, ენის სახელმწიფო კომისია, ენის პალატა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოების სემინარები) ენის დაცვის საკითხებში საერთო ძალისხმევას, და სინერგიას მეთოდურად ვერ ავლენენ,

### ყველა ჩვენგანის წვლილი უნდა იგრძნობოდეს

დასტურად ენის პალატის თავმჯდომარის ბ-ნ ლევან ღვინჯილიას სატელევიზიო თუ ოფიციალურ სხდომებზე გამოსვლებიც იკმარებს. არც საგაზეთო კრიტიკა გვივარგა. რატომღაც სდუმან მწერლები. მხოლოდ ეპიზოდურად საგაზეთო მასალებს აქვეყნებენ პროფესიონალები (ქალბატონები მუქია აფრიდონიძე, მანანა გიგინეიშვილი, თინა ღვინაძე). სამწუხაროდ, კარგა ხანია უსახსრობის გამო არ გამოცემულა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მომდევნო ტომი კრებულისა „ქართული ენის კულტურის საკითხები". ამ პირობებში უმეტესად ზოგიერთი გაზეთი და გამომცემელი შეძლებისდაგვარად ახერხებენ ენის დაცვის საკითხებზე ზრუნვას („ბურჯი ეროვნებისა" და სხვა).

**ხომ არ იქნება საჭირო რომელიმე ოფიციალურ უწყებასთან, პარლამენტის ენის კომიტეტთან, ენის პალატასთან ან თუნდაც ალტერნატიულად, არასამთავრობო საწყისებზე, შეიქმნას „ენის სიწმინდის დაცვის მენეჯერთა ჯგუფი" მაღალი დონის პროფესიონალებისაგან (ენათმეცნიერები, ლექსიკოგრაფოსები, იურისტები, დარგების სპეციალისტები).** ამ ჯგუფს შეეძლო აბრების, ფირნიშების, სატელევიზიო თუ საგაზეთო რეკლამების ფართო კონტროლი, გაზეთებში პერიოდული გამოქვეყნებებით კი რეკომენდაციების გაწევა. უმეტესად, ალბათ, ენთუზიასტებისაგან შემდგარი მენეჯერთა (თუ ენის სიწმინდის დაცვის ინსპექტორ-მენეჯერთა) ჯგუფის საქმიანობა სასარგებლო იქნებოდა თვით ფირმების (ორგანიზაციების, ბანკების და სხვ.) ხელმძღვანელთათვის და რეკლამათშემქმნელთათვისაც; როდესაც გამოწვლილვით ერკვევი კანონში, სწორ ენობრივ ნორმებში, ზედმეტ თანხას არ გადაიხდი ისედაც ძვირი რეკლამის შექმნის ან გადაკეთებისათვის.

ამგვარ მენეჯერთა ჯგუფს, ცხადია, დიდი შრომა მოუწევს ქართული აბრევიატურისა და აკრონიმის წესების დაცვაში (სამწუხაროდ, ამგვარი სიტყვათშემოკლების ზოგადი მტკიცე თეორიის არც უცხოეთში და არც ჩვენში არარსებობის პირობებში!), დამუშავებაში, საგანგებო საფირმო თუ სარეკლამო ტექსტის ქართული ეკვივალენტების სისწორის დადგენასა და კონტროლში, უცხო ტერმინთა ეტიმოლოგიის გარკვევაში, საბიზნესო-სარეკლამო წინადადებათა დახვეწაში, რომელთა სისადავე, სისხარტე და გამჭვირვალობა დიდად განსაზღვრავს თვით ბიზნესში მიღწევებს. შეიძლება ამ ჯგუფისთვის სასარგებლო ყოფილიყო ჩვენს მიერ შექმნილი და წლების განმავლობაში ლექსიკონებში და მონოგრაფიებში აპრობირებული აბრევიატურისა და აკრონიმის ახალი წესები (იხ. რ. ბერულავა — ქართული სამეცნიერო-ტექნიკური აბრევიატურისა და აკრონიმის ძირითადი წესები. საქართველოს მეცნ. აკადემიის „მოამბე" ტ. 136, №3, 1989; რ. ბერულავა — ქართული სიტყვათშემოკლების შესახებ. გაზ. „ერი", 20 თებ. 1991; რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია — ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური განმარტებითი ლექსიკონი, აკად. ი. ფრანგიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. გამომც. „მეცნიერება", 1994 და სხვ).

გაკვრით, ალბათ, ქვემოთ მოგვიწევს ამ წესების ერთ გამოყენებაზე საუბარი. ჩვენს ქალაქებში ყველაზე თვალში საცემი მაინც აბრები და რეკლამებია. აქ ენის მხრივ უმეტესად სრული გრამატიკული უსისტემობაა, განსაკუთრებით უხეში ენობრივი ნორმის დარღვევებია. ამას მიზეზებიც გააჩნია: კანონი რეკლამების შესახებ არ ამოქმედებულა, როდის და რა ძალებით მოხდება რეკლამათა კონტროლი და სინერგიული რეგულირება, ცნობილი არ არის.

ენის სიწმინდისადმი სტანდარტული მოთხოვნის არასრულყოფილების გამო რაოდენობრივად ყველაზე მეტი შეცდომა სიტყვათშემოკლებების ხარჯზეა. აბრევიატურისა და აკრონიმის უსისტემოდ გამოყენება მათი არასწორად შედგენის შედეგია. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს-ის) აბრევიატურის ორი სახე გვხვდება და ორივე არასწორია: შ.პ.ს. და შპს. დრომ მოიტანა და ყველა ქვეყანაში ტერმინად იქცა გამოთქმა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება". წერტილებით გამოსახული შ.პ.ს. არ არის ლექსიკური ერთეული, როგორიც არის: ნახ., ე. ი., ა.შ., შ. შ., იხ. და სხვები. რომლებიც **ტერმინებს არ წარმოადგენენ**. ამ ასო-ნიშნებს უცხო ყაიდაზე წარმოთქვამენ: „შე-პე-სე", რაც ქართული ენის ბუნებას არ ეგუება. სწორედ ამგვარი შემოკლებების არასწორი გამოთქმის გამო ბევრი ფიქრობს და ამბობს: „ქართული ვერ იტანს სიტყვათშემოკლებებს", მეტსაც ვიტყოდით, იგივე „შ.პ.ს." რომ სწორი ფონეტიკით წავიკითხოთ, უნდა წარმოვთქვათ: შან-პარ-სან, რაც ასევე არაბუნებრივი, მძიმე კონსტრუქციისაა. გამოსავალი, თუ შეიძლება ითქვას, მოვნახეთ ამ ათიოდე წლის წინ, რაც სპეციალისტებმაც კარგად შეაფასეს, მხედველობაში გვყავს პროფესორები ალექსანდრე ღლონტი და გიორგი წიბახაშვილი (ბ-ნმა გიორგიმ თავის დროზე მორფოლოგიურ და სინტაქსურ აბრევიატურებზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა).

ჩვენი წესების მიხედვით (ლიტერატურა ზემოთ მივუთითეთ) თანხმოვნებზე დაწყებული სიტყვებისაგან საწარმოებელ **საბრევიაციო ერთეულში ერთი ხმოვანი მაინც უნდა შედიოდეს, რომ ამ გზით მიღებული ერთეული პირდაპირ ასო-ასო წავიკითხოთ**, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საამისოდ არც „შ.პ.ს." და არც „შპს" გამოდგება. **ჩვენი წესებით თანხმოვნებზე დაწყებული სიტყვების აბრევიატურას უნდა დავურთოთ ბოლო სიტყვის უკანასკნელი ფონემი** (იგი, როგორც სალექსიკონო მუხლის ერთეულის არსებითი სახელი ან ზმნა, ყოველთვის ხმოვანი ასოა). მაშასადამე, გვექნება შპს-ა (აქ ასო ანი იგივე როლს ასრულებს, რასაც იგივე ასო ტერმინში თემქ-ა, სადაც „ქა" აღმნიშვნელია სიტყვისა „ქარხანა"). ამ შემთხვევაში უნდა წავიკითხოთ ასო-ასო შპს-ა (შპს-აში შემოვიდა განაცხადი, გადაკეთდა შპს-ად და ა. შ.). ამის გამო ეს გამოთქმა უკვე სრულფასოვანი ქართული ტერმინი ხდება. ამგვარი შეცდომის გასწორება წერისას და აბრებზეც არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. იგივე ეხება გავრცელებულ ტერმინს **„დამატებული** (და არა „დამატებითი", როგორც ზოგიერთი ხმარობს) **ღირებულების გადასახადი"**, რომელსაც მოკლედ ასე წარმოადგენენ. დ. ღ. გ. ეს ასოები ამ სახით სწორი გრამატიკით ასე ითქმის: „დან-ღარ-გან (ასე მათ არავინ არ წარმოთქვამს) და სიტყვათშემოკლების მოწინააღმდეგეთა სამართლიან საყვედურს იმსახურებს. სწორი სატერმინო ფორმაა **დღგ-ი** (ასო „ი" არის სახელობითის ნიშანი სიტყვისა „გადასახადი"). ასეთი სიტყვები იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი. ასევე, ჩვენს მიერ 1988 წელს შემოთავაზებული წესის მიხედვით უნდა დავწეროთ არა დსთ (აქ სწორი, მაგრამ პრაქტიკაში მიუღებელი გამოთქმაა „დონ-სან-თარ"), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აბრევიატურისათვის, არამედ **დსთ-ა** და ასევე პირდაპირ ასო-ასო უნდა წავიკითხოთ და ვაბრუნოთ (დსთ-ა, დსთ-ამ, დსთ-ის, დსთ-ით, დსთ-ად) მაგალითად, თემქ-ას ანალოგიურად. ხომ ვამბობთ: თემქაში ვცხოვრობ, თემქაში ვიყავი (და არა თემქიში). ასევე სწორ აბრევიატურად მიგვაჩნია სხვა, მხოლოდ თანხმოვნებით დაწყებული სიტყვების ეკვივალენტები: სმკ-ი (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი), სს-ა (სააქციო საზოგადოება), სკბ-ი (სააქციო კომერციული ბანკი) და ა. შ., როგორც აღვნიშნეთ, თუკი შესამოკლებელ სიტყვებში ერთ-ერთი მაინც არის ხმოვანი ასოთი, აბრევიატურის პრობლემა მოხსნილია, ისინი ასო-ასო უნდა წავიკითხოთ. მაგალითად, თსუ, სებ-ი (საქართველოს ეროვნული ბანკი. **აქ კეთილხმოვნებისათვის ჩვენი წესის მიხედვით ვუმატებთ ასოს „ი", რომელიც, აგრეთვე არსებითი სახელის სახელობითის ნიშანიცაა**), ემი (ეროვნული შემოსავალი) და ა. შ. ამ საგაზეთო წერილში ჩვენი ხუთივე წესის შესახებ ვრცლად ვერ (დაინტერესებულთათვის წყარო მივუთითეთ), ერთი რამ ცხადია, სიტყვათშემოკლება, ან როგორც მას უწოდებენ „ენობრივ ეკონომიას" (ო. ჯესპერსენი), „უმცირესი ძალვის კანონს" (ა. მარტინე), წარმოადგენს ცოცხალი ენის თანადროულ გამოძახილს, მიდაენურ სტიმულს, სხვა თანაბარ პირობებში ჩვენი ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას, იგი იძლევა ქაღალდის დ., საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის დიდ ეკონომიას, მით მიიღწევა არსში წვდომის სისწრაფე და ა. შ.

ამგვარად, აბრევიოლოგია (ამ ტერმინს რატომღაც ჩვენში არ ხმარობენ. იგი პირველად 1949 წელს ინგლისელმა ე. პეტრიჯმა შემოიტანა) ცალკე კვლევის საგანია და თანამედვე სიძნელეები ფონეტიკურ და, საერთოდ, ენობრივ სირთულეებთან არის დაკავშირებული, იმ ენებში, რომელთა ანბანი ლათინური ასოების წარმოთქმის პრინციპისაა (ინგლისური, რუსული და სხვა ენები), ფონეტიკური პრობლემა მოხსნილია, ვინაიდან ყოველი ასო-ნიშნის სახელწოდება ართრონულია, ხმოვანზე მთავრდება და ამიტომ ხშირად აბრევიატურა ისევე იკითხება, როგორც წერია. ჩვენი ამ გზით სიარული, ქართული ანბანი რუსული ან სხვა ენის ყაიდაზე რომ ავაჟღეროთ, არ გამოგვადგება.

გაზეთებში ტერმინოლოგიის დაცვა ასევე ძნელია. დროის ქრონიკული სიმცირის პირობებში მომზადებულ მასალებში ვერ ხერხდება ახალი ტერმინების შემოწმება, ანალიზი, დადგენა. აქ უმეტესად ავტორებიც სცოდავენ, რედაქტორებს კი კარგი „მინიმნება" აქვთ: გაზეთი არ აგებს პასუხს ავტორთა მასალების, მათ შორის, რეკლამების შესახებო.

ასეც არ ვარგა. თუ სათაურად ახალი ტერმინი ან გამოთქმა არის გამოტანილი, იგი აუცილებლად უნდა შემოწმდეს. შეცდომაა, მაგალითად, ერთი ცენტრალური გაზეთის სათაურში: ჰაკერება „ცელქობენ" (უნდა ყოფილიყო ჰეკერი. hacker-დან) ჰეკერი დღეს ცნობილი ტერმინია და მეტად გაწაფულ, უმეტესად კი თაღლით დამპროგრამებელს ნიშნავს.

ერთ-ერთი ინტერვიუს საგაზეთო სათაური „პარლამენტი საპნის ოპერას (?) მომაგონებს" ინგლისურიდან უაზრო თარგმნის შედეგია. ეს შეცდომა რუსულ პრესამიც არის გაპარული („мыльная опера"). სინამდვილეში ინგლისური გამოთქმა Soar-opera არის მრავალსერიანი ტელეგადაცემა, მელოდრამა და სხვა. გაზეთში დაშვებული შეცდომა კი წლობით რჩება. თეთჩერი და ქენედი პოლიტიკურ ასპარეზზე მოვიდნენ და წავიდნენ, გაზეთებში ასე არიან მონათლულნი: ტეტჩერი, კენედი. დღესაც გაზეთის ერთ გვერდზე წერია კლინტონი, მეორე გვერდზე კი სწორი ორთოგრაფიით: ქლინთონი და სხვ.

ცხადია, ენის სიწმინდის დაცვაში ყველა ჩვენგანის წვლილი უნდა იგრძნობოდეს. იგი ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

რევაზ ბერულავა.

# მოგვაშორეთ თქვენი დამთხვეულები!

## აფხაზეთის ტრაგედია ქართველებს ჩეჩნებს ახუტებს

რამ უნდა აიძულოს სამხედრო პირი მიახვრიტოს ყველა თანამოსამსახურე და მერე თვითონაც მოიკლას თავი? ამის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელია. როგორც ჩანს, იქ, ბლოკ საგუშაგოზე რაღაც დიდი ხნის დრამა მზადდებოდა დამცირებებისა და ძალმომრეობის რამდენიმე აქტით.

ჩვენი მშვიდობისმყოფლების მასობრივი ხოცვა აფხაზეთში, ჯერჯერობით არცთუ გათვითცნობიერებულ მეგრძნებას აკონკრეტებს: „არმია არაკონტროლირებად, საზოგადოებისათვის საშიშ ძალად გარდაიქმნება".

გარდა ამ საგანგაშო მეგრძნებისა, აფხაზეთის ტრაგედია რუსეთისათვის სავსებით გათვითცნობიერებულ გეოპოლიტიკურ უბედურებასაც ნიშნავს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი ან ჩეჩნეთის სრული და საბოლოო დაკარგვა და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის მეტი ნაწილის დაკარგვაც.

საქმე შემდეგშია, ჩვენი სამშვიდობო ძალები 1994 წლიდან დგანან საქართველოსა და აფხაზეთს შორის. იცავენ საზღვარს, რათა იქ ახალი ომი არ დაიწყოს.

ქართველებს მობეზრდათ ეს. მათ სურთ, რათა სამშვიდობო ძალებმა თანდათანობით გადაინაცვლონ სოხუმის მხარეს, აფხაზთა გავლენისაგან გაათავისუფლონ ჯერ გალის რაიონი, შემდეგ კი ყველა სხვა რაიონი.

მაშინ იქ დაბრუნებას შეძლებენ ქართველი ლტოლვილები, რომლებიც 300 ათასს შეადგენს, და 1993 წლიდან სადაც მოხვდებათ, იქ ცხოვრობენ. აფხაზები, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგი არიან. ამისათვის ხომ არ ვომობდითო. გამოდის, რომ ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, დავეხმარებით თუ არა საქართველოს აფხაზეთის დაბრუნებაში.

თვე-ნახევრის წინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მოსკოვის სამიტზე ელცინმა განაცხადა, რომ დავეხმარებით. მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ კეთდება. საქმე ჭიანურდება. მშვიდობისმყოფლებს არ სურთ პოლიციის ფუნქციების შესრულება და საერთოდ დაძაბული საშინაო ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელიც, როგორც ვხედავთ, სულისშემძვრელი მოვლენებით არის აღსავსე.

ცხადია, რომ საქართველოს ეს კატეგორიულად არ მოსწონს. იდეაში, ახლა ალბათ უნდა გვითხრან: გაიყვანეთ თქვენი მშვიდობისმყოფელი გიჟები, აფხაზეთის პრობლემას კი უთქვენოდაც როგორმე გადავჭრითო საკუთარი ძალებით.

„საკუთარი ძალებით" — ეს, რადაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ჩეჩნები არიან. საქართველო ერთადერთი უცხოეთის სახელმწიფოა, რომელსაც ჩეჩნეთი ესამღერება. იმისათვის, რომ რუსეთისაგან ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიოს, ჩეჩნეთმა უნდა გაზარდოს ამ საზღვრის „გამტარუნარიანობა" და დაამყაროს ჩეჩნეთ-საქართველოს მტკიცე ურთიერთობა. მაშინ ჩეჩნეთს ზღვისაკენ გასასვლელი გაუჩნდება, თავისუფალი საჰაერო სივრცეც ექნება. ამისათვის ჩეჩნები მზად არიან — იმისთვისაც კი, რომ აფხაზეთი ქართულ ბუდეს დაუბრუნდეს. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ომი არავის არ მოუწევს, და მთელი პრობლემა კავკასიურ-მუსლიმანური დიპლომატიის მეთოდებით გადაიჭრება.

საქართველოსათვის ასეთი ვარიანტი მიმზიდველად გამოიყურება — იქ ძალიან მოაბეზრეს თავი რუსმა სამშვიდობო ძალებმა. გარდა ამისა, ჩეჩნები აპირებენ მთაში გაიყვანონ გზები, ააგონ გაზსადენი და გაზი გადატუმბონ საქართველოში, რომელიც უკვე მეოთხე წელიწადია ითოშება, ერთი სიტყვით, იდეა არ ახალია — ამ გეგმას ჯერ კიდევ გამსახურდია და დუდაევი ისახავდნენ მიზნად.

თუ ყველაფერი ამ გეგმით წარიმართება, გამოვა, რომ ჩეჩნეთი ნამდვილად მეიძენს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რომელიც არის კიდეც ნაღდი, და მაშასადამე, — მშვიდობით, ჩეჩნეთო. ჩეჩნეთის დაკარგვის გარდა რუსეთი დაკარგავს თავის გავლენას საქართველოზეც. სამშვიდობო ძალები გავლენ, ჩვენი სამხედრო ბაზების ყოფნას საქართველოს პარლამენტი არ დაამტკიცებს, და იძულებული ვიქნებით ისინიც გადავიტანოთ, საქართველოს გაუჩნდება ნავთობისა და გაზის წყარო, რომელსაც რუსეთი კონტროლს ვეღარ გაუწევს. ერთი სიტყვით, ჩვენ იქ საჭირო აღარ ვიქნებით.

უფრო მეტიც, რუსეთი რომ ცალ-ცალკე დაკარგავს ჩეჩნეთს, საქართველოს, აფხაზეთს, ისინი ერთმანეთთან იმეგობრებენ, მოაწყობენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კავკასიის ორგანიზაციას, ჩეჩნეთი კი აუცილებლად შექმნის მოქმედების საშუალო რადიუსის რაკეტებით აღჭურვილ მძლავრ არმიას. ეს ჩვენი სიმყუდროვისათვის კარგი როდი იქნება.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ცუდია. თუ მშვიდობისმყოფლები ერთმანეთს ესვრიან, ცხადია, რომ მათგან მშვიდობას კი არა, ომს უნდა ელოდე. ყოველი სალად მოაზროვნე სახელმწიფო ამჯობინებს თავიდან მოიშოროს ასეთი „მტრედები" და რაც შეიძლება შორს იყოს მძლავრი „მეზობლისაგან", რომელიც სავსეა კარგად შეიარაღებული ადამიანთა არაკონტროლირებადი მასით, და რომლებსაც იქ რატომღაც არმია ეწოდება.

**იულია კალინინა.**
„მოსკოვსკი კომსომოლეცი", (№ 102).
(საქინფორმი).

# მერს მეტისმეტი მოუვიდა

გაზეთი „ჯერმან ლაივი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ მკვეთრად გამწვავდა ურთიერთობა რუსეთის პრეზიდენტსა და ამ პოსტის პრეტენდენტს, მოსკოვის ახლანდელ მერს იური ლუჟკოვს შორის. გაზეთის ინფორმაციით, ბორის ელცინმა გააფრთხილა ლუჟკოვი, მოეშვას მთავრობისა და პრეზიდენტის კურსის მკაცრ კრიტიკას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ იდეების პროპაგანდას, რომლებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ხელმძღვანელობის ოფიციალურ კურსს. გაზეთი იუწყება, რომ ბორის ელცინის უკმაყოფილება გამოიწვია ლუჟკოვის გამონათქვამებმა იმის შესახებ, რომ ყირიმი და სევასტოპოლი რუსეთს ეკუთვნის, აგრეთვე განზრახული საბინაო-კომუნალური რეფორმის განხორციელებისა და მოსკოველი მშენებლებისადმი მთავრობის ფულადი დავალიანების თაობაზე. „ლაივი" აგრეთვე აღნიშნავს, რომ ლუჟკოვისათვის მიცემული გაფრთხილება, როგორც ჩანს, სერიოზული ხასიათისაა და მოწმობს, რომ ამკარად გაუარესდა ურთიერთობა ელცინსა და ლუჟკოვს შორის, ვინაიდან იგი ოფიციალურად ეცნობა პრესას.

# რასა დისკოთეკაზე დადის...

ალბათ, ყველას ახსოვს, რომ ამ 15 წლის წინათ ახალგაზრდა მიკროქირურგმა რამაზ დათიაშვილმა სათიბელათი გადაჭრილი ფეხები მიაკერა 3 წლის ლიტველ გოგონას რასა პრასტევიჩიუტეს. ახლა გოგონა სწავლობს, სიმაღლით 160 სანტიმეტრია, დადის დისკოთეკებზე, ოღონდ — ჯინსით. უნიკალური ოპერაციის შემდეგ რასა იშვილეს ახალმა მშობლებმა, ვინაიდან ღვიძლმა დედმამამ (სმას გადაყოლილმა უმუშევრებმა) ქალიშვილზე უარი თქვეს, ხოლო ქირურგი რამაზ დათიაშვილი, რომელმაც გოგონას ფეხებთან ერთად სიცოცხლეც შეუნარჩუნა, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მუშაობს.



რასა 1982-სა...



და 1997 წელს.

# ბარაქი მარცხს უწინასწარმეტყველებს ნეთანიახუს

ისრაელში დამთავრდა ოპოზიციური შრომის პარტიის მეთაურის არჩევნები, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. პარტიის მრავალი წლის ლიდერმა შიმონ პერესმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, რის შედეგადაც გამარჯვება მოიპოვა ეგუდ ბარაქმა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ბარაქის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ორ ძირითად პოლიტიკურ პარტიას სათავეში უდგანან ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ ისრაელში. 55 წლის ბარაქი, ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტის აზრით, გახდა ისრაელ მშვიდობის მომხრეთა იმედი. თვით გამარჯვებული დარწმუნებულია, რომ შეძლებს მოუგოს მომავალი არჩევნები პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიახუს, რომელიც „ლიკუდის" პარტიის ლიდერია. ეგუდი ბარაქი ამტკიცებს, რომ ამისათვის სულაც არ არის საჭირო 2000 წლის ლოდინი, ვინაიდან მემარჯვენე პარტიების კოალიციური პარტია ნეთანიახუს მეთაურობით გაცილებით უფრო ადრე დაიშლება. საგულისხმოა, რომ ნეთანიახუ ბარაქის ხელმძღვანელობით მსახურობდა ელიტურ დივერსიულ-სადაზვერვო ქვეგანაყოფში „საიერეტ მატკალი".



სიერა-ლეონეში, სადაც სამხედრო გადატრიალება მოხდა, მიმდინარეობს უცხოელთა და ადგილობრივ მოქალაქეთა ევაკუაცია.

• სურათზე: ამერიკელ ქვეით ჯარისკაცებს ქვეყნიდან გაჰყავთ დაობლებული ბავშვები.

# ექსკურსიაზე — პრემიერ-მინისტრის ბინაში

დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრის მეუღლემ შერი ბლერმა წამოაყენა „კარგახსნილი მთავრობის" ინიციატივა, იუწყება ფრანს პრესი. მან დაამსხვრია წინათ არსებული ტრადიცია, რომლის შესაბამისად ბავშვები არ დაიშვებოდნენ ბრიტანეთის პრემიერთა დაუნინგ-სტრიტის № 10-ის რეზიდენციაში, და იქ დაიწყო ცხოვრება შვილებთან ერთად. მისის ბლერი მიღწეულს არ დასჯერდა და გადაწყვიტა, რომ აქ სხვა ბავშვებმაც უნდა იარონ. სწორედ ამიტომ, 10 დღის შემდეგ, ბავშვთა პირველი ჯგუფი მოაწყობს ექსკურსიას პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში. მეორე — ივლისის დამდეგს არის დანიშნული. ერთადერთი, ის არ იციან, გაჰყვებიან თუ არა ექსკურსიამძღოლებად პატარებს მინისტრები.

# ტურიზმი — ბიზნესის წყარო

როგორც ჩანს, ახლო მომავალში ტურისტული ბიზნესი შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შეიძლება გახდეს, წერს იაპონური გაზეთის „დეილი იომიურის" კორესპონდენტი. აშშ ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, მარტო 1996 წელს ამერიკამ ტურისტული ბიზნესით მილიარდ დოლარზე მეტი იშოვა. შარშან შეერთებულ შტატებში იყო 46 მილიონზე მეტი ტურისტი. როგორც აღმოჩნდა, ამერიკის ღირსშესანიშნაობანი ყველაზე მეტად მოსწონთ იაპონელებს. გასულ წელს შეერთებულ შტატებში იაპონელ ტურისტთა რაოდენობამ 5,5 მილიონი კაცი შეადგინა. იაპონიის შემდეგ ვაჭრობის სამინისტროს სიაში მოდიან დიდი ბრიტანეთი და გერმანია, ხოლო სულ ბოლოს არიან საფრანგეთი და სამხრეთი კორეა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა–სპორტის" მასალების მიხედვით •
უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

## თემის გაგრძელება

რომან მიმინოშვილი:

# „დროა შემუშავდეს ქართული ფეხბურთის განვითარების ეროვნული კონცეფცია"

რომან მიმინოშვილი და მე ტკბილად მოსაგონარი სტუდენტური წლებიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ კარგად ვიცი, როგორ უყვარს და ესმის სამყაროს ეს მერვე საოცრება — ფეხბურთი. როცა 50-იან თუ 60-იან წლებში თბილისში საფეხბურთო ციებ-ცხელება ცას წვდებოდა, რამდენიმე დიდი მატჩი ერთადაც გვენახავს; ოღონდ ბატონ რომანს თუ საფეხბურთო გული (პლუს „შემატკივრობა") დღემდე მთლიანად შემორჩა, თუ ყველა „საქომაგო ნერვი" დღემდე უთრთის, ჩემზე, ჩემდა სანანებლად, ამასვე ვერ ვიტყვი... ეგეც კია, რომან მიმინოშვილს — პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ფუნქციურადაც „ევალდებულება" ჩვენი საქმენი საფეხბურთონი (სპორტის ქვეკომიტეტი ამ კომიტეტის ერთ-ერთი დანაყოფია)...

საუბრის დასაწყისში ბატონ რომანს პირდაპირ „დაკითხვა" მოვუწყე და ორი „საიდუმლო" წამოვაცდენინე: რომ უშუალოდ მეგობრობდა ანდრო ჟორდანიას, ავთანდილ ჭაიჭაძეს, ანატოლი ნორაკიძესა და მიხეილ მესხს; რომ სხვადასხვა თაობაში გამორჩევით მოსწონდა (და მოსწონს), კვლავ ქრონოლოგიურად თუ ჩამოვთვლით, ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვლადიმერ მარღანია, ავთანდილ ღოღობერიძე, ზაურ კალოევი, მოთა იამანიძე, ვლადიმერ ბარქაია, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე (აგერ, დღევანდელობამდეც მოვედით). საუბარი კი ასე გაგრძელდა:

*— ბატონო რომან, „საქართველოს რესპუბლიკამ" სპორტის გვერდზე, რომელიც ყოველდღიური და, გავბედავ მტკიცებას, პოპულარული გახდა, სერიოზული მსჯელობა წამოიწყო ქართული ფეხბურთის პრობლემებზე. მაგალითად, სამ ნაწილად გამოქვეყნდა ბატონ თემურ შირიანაშვილის ვრცელი წერილი, სადაც მწვავედ არის გაკრიტიკებული ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა...*

— გამიჭირდება მონაწილეობა ქართული ფეხბურთის პრობლემებზე დისკუსიაში. რა თქმა უნდა, გულშემატკივრობის ხანგრძლივი სტაჟი შეიძლება ქმნიდეს ილუზიას, რომ ბევრი რამ სხვაზე უკეთესად მესმის; მაგრამ თანამედროვე ფეხბურთზე სჯა-ბაასი და სწორი დასკვნების გამოტანა სულაც არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, თუ ვის რამდენი მატჩი უნახავს ან რამდენი უთამაშია.

დღეს საკითხს ძველი საზომით ვეღარ მივუდგებით. ვთქვათ, ასე: ჩვენ რომ „კარგი" ფედერაციის პრეზიდენტი გვყავდეს, ან „კარგი" მწვრთნელი გვყავდეს, საქმეც კარგად იქნებოდა? არაფერიც არ იქნებოდა! მოხუცი ხოტაბიჩივით სასწაულებს ვერავინ მოახდენს. დღეს მსოფლიოს ფეხბურთი სულ სხვა პრინციპებით ვითარდება, ვიდრე თუნდაც ამ საუკუნის პირველ ნახევარში. „პირველი მერცხლის" ენთუზიაზმის დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა.

*— მაგრამ რა ვუყოთ ამ ჩვენს სავალალო საფეხბურთო რეალობას — რომ ქვეყნის პირველობა უფერული, უინტერესო, უხარისხო გახდა, რომ ნიჭიერი მოთამაშენი ლამის მასობრივად მიდიან უცხოეთში, რომ ძირეული, არსებითი ცვლილებების საჭიროება ასე მწვავედ იგრძნობა...*

— თანამედროვე ფეხბურთი დიდი ბიზნესის, თუ გნებავთ, დიდი ინდუსტრიის სფეროა და მანუფაქტურული მეთოდებით კონკურენცია შეუძლებელია; როგორ პგონია ვინმეს — ჩვენმა ბიჭებმა ასე მასობრივად დაკარგეს პატრიოტული გრძნობა, რომ სამასამდე ფეხბურთელი საზღვარგარეთ თამაშობს? არა, რა თქმა უნდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ბევრი გულშემატკივრისათვის ფეხბურთი შეიძლება მხოლოდ გართობა გახლდეთ, სპორტსმენისათვის კი პროფესია და არსებობის წყაროა, თანაც არა მარტო აქტიური მოღვაწეობის პერიოდში, არამედ მომავალშიც. სწორედ ამან გამოიწვია სპორტსმენთა მიგრაცია, თორემ მრავალ მათგანთან მისაუბრია და ვიცი, რომ ბედნიერნი იქნებოდნენ, სამშობლოში თუნდაც სანახევრო ანაზღაურება რომ ჰქონდეთ.



ვამბობთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე დაბალია; აბა, როგორ შეიძლება ამაღლდეს, როცა ნაკრების საბაზო გუნდი, თბილისის „დინამო" ლამის ყოველწლიურად ხელახლა იქმნება? როგორ შეიძლება მაღალი იყოს, თუ ყოველწლიურად სამასამდე საუკეთესო ფეხბურთელი ჩემპიონატში არ მონაწილეობს? მათგან ხომ ორი ლიგა — უმაღლესი და პირველი დაკომპლექტებოდა? რა გამოდის — ჩვენი პირველობა მესამე ლიგის გუნდებით, ანუ გულშემატკივრების ჟარგონით თუ ვიტყვით — „ჭე-კლასით" არის წარმოდგენილი?

არა მგონია, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებამ გვიშველოს — ვთქვათ, 16-ის მაგიერ 8 გუნდის დატოვებამ და მათმა ოთხ-ოთხჯერ შეხვედრამ. ამ ლოგიკით უაზრობამდე მივა საქმე, ასე შეიძლება ორი „სუპერგუნდი" დავიტოვოთ და ერთმანეთს 30-ჯერ შევახვედროთ!

*— თქვენ საშუალება გქონდათ ჩვენი ნაკრების საზღვარგარეთული შესარჩევი მატჩები უშუალოდ „ადგილზე" გენახათ; სხვათა შორის, ეს მდგომარეობითაც გევალებოდათ; როგორ გამოიყურებოდა ჩვენების იქაური თამაში საზღვრებს მიღმა გასული კაცის თვალში?*

— ქართული ფეხბურთის პოტენციალი მაღალია. ბევრ ქვეყანას შემშურდებოდა ასეთი რეზერვი. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის არა მგონია სამარცხვინო იყოს იტალიის ნაკრებთან პერუჯაში მინიმალური ანგარიშით, ასევე ლონდონშიც, დამარცხება (ინგლისის ნაკრებთან შეხვედრისას ჩვენს კარში მეორე გოლი ისეთივე გაუგებრობა გახლდათ, როგორც ატლანტაში დავით ხახალეიშვილის „წონის დაკარგვა"). თამაშის ბოლომდე ბეწვზე ეკიდა ალბიონელების ბედი და მეგირდებივით სულაც არ გამოვიყურებოდით. ცხადია, ეს არ გამოგვადგება ნუგეშად. მომხდარიყო თუნდაც სასწაული და გაგვემარჯვა იტალიაში ან ინგლისში, ამით რა შეიცვლებოდა?

*— ბატონო რომან, მოგეხსენებათ, საერთოდ დაწუნება, გადახაზვა, გაკრიტიკება იოლი საქმეა და აკი არც გვიჭირს ხოლმე... ისა ვთქვათ, რა ვქნათ, რა ვილონოთ, გაზეთების ფურცლებზე ლაპარაკიდან რეალობაზე როგორ გადავიდეთ, მძიმე ვითარება როგორ შემოვაბრუნოთ?*

— საჭიროა არა მხოლოდ ძირეული რეორგანიზაცია, არამედ ჩვენი, ქომაგებისა თუ გულშემატკივრების მენტალიტეტის შეცვლაც. ამას კი ვერ შეძლებს ვერც ფეხბურთის ფედერაცია, ვერც სპორტის დეპარტამენტი. წლები სჭირდება თანამედროვე საფეხბურთო ქვეყნისათვის შესაფერისი მოდელის შექმნას, როგორც ფინანსურ-მატერიალური, ისე პროფესიული და მორალური თვალსაზრისით; ოღონდ ის ბედნიერი ჟამი, როცა ეს საკითხები მოგვარდება, სულ უფრო გვშორდება და ლამის ჰორიზონტს მიეფაროს. ეს რომ არ მოხდეს, რაღაც ნაბიჯები დღესვე უნდა გადაიდგას. ჩვენ ნათლად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, რისკენ ვისწრაფვით. სწორედ ამიტომ, ალბათ, დროა შემუშავდეს ქართული ფეხბურთის განვითარების ერთიანი ეროვნული კონცეფცია და პროგრამა, რომელშიც ეტაპობრივად იქნება წარმოდგენილი ფეხბურთის განვითარების გზები. ეს, პირველ რიგში ფეხბურთის ფედერაციისა და სპეციალისტთა გასაკეთებელია და თუ სათანადო განხილვის შემდეგ პროგრამას გაიზიარებს საზოგადოებრიობა, თუ ყველა — გულშემატკივარიც, სპეციალისტიც, სახელმწიფო მოხელეც, პარლამენტარიც თავის წილ აგურს დადებს, ქართული ფეხბურთის სასურველი შენობაც აიგება. მანამდე კი, რას იზამ, — „ისლის ქოხში" მოგვიწევს ყოფნა!

...კომიტეტის თავმჯდომარის ბოლო სიტყვებმა კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ლექსი გამახსენა: „ისლის სახლი, ისლის სახლი, ქარი, ქარი, ქარი, შენ მაჩვენე მზის სიახლე და ზღაპრების მხარე"... ვინატროთ — ეგებ გამოჩნდნენ ქართულ ფეხბურთში ისეთი მოღვაწენი, ვინც მზის სიახლესაც შემოიტანენ და ზღაპრულ თამაშთანაც ნელ-ნელა მიგვაახლოებენ...

**თამაზ ებანოიძე.**

## ძიუდო

# სოსო გოგნაძის პრიზზე

ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარის მკვიდრი სოსო გოგნაძე 1967-74 წლებში ცნობილი იყო, როგორც ამომავალი ვარსკვლავი საქართველოში მოჭიდავეთა შორის.

იგი გახლდათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ჭიდაობა სამბოში მსოფლიო ვიცე და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. მას მრავალი ჯილდო და პრიზი ჰქონდა მიღებული სხვადასხვა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე.

ბოლო წლებში სოსო გოგნაძე გამოდიოდა, როგორც უზბეკეთის წარმომადგენელი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში პასუხსაგებ თანამდებობაზე...

ამ დღეებში სოსოს მშობლიურ სოფელ ზვარეში (ღია სარბიელზე, რომელსაც მთელი სოფელი ესწრებოდა), გაიმართა პირველი საქალაქთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. მონაწილეობდნენ ქუთაისის, ხაშურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის ჭაბუკი ფალავნები.

შეჯიბრებაზე ასზე მეტი მოჭიდავე გამოვიდა. შეხვედრები საინტერესოდ წარიმართა და პირველი ადგილი წილად ხვდა ხარაგაულის ნაკრებ გუნდს.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ და შეხვედრებს სჯიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი რამაზ ხარშილაძე და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი სოსო გოგნაძის ძმა ბორის გოგნაძე.

პირად პირველობაზე წონითი კატეგორიის მიხედვით გაიმარჯვეს ხარაგაულელმა მამუკა არევაძემ, ალექსანდრე, გიორგი მაჟიძეებმა, ნუგზარ მაღრაძემ და გიორგი მეგრელიშვილმა.

ასევე პირველი ადგილები მოიგეს ქუთაისელმა ალეკო გაბუნიამ, რუსლან გედენიძემ, კოტე ხინგავამ, დავით ბალანჩივაძემ, გიორგი სებისკვერაძემ და ხაშურელმა ალექსანდრე მეხიშვილმა.

გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. სოსო გოგნაძის პრიზი მიეკუთვნა ხარაგაულელ გიორგი მეგრელიშვილს.

პრიზები საუკეთესო ტექნიკისათვის გადაეცათ ხარაგაულელ მამუკა არევაძეს და ქუთაისელ დავით ბალანჩივაძეს.

სოსო გოგნაძის სახელობის მემორიალი საინტერესოდ ჩატარდა. კარგი დასაწყისი იმედს იძლევა, რომ ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდება.

**ჰენრი შარიძაძე,**
„სრ" საკ. კორ.

## ჩოგბურთი

# ვინ ავა კვარცხლბეკზე?



ცოტა კიდევ და საფრანგეთში მიმდინარე უდიდესი საჩოგბურთო ტურნირის „როლან გაროსის" კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავლენ გამარჯვებულები. თუ ვინ იქნებიან ისინი, სამწუხაროდ, დაბეჯითებით ამის თქმა ახლა არ შეგვიძლია, ვინაიდან ვაჟთა ნახევარფინალები წუხელის გვიან დამთავრდა. ქალთა ტურნირის ფინალში კი უკვე გაეიდა მთავარი ფავორიტი — მარტინა ჰინგსი. საქმეში ჩახედულთა უმრავლესობა ხომ სწორედ მას უწინასწარმეტყველებს პირველ ადგილს. ნახევარფინალში მან უძლიერესი მოწინააღმდეგე მონიკა სელეში დაამარცხა.

**სურათზე:** ქალთა შორის მსოფლიო პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგსი.

## ყოველი მხრიდან

### ლეოპარდს ლომი ამჯობინეს

ყოფილი ზაირის, რომელიც ახლა უკვე კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკად იწოდება (არ შეგვეშალოთ კონგოში, რომლის დედაქალაქი ბრაზავილია), ფეხბურთელთა ნაკრებმაც შეიცვალა თავისი არაოფიციალური სახელი. „ლეოპარდები" ამიერიდან „ლომებად" გადაკეთდნენ. საქმის არსი ისაა, რომ ლეოპარდი იყო ქვეყნის თავისებური სიმბოლო, როდესაც მას ამჟამად დამხობილი პრეზიდენტი მობუტუ სესე სეკო მართავდა. ამ ქვეყანაში ბევრსა სწამს, რომ ზოგიერთ ადამიანს შეუძლია გარდაიქმნას ამ ხალიან მხეცად — სწორედ ასეთ „ჯადოქრებს" მიაკუთვნებდნენ ყოფილ დიქტატორს, რომელიც ემხრობოდა ასეთ რწმენას. მას ადიდებდნენ როგორც ადამიან-ლეოპარდს. მობუტუ ხალხში გამოჩნდებოდა ხოლმე ლეოპარდის ტყავის ქუდით.

### ჯენტლმენები არ გადაშენებულან

ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო ავლანჟმა განაცხადა, 1997 წლის შედეგების მიხედვით Fair play-ის პრიზის მთავარი პრეტენდენტი იქნება ინგლისელი რობი ფაულერი. ამის საბაბი კი გახდა „ლივერპულის" თავდამსხმელის ნამდვილად ჯენტლმენური საქციელი.

ქვეყნის პირველობაზე „არსენალთან" შეხვედრის დროს ერთ-ერთ მწვავე მომენტში მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა ლონდონელთა კარში იმ მიზეზით, რომ თითქოსდა ფაულერს უხეშად ეთამაშნენ. თანაგუნდელებიც და გულშემატკივრებიც აღფრთოვანებით შეხვდნენ ასეთ გადაწყვეტილებას. მაგრამ ფორვარდი მივიდა მსაჯთან და მოსთხოვა გადაწყვეტილების შეცვლა — ჩემს წინააღმდეგ წესების არავითარი დარღვევა არ ყოფილაო.

### უჩვეულო რეკორდი

დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში მოსახვედრად. ახლა შესარჩევი ტურნირები თითქმის ყველა კონტინენტზე მიმდინარეობს. ამ დღეებში გაიმართა აზიის მეორე ჯგუფის მორიგი მატჩი — ირანი მასპინძლობდა მალდივს. ირანელებმა, რომელთა შორის აზიური ფეხბურთის „ვარსკვლავებიც" იყვნენ, დიდი ალმაცერობით ითამაშეს და, შეიძლება ითქვას, გაანადგურეს მოწინააღმდეგე — 17:0. ესაა ყველაზე დიდი გამარჯვება, უფრო სწორად, ყველაზე დიდი ანგარიში მსოფლიო პირველობების მთელ ისტორიაში.

ესეც რეკორდია!

# თბილისის უნივერსიტეტი

№130, შაბათი, 7 ივნისი, 1997 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | №3


## ექო სიჭაბუკის დღესასწაულისა


კონცერტის დასკვნითი აკორდი.


სრულდება სტუდენტური ჰიმნი „გაუდეამუსი“.

ძნელბედობის წლებმა თითქოს დაგვავიწყა ტრადიციადქცეული სტუდენტური დღეები, რომელიც ყოველ გაზაფხულს იმართებოდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და გადაიზრდებოდა ხოლმე ღირსსახსოვარ ფესტივალებსა თუ სტუდენტ სპორტსმენთა ასპარეზობებში საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა გამოსავლენად.

„სტუდენტური დღეების“ მთავარი მოვლენა სამეცნიერო კონფერენციები იყო — კურსებიდან, ფაკულტეტებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან დაწყებული, რესპუბლიკურ მასშტაბს რომ იძენდა და თვალნათლივ ამჟღავნებდა თუ როგორი სამეცნიერო პოტენციის მქონე თაობა ეზრდებოდა ქვეყანას.

დამოუკიდებელ საქართველოში მხოლოდ შარშან გახდა შესაძლებელი ამ ტრადიციის აღდგენა.

მაშინ გაზაფხულმა და სიხარულმა კვლავ შემოაბიჯა ჩვენი სასწავლებლების დერეფნებსა და აუდიტორიებში, საკონფერენციო და სპორტულ დარბაზებში.

წლეულს კი ზეიმმა მთელი თავისი ბრწყინვალებით შთაგვაგონა და გაგვახარა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა 14 აპრილიდან 26 მაისის გვიან საღამომდე სტუდენტური დღეებით ცხოვრობდა, ილვწოდა და უმაღლესი განათლების მეწინავეობის თავისი კუთვნილი მისია წარმატებულად შეასრულა.

22 მაისს, ფილარმონიის დიდ დარბაზში დასკვნითი კონცერტისა და ნომინანტთა დაჯილდოების დღეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს ფესტივალის საგანგებო პრიზი როცა გადასცა, როინ მეტრეველმა ხმამაღლა განაცხადა: ბუნებრივია, გვაამაყებს, რომ ქვეყნის პირველმა სასწავლებელმა ეს პრიზი დაიმსახურა, ამასთან, უნდა გითხრათ, რომ იგი მიმაჩნია ჯილდოდ ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ძალისხმევისა, ასეთი შთამბეჭდავი დღესასწაული რომ გვაჩუქეს.

თბილისის უნივერსიტეტის გამოსვლა მხატვრული თვითმოქმედების კონკურსში ჟიურიმ ხუთ ნომინაციაში დააჯილდოვა: კლასიკური და თანამედროვე მუსიკის კამერული ორკესტრი, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი — „პატარა ვირტუოზები“, ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი — „გენები“, მხატვრულ კითხვაში — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ქეთი გოდერძიშვილი, საუკეთესო წამყვანი კონფერანსიე — ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი დავით გოგიჩაიშვილი.

დიპლომებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ცალკეული შემსრულებლები და ანსამბლები.

### სტუდენტური დღეები-97

14აპრილი-26მაისი

### სპორტული ასპარეზობები

#### მოჭიდავეები ტრადიციას არ ღალატობენ

19 მაისს დილმის საჭიდაო კომპლექსს მიაშურეს რვა უმაღლესი სასწავლებლის ფალავნებმა.

თავიდანვე დაწინაურდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის ეკონომიკის ინსტიტუტის გუნდები. ლიდერები ფინალშიც ერთმანეთის ღირსეულ მეტოქეებად დარჩნენ.

მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი მათვე გაიყვეს.

უნივერსიტეტელთაგან წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს იურიდიული ფაკულტეტის მესამეკურსელმა კახა დობორჯგინიძემ, პირველკურსელმა ნიკოლოზ ბეგაშვილმა, ისტორიის ფაკულტეტის მეორეკურსელმა ალექსი მოდებაძემ, ეკონომიკის ფაკულტეტის პირველკურსელმა დავით გოშა-

იხ. მე-6 გვ.


ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი "გენები".


ორიგინალური ჟანრის შემსრულებელი გია ჭანტურია.


მთავარი პრიზი რომელიც გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

# ექო სიჭაბუკის დღესასწაულისა

ძემ. მეორე ადგილებზე არიან საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეორეკურსელი ნოდარ ჭილლაძე, ისტორიის ფაკულტეტის მეორეკურსელი არჩილ გოგიშვილი. მესამეზე – საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის მეორეკურსელი მიხეილ კოპალეიშვილი, ეკონომიკის ფაკულტეტის მეორეკურსელი შოთა ბილინაშვილი.

## მკლავჭიდი

### დიდი უპირატესობით

ათიოდე წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მაშინდელი ახალგაზრდობისათვის უჩვეულო მასობრივი ასპარეზობა გაიმართა.

სცენაზე დადგმულ სპეციალურ მაგიდებთან ხელის გადაწევაში თავიანთ ძალას ცდიდნენ ჭაბუკები.

ეს იყო მიზანსწრაფი და ჯიუტი ხასიათის თბილისელი ბიჭის ვახტანგ მუსელიანის შეუპოვარი მონდომების შედეგი.

იმ დღიდან ვახტანგ მუსელიანი ჩვენში მკლავჭიდის კერპად იქცა. სწორედ მისი მცდელობით ქართველი მკლავჭიდელები შთამბეჭდავი გამარჯვებებით აგვირგვინებენ თავიანთ გამოსვლებს მსოფლიო პირველობებსა თუ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ თბილისის უნივერსიტეტში დაედო პირველად სათავე მკლავჭიდს. იგი დიდად პოპულარულია ახალგაზრდებს შორის და სტუდენტური დღეების სპორტულ ასპარეზობათა პროგრამაშიც ამიტომ არის შეტანილი.

როგორც შარშან, წლეულსაც თბილისის უნივერსიტეტელთა უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა მსოფლიო ჩემპიონ უნივერსიტეტელ მკლავჭიდელთა გუნდიდან ბევრი აღიარებული სპორტსმენი არ გამოსულა სარბიელზე.

22 მაისს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ხუთი წონითი კატეგორიიდან ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი თამაზ ჩუტკერაშვილი (70 კგ.), საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი ვაჟა სამხარაძე (80 კგ.), იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ერეკლე გურჩიანი (90 კგ.), კომერციის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ვახტანგ ჯაფარიძე (მძიმე წონაში). მესამე საპრიზო ადგილზეა ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ბესიკ ლეკიშვილი (60 კგ.).

დასასრული.

დასაწყისი იხ. მე-5 გვ.

## მეცნიერება

### 1000-მდე ნაშრომი

58-ე სამეცნიერო კონფერენცია უნივერსიტეტში სტუდენტთა მნიშვნელოვან ფორუმად იქცა. 871 სტუდენტმა წარადგინა მოხსენებები ჟიურის სამსჯავროზე. თუ ამას დავუმატებთ კონფერენციებს ახალციხისა და სიღნაღის ფილიალებში, უნდა ითქვას, რომ 1000-მდე სტუდენტმა მოამზადა სამეცნიერო თემა.

საუკეთესონი მივლინებულ იქნენ რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში, გორსა და ბათუმში გაიმართა. მკაცრი შერჩევის პირობებში უნივერსიტეტის ათმა სტუდენტმა დაიმსახურა პირველი ხარისხის დიპლომები.

აი, ისინიც: მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამეკურსელი გიორგი ავალიშვილი, ფიზიკის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი დიმიტრი ფეიქრიშვილი, ბიოლოგიის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი ლინია ხარაზიშვილი, ქიმიის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი ავთანდილ ზირაქიშვილი, ინფორმაციისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის მესამეკურსელი ეკა გორდეზიანი, ფილოსოფიის ფაკულტეტის მეოთხეკურსელი თეა თოფჩიშვილი, სოციოლოგიის ფაკულეტის მეორეკურსელები დათო სუბელიანი და გიორგი ხოშტარია, ფილოლოგიის ფაკულტეტის მეხუთევურსელი ნინო ჯორბენაძე, ისტორიის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი გიორგი კალანდია.

განზრახულია საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებში გამარჯვებულ ნაშრომთა დაბეჭდვა-გამოქვეყნება.

## მინი ფეხბურთი

### შთამბეჭდავი გამარჯვება

მინი ფეხბურთელთა ასპარეზობაში კენჭისყრამ შეჯიბრების მთავარი ფავორიტები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის გუნდები ნახევარფინალში შეახვედრა ერთმანეთს. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში შეკრებილი მაყურებელი მშვენიერი სანახაობის მოწმე გახდა.

ეს დაძაბული, საინტერესო მატჩი უნივერსიტეტელებმა დამაჯერებლად მოიგეს – 5:1.

მატჩის შემდეგ ზოოვეტერინარების რექტორმა, პროფესორმა კამო ქართველიშვილმა გულითადად მიულოცა უნივერსიტეტელებს გამარჯვება და ფინალში წარმატება უსურვა.

პირველი ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის პედაგოგიური უნივერსიტეტის გუნდები.

თბილისელებმა კვლავ დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს – 5:2.

## მარათონი

### რას იფიქრებდა 16 წლის წინათ...

ზიგმუნდ ზილბერშტეინმა 24 მაისს ვაკის პარკის წინ შეკრებილ მრავალრიცხოვან სპორტის მოყვარულს ნამდვილი სიურპრიზი მოუმზადა.

მოკლე მარათონულ დისტანციას თავისუფლების მოედანზე 11 საათზე მისცეს სტარტი. გამარჯვებულს ფინიშზე ჯილდოდ მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ-2108“ ელოდა.



ზიგმუნდ ზილბერშტეინი ფინიშთან.



სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი ავტომანქანის გასაღებს გადასცემს გამარჯვებულს.

ავტომანქანის მსურველ ხუთას მონაწილეს შორის იყო ისიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ზიგმუნდ ზილბერშტეინი.

ამ შეჯიბრებისათვის ზიგმუნდი სერიოზულად ემზადებოდა. მან იცოდა, რომ ფიზიკური კულტურის აკადემიაში ძლიერი მარათონელები სწავლობენ და დიდ ბრძოლას ელოდა.

ზუსტად 11 საათსა და 17 წუთზე ვაკის პარკის წინ ფინიშთან შეკრებილმა მსაჯებმა და გულშემატკივრებმა სწორედ მას მიულოცეს გამარჯვება.

მეორე სპორტსმენი მხოლოდ სამი წუთის შემდეგ გამოჩნდა ჰორიზონტზე.

– ვფიქრობდი, დაძაბული პაექრობა მექნებოდა. თავიდანვე ამ განწყობით დავიწყე მარათონი, გამოირკვა, რომ არც ისე ყოფილა საქმე, მაგრამ თავში მიტრიალებდა: ე, მანდ არაფერი მოხდეს... ავტომანქანის მოგება ხუმრობა საქმე ხომ არ არის. და სულ უფრო და უფრო სწრაფად მოვრბოდი, – იტყვის ზიგმუნდი ფინიშის შემდეგ ჟურნალისტის მიკროფონთან.

16 წლის წინათ დაუწყია მას ვარჯიში სირბილში... რას იფიქრებდა მაშინ პატარა ბიჭი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი მონდომება ასეთ შედეგს მოიტანდა.

გამარჯვებულთა დაჯილდოებისას ზიგმუნდ ზილბერშტეინს ავტომანქანის გასაღები სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა გადასცა.



ტურნირში გამარჯვებული ფეხბურთელთა გუნდი.

## აპოთეოზი რესპუბლიკის მოედანზე

26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე სტუდენტური დღეების აპოთეოზი იყო. თბილისის ყველა სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა ინტერმედიის კონკურსში.

სახელმწიფო უნივერსიტეტელებს აქაც არ ჰყავდათ ბადალი.

რესპუბლიკის მოედანზე მოსულმა ათასობით მაყურებელმა მქუხარე ოვაციით დააჯილდოვა სტუდენტთა შემოქმედება. სტუდენტური დღეების დედოფალი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის მოდელირების სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი ანა კანდელაკი.

გივი შეყილაძე.
ავტორის ფოტო.



სტუდენტური დღეების დედოფალი ანა კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალებში

# კოლხეთის აკადემიის ნაფუძარზე



ზუგდიდის ფილიალის დაარსებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სულიერების კეთილისმყოფელი ფესვები ააღორძინა საქართველოს ძირძველ მიწაზე – კოლხეთში. ამ კურთხეულ მხარეში განათლებისა და კულტურის თვალსაჩინო მოწმობაა უძველესი ცივილიზაციის წიაღში აღმოცენებული კოლხეთის სახელგანთქმული აკადემია, რომლის „რიტორიკის ნაყოფს“ ჩვენს წინაპრებთან ერთად ეწაფებოდნენ მაშინდელი მსოფლიო კულტურის შემოქმედი ელინებიც. შემდგომი დროის ისტორიულმა ძნელბედობამ, მართალია, სულიერი კულტურის განვითარებასაც დაატყო მსახვრალი ხელი, მაგრამ ამ წყაროსთვალთან დამაკავშირებელი ძაფები არასოდეს გამწყდარა. ამიტომაც დედაუნივერსიტეტის ფილიალი კანონზომიერად აღიქმება კოლხეთის აკადემიის მორეულ მემკვიდრედ.

ზუგდიდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის დაფუძნება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის უშუალო დაინტერესებით და ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. ტევადი და დიდი დატვირთვის მქონეა მისი სიტყვები, რომ „ზუგდიდში თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის გახსნით გაჩნდა ქართული კულტურის, განათლების, მეცნიერების კიდევ ერთი კერა“.

აღსრულდა ჩვენი კუთხის მკვიდრთა ოცნება – ალმატებულად აღსდგა საუნივერსიტეტო დაწესებულება, რომელიც 1954 წელს გაურკვეველი მიზეზებით გააუქმეს.

კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ზუგდიდის ფილიალის არსებობა გულისხმობს სწავლა-აღზრდისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვას საუნივერსიტეტო სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე.

საყოველთაო სიხარულის და ზეიმის შემდეგ დაგვიდგა ჩვეულებრივი დღეები თავისი პრობლემებითურთ.

შარშან, ოქტომბერში უმაღლესი განათლების ფილიალის ოთხი ფაკულტეტის 12 სპეციალობაზე მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ფილოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, მათემატიკა, ფიზიკა და ბიოლოგია, ახალგაზრდობამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოავლინა სასწავლებლისადმი, მისაღებ გამოცდებზე ერთი საკონკურსო ადგილისათვის სამი აბიტურიენტი იბრძოდა. მართალია, ყველა მსურველი სასწავლებელში ვერ მოხვდა, მაგრამ გამოცდებმა საშუალება მოგვცა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მიგვეღო ცოდნის შეძენას მოწყურებული ჭაბუკები და ქალიშვილები.

ფილიალისადმი ინტერესის დადასტურებაა ისიც, რომ ჩვენთან სწავლობენ ახალგაზრდები შედარებით შორეული რაიონებიდან, ხოლო ყოველი მეათე სტუდენტი აფხაზეთიდან დევნილია. 1997-98 სასწავლო წელს ჩვენი სამოქმედო სივრცე ბევრად გაფართოვდება, ამის სასიკეთო წანამძღვრები უკვე გამოიკვეთა.

ყოველი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კოლექტივის ჩამოყალიბება. დროის მოკლე მონაკვეთში ეს პრობლემა ძირითადად გადაეწყვიტეთ.

რეგიონში მომუშავე მეცნიერებთან ერთად მხარში ამოგვიდგნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები, რამაც საშუალება მოგვცა სწავლება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე დაგვეყენებინა. საგულისხმოა, რომ ფილიალში არსებულ ოთხ გამსხვილებულ კათედრას სათავეში ჩაუდგნენ რესპუბლიკაში ცნობილი მეცნიერები.

ბუნებრივია, ფილიალი უნდა განვითარდეს და გაიზარდოს. 1997-1998 სასწავლო წლისათვის დამატებით გავხსნით რამდენიმე ტრადიციულ საუნივერსიტეტო სპეციალობას. ვილვწით საჭირო მატერიალური ბაზის შესაქმნელად და შესაბამისი პროფილის პროფესორ-მასწავლებელთა მოსაწვევად.

ბევრი თვალსაჩინო მეცნიერი სურვილს გამოთქვამს, არა მარტო ითანამშრომლოს ჩვენთან, არამედ საცხოვრებლადაც ზუგდიდში გადმოვიდეს. რა სიძნელეებთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული ამის განხორციელება, იგი დადებითად უნდა გადაწყდეს. უნდა მოვახერხოთ მათთვის ცხოვრებისა და მუშაობის სათანადო პირობების შექმნა. ამასთანავე, ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვანი მომენტია ზრუნვა კადრების მოსამზადებლად. ჩვენმა ორმა ახალგაზრდა თანამშრომელმა უკვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სამი კი წლის ბოლომდე სადოქტორო დისერტაციის დასაცავად ემზადება.

შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი აღზრდილები საქართველოსა და უცხოეთის სასწავლებლებისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ასპირანტურაში გააგრძელებენ სწავლას.

საჭიროა, ფილიალის კურსდამთავრებული საფუძვლიანად ფლობდეს ერთ უცხო ენას მაინც. მით უფრო, თუ იგი სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ემზადება. უცხო ენების გაძლიერებულ სწავლებას, ჯერ-ჯერობით, ადგილობრივი კადრებით ვართმევთ თავს, მაგრამ მესამე კურსიდან, ალბათ, გაგვიჭირდება, ისევე როგორც თბილისის უნივერსიტეტის სხვა ფილიალებს. პრობლემას ქმნის შესაბამისი ენის ისტორიისა და თეორიის სპეციალისტების სიმცირე, სათანადო კადრები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს ძლივს აუდის. ეს კი აუცილებელს ხდის, დროულად ვიზრუნოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრებთან და ფაკულტეტებთან ერთად ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ჩვენი მცირერიცხოვანი კოლექტივი გარკვეულ სამეცნიერო პოტენციალს ფლობს. გამოსაცემად მომზადებულია სახელმძღვანელოები ფიზიკის, მცენარეთა ანატომიის, ეკონომიკის, ისტორიისა და ფილოლოგიის დარგებში. საფუძველს ვუყრით საკუთარ გამომცემლობას. გამოდის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ორიონი“ და ლიტერატურულ-სამეცნიერო ალმანახი – „მაფშალია“; გამოსაცემად მზად არის სამეცნიერო შრომების კრებული.

ისე როგორც ყოველ ახალ საქმეს, ჩვენი ფილიალის ცხოვრებას თან სდევს ზრდისა და განვითარებისათვის დამახასიათებელი სიძნელეები. დღევანდელი უმაღლესი სასწავლებელი წარმოუდგენელია გამართული მატერიალური ბაზის გარეშე. სწავლების პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენება ჩვენი უპირველესი საფიქრალი და საზრუნავია. გამოთვლითი მანქანები, ლინგაფონური კაბინეტები, კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, წიგნადი ფონდით მდიდარი ბიბლიოთეკა – აი, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის უმთავრესი მომენტი. ყურადღება და მხარდაჭერა, რასაც ვგრძნობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და მთელი კოლექტივისაგან, მმართველობის სამხარეო და ადგილობრივი ორგანოებისაგან, გვიმტკიცებს რწმენას, რომ ყოველივე ზემოთქმული უახლოეს მომავალში რეალობად იქცევა.

დღეს საქართველოში ბევრი რამ კეთდება განათლების რეფორმის ოპტიმალურად განხორციელებისათვის. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფის გზაზე. ეს ცხოვრების მოთხოვნაა. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ცვლილებებმა ღირებულებათა რადიკალური გადაფასება გამოიწვია. ეს კი მიმდინარე პროცესების ახლებურად გააზრებას და ახსნას მოითხოვს. ასეთ პირობებში არამც თუ ახალგაზრდას, ბევრ მეცნიერსაც უძნელდება სწორი ორიენტირის მონახვა. ყველა უმაღლესი სასწავლებლის ვალია, აქტიურად ჩაებას ძიების საერთო პროცესში და, რაც საგულისხმოა, მასში ჩავრთოს სტუდენტი ახალგაზრდობაც.

დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ საქართველოს განვითარების სამ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის ერთ-ერთი განათლებაა. ამიტომაც ჩვენი კოლექტივის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპად მივვაჩნია აღვუზარდოთ საზოგადოებას განათლებული, ღრმა პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ღირსეული მოქალაქენი.

**ვახტანგ კვარაცხელია,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი.

# ახალციხე საუნივერსიტეტო ქალაქად უნდა იქცეს



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი მე-3 გამოშვებისათვის ემზადება. ჩვენი კურსდამთავრებულები უკვე მუშაობენ სამცხე-ჯავახეთის ყველა რაიონში. ისინი ასწავლიან ყველაზე მაღალმთიანი სოფლების სკოლებში.

სამცხე-ჯავახეთის არაქართული მოსახლეობა ითხოვს ქართული ენის კარგ მასწავლებლებს. საამისოდ გადაიდგა კიდეც გარკვეული ნაბიჯები. ჩვენთან სწავლობენ არაქართულსკოლადამთავრებული მოქალაქეებიც, რომელნიც საერთო კონკურსით მოეწყვნენ. ამასთანავე, შარშან, ადგილობრივი სომხური მოსახლეობის მოთხოვნით, დავაწესეთ სპეციალური ლიმიტები. მივიღეთ ზოგიერთი ისეთი აბიტურიენტიც, რომელმაც ან არ იცოდა ქართული, ან ცუდად იცოდა. მათ პირველ სემესტრში მთელი დატვირთვით გაიარეს ფილიალთან არსებული ქართული ენის შემსწავლელი კურსები. უკვე მეორე კურსიდან თავისუფლად მოისმენენ ლექციებს. ამის გამოცდილება უკვე გვაქვს.

წლეულს გადავწყვიტეთ, არაქართული სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ახალციხის სომხური სკოლის ბაზაზე მისაღებ გამოცდებამდე გაგვეხსნა მოსამზადებელი კურსები ქართულ ენაში. ამ სკოლაში რუსული სკოლის მოსწავლეებიც მოვიდნენ. კურსებზე უკვე დაიწყო მეცადინეობა.

ჩვენივე მომზადებული, შემდეგში სტუდენტი და კურსდამთავრებული ახალგაზრდები ასწავლიან მომავალში ქართულ ენას არაქართულ სკოლებში.

პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, ვფიქრობთ ფილიალის ზოგიერთი ფაკულტეტის ან სპეციალობის გახსნას ახალქალაქში. ახალქალაქის მოსახლეობას განსაკუთრებით სჭირდება დახმარება. იქაური კონტინგენტის მოზიდვით ადგილზე მოვამზადებთ სპეციალისტებს. დღეს ხომ მძიმე ეკონომიკურ პირობებში გაძნელდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უმაღლესი განათლების მიღება.

ახალციხე უნდა იქცეს საუნივერსიტეტო ქალაქად. რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა სერიოზულად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

დღეს მიმდინარეობს ინტეგრაციის თავისებური პროცესი. ამჟამად ჩვენი რეგიონის ახალგაზრდები სასწავლებლად მიდიან არა მარტო საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენს სიახლოვეს არის ორი უძლიერესი საგანმანათლებლო ცენტრი: გუმრი (ყოფილი ლენინაკანი) სომხეთში და ერზრუმი თურქეთში. ახალციხეს სამომავლოდ შეუძლია მათთვის კონკურენციის გაწევა თუ, რა თქმა უნდა, გვექნება ხელშეწყობა.

ახალციხის საუნივერსიტეტო ქალაქად ქცევის იდეას მხარს უჭერს და იწონებს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი.

ფილიალად ყოფნა უპირველესად ნიშნავს დედაუნივერსიტეტზე კადრობრივ, იდეურ და ფინანსურ დამოკიდებულებას. ამ სამთაგან ერთ-ერთის მოშლაც კი გამორიცხავს ფილიალის არსებობის არსს, პრინციპს. ჩვენ ტერიტორიულად მოშორებულნი ვართ დედაქალაქს, მაგრამ 70 პედაგოგი რეგულარულად, ყოველ კვირა ჩვენი ტრანსპორტით დადის თბილისიდან.

სიძნელე ბევრია. ფილიალის პროფესურა რთულ პირობებში ცხოვრობს ახალციხეში. ჩვენი საერთო საცხოვრებელი მხოლოდ ცხოვრების ელემენტარულ პირობებს თუ აკმაყოფილებს.

დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ასპირანტებისა და მაძიებლებისა, რომელთა გათავისუფლება გადასახადისაგან უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ როინ მეტრეველის დახმარების მიუხედავად, ბოლომდე ვერ მოხერხდა.

პირველ რიგში გვჭირდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა დახმარება. ბევრ ჩვენს კოლეგას, მეგობარს, განსაკუთრებით მესხეთიდან წასულ სწავლულებს ვთხოვთ მხარში ამოგვიდგნენ, თავიანთ მამულში თუნდაც ერთი ლექცია წაიკითხონ, რისი უკუგებაც მომავალში იქნება, ჩვენ ხომ მომავლის უნივერსიტეტი ვართ.

**მერაბ ბერაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორი.

თბილისის უნივერსიტეტი

საქართველოს რესპუბლიკა

№130, შაბათი, 7 ივნისი, 1997 წელი.

## სიახლე

# მწვანე შუქი — საუნივერსიტეტო საექთნო განათლებას

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა დიდი გავლენა მოახდინა ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლების სისტემებზე და განაპირობა მათი რეფორმირების აუცილებლობა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილია. სადღეისოდ, ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია თანამედროვე დონის პროფესიული კადრების მომზადება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დარგის რეფორმის წარმატებით განხორციელება და ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის საქმეში, ექიმების საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებულ როლს თამაშობს საექთნო რგოლის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ჩვენი ქვეყნისაგან განსხვავებით, ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში ექთნები გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობენ, მათ აქვთ დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის უფლება, ლიცენზირება-სერტიფიკაციის ჩამოყალიბებული მექანიზმები, განსაზღვრული პროფესიული სტანდარტები, საექთნო დარგში სამეცნიერო კვლევების ჩატარების შესაძლებლობები. ამ ქვეყნებში ექთნები აწარმოებენ პაციენტების ჯანმრთელობის სტატუსის შეფასებასა და მათ დამოუკიდებელ მონიტორირებას, შეუძლიათ სამკურნალო დანიშნულებაში ცვლილებების შეტანა საკუთარი შეხედულებისამებრ ექიმის მიერ წინასწარ მითითებული ფარგლების გათვალისწინებით და სხვ. ექთნები მუშაობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დაავადებათა პროფილაქტიკის სფეროში, ზრუნავენ საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესისა და პრინციპების დანერგვისათვის, რეგულარულად აწვდიან მოსახლეობასა და პაციენტებს სამედიცინო-საგანმანათლებლო ინფორმაციას და ა.შ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი პრესტიჟულს ხდის ექთნის პროფესიას.

უცხოეთში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და პრესტიჟულია ე.წ. „ლიდერი ექთნების“ როლი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ჯანდაცვის სისტემისა და დაწესებულებების საქმიანობის დაგეგმარებასა და მართვაში. ყოველივე ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს ლიდერი ექთნების კანდიდატების განათლების დონეს. სწორედ ამიტომ ლიდერი ექთნები ღებულობენ საუნივერსიტეტო დონის განათლებას სპეციალური სასწავლო პროგრამების საშუალებით.

ყოფილ საბჭოთა კავშირში საექთნო განათლება ითვლებოდა საექიმო განათლების საწყის ეტაპად. საბჭოური მოდელის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ექთანი ფაქტობრივად ექიმის დამხმარის ფუნქციას ასრულებდა. ექთნები განეკუთვნებოდნენ ე.წ. საშუალო სამედიცინო პერსონალის კატეგორიას. ისინი გარკვეულწილად შეზღუდული იყვნენ დამოუკიდებელი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებასა და საქმიანობაში.

საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის სისტემის რეფორმა ახალ მოთხოვნებს უყენებს საექთნო საქმეს, საექთნო განათლებას. ამიტომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საექთნო სკოლის შექმნა უნდა ჩაითვალოს საქართველოში საექთნო განათლების პროგრესული სისტემის განვითარების ახალ ეტაპად.

ერთი წელიწადია, რაც ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ჯორჯიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლეს საექთნო სკოლასთან. ამ თანამშრომლობის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული ტიპის უმაღლესი საექთნო სკოლის შექმნა. უკვე ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოების დიდი ნაწილი, შედგენილია საექთნო სკოლის პროექტი, სასწავლო გეგმები და პროგრამები.

უმაღლეს საექთნო სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება ორი მიმართულებით:

I. ლიდერი ექთნების მომზადება სპეციალური 4-წლიანი საუნივერსიტეტო პროგრამით.

II. არსებული ექთნების გადამზადება ლიდერ-ექთნებად სპეციალური სასწავლო პროგრამებით.

1997 წლის დასაწყისში თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით იყვნენ აშშ-ში უმაღლესი საექთნო განათლების სპეციფიკის გაცნობის მიზნით. შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამები, მიღწეულ იქნა შეთანხმება საექთნო სკოლის სასწავლო მასალებით (სახელმძღვანელოები, სასწავლო თვალსაჩინოებანი, კომპიუტერული პროგრამები) უზრუნველყოფის შესახებ.

1997 წლის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქმიანი ვიზიტით ეწვია ჯორჯიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექთნო სკოლის დირექტორი ქ-ნი ჯუდით ვოლდი უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. დელეგაციის წევრები შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებს. გაიმართა მოლაპარაკება თბილისის უნივერსიტეტში უმაღლესი საექთნო სკოლის შექმნის თაობაზე. ამერიკელმა კოლეგებმა ქმედითი დახმარება აღუთქვეს თბილისის უნივერსიტეტს ახალი წამოწყების განხორციელებაში. დასახულია ერთობლივი მუშაობის გეგმები.

თბილისისა და ჯორჯიის უნივერსიტეტების წარმომადგენლების, აგრეთვე საქართველოს ექთანთა ასოციაციის წევრების მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამუშაო თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი საექთნო განათლების აქტუალურ საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიდერი ექთნების განათლების საკითხებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ექთანთა ასოციაცია (პრეზიდენტი ლია მამალაძე). ამ ასოციაციის წევრებისა და მათი ამერიკელი კოლეგების აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული მოდელის უმაღლესი საექთნო სკოლის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქვეყანაში საექთნო საქმის განვითარებისათვის.



ქალბატონი ჯუდით ვოლდი (შუაში) თბილისის უნივერსიტეტში გამართული სემინარის მონაწილე ამერიკელ კოლეგებთან — ჯიმ უოლკთან და რებეკა მულისთან.

მასალა მოამზადეს ჯორჯიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექთნო სკოლის დირექტორმა

**ჯუდით ვოლდმა,**

საქართველოს ექთანთა ასოციაციის გამგეობამ,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა

**ალეკო ალადაშვილმა** და **გიორგი დანელიამ.**

## რეცენზია

ორი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ისტორიკოსების ერთმა ჯგუფმა აისრულა სტუდენტური ოცნება და გამოსცა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „არტანუჯის“ პირველი ნომერი, მაშინვე რომ მიიქცია საზოგადოების და სამეცნიერო წრეების ყურადღება.

ჟურნალი რეგულარულად გამოდის. ახლახან მეხუთე ნომერი დაისტამბა.

# მკითხველის ინტერესს იწვევს




ჟურნალის ძირითად ნაწილს შეადგენს სამი მოზრდილი სტატია საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიიდან.

პირველი მათგანი ბაგრატიონთა ერთ-ერთ უმთავრეს შტოს — ბაგრატიონ-მუხრანელების წარმოშობასა და ისტორიას ეძღვნება. უთუოდ კარგ პროფესიულ დონეზე დაწერილ სტატიას მოხდენილად ერთვის მუხრანელთა სრული გენეალოგია (XVI საუკუნიდან დღემდე) და საგვარეულო გერბების ვარიანტები. პუბლიკაცია ეკუთვნის დავით ნინიძეს. გენეალოგიური ტაბულა კი შედგენილია იური ჩიქოვანისა და სოსო ბიჭიკაშვილის მიერ.

ასევე საქართველოს წარსულს შეეხება თორნიკე ასათიანის სადღეისოდ ფრიად აქტუალური და საგულისხმო სტატია — „საქართველოს გერბი“. უხვად დასურათებულ, მიმზიდველ გამოკვლევებში თვალი აქვს გადევნებული საქართველოს სახელმწიფო გერბის ისტორიას მისი დასაბამიდან დღემდე.

დავით ხოშტარიას კულტუროლოგიურ ნაშრომში — „ქალაქი არტანუჯი და მისი სიძველენი“ მოკლედ არის მოთხრობილი ქალაქის ისტორია. ადრინდელი გამოკვლევების გათვალისწინებით, დაწვრილებით აღწერილია ქალაქის ქართული ღირსშესანიშნაობანი, უხვად არის ფოტომასალა და ნახაზები.

მკითხველის ყურადღებას უცილობლად მიიპყრობს ჟურნალ „არტანუჯის“ მეხუთე ნომერში წამოჭრილი ორი პრობლემატური თემა — ბუბა კუდავას და გიორგი კალანდიას — არმაზისხევის მუზეუმის ღლეანდელი სავალალო ყოფა და ინტერვიუ ფონდ „უდაბნოს“ აღმასრულებელ დირექტორთან ბ-ნ ლადო მირიანაშვილთან, რომელიც დავით გარეჯის პრობლემებს, რეალობასა და პერსპექტივებს ეხება.

ამასთანავე აღინიშნება ორი საიუბილეო თარიღიც: ნინო მიწიშვილის მიერ ემოციური სიმძაფრით გადმოცემული კრწანისის ტრაგედიის 200 წლისთავი; გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის — სერგი მესხის დაბადებიდან 150 წლისთავი (ავტორი თემო ჯოჯუა).

ჟურნალში აგრეთვე მოთავსებულია სტატიები: რუბრიკაში საქართველოს ისტორია — მარიამ ზალდასტანიშვილის „მანუილის მოთხრობა აწყურის ხატის შესახებ (დათარიღებისა და ავტორობის საკითხისათვის)“, რუბრიკაში მსოფლიო ისტორია — მერაბ კალანდაძის — „შილერი და ფრონდა“. რუბრიკაში ეთნოლოგია — ქეთევან შოშიაშვილის „მიცვალებულის დატირება-დაკრძალვის რიტუალი ქართველ ებრაელებში (რაჭის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)“.

ჟურნალის ბოლოს, როგორც ყოველთვის, მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია ახალი სამეცნიერო წიგნების შესახებ. აქვეა სახალისო გვერდები შარჟებით, ისტორიული ანეკდოტებითა და ორიგინალურად შესრულებული კროსვორდით.

სადღეისოდ „არტანუჯი“ პრაქტიკულად ერთადერთი სპეციალიზებული პერიოდული ჟურნალია ისტორიის დარგში და გასაგებია, რომ მისი ყოველი ახალი ნომერი მკითხველის ცოცხალ ინტერესს იწვევს.

**თამარ ნაცვლიშვილი,**

ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მე-4 კურსის სტუდენტი.

## ფილიალების გაზეთების ფურცლებზე

# ვიზრუნოთ ბიბლიოთეკის ხვალინდელ დღეზე

ჩვენი უნივერსიტეტის პრობლემათა შორის უპირველესია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შექმნა.

ჩვენი ალმა მატერის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში ვკითხულობთ: „გახსნის დღეს უნივერსიტეტს არც ერთი წიგნი არ გააჩნდა, მაგრამ მალე არა მარტო შეიქმნა, არამედ გიგანტურად გაიზარდა მისი ბიბლიოთეკა, რასაც პირველ რიგში უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პროფესორებს უნდა ვუმადლოდეთ. მათ იზრუნეს სხვადასხვა ლიკვიდირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების უნივერსიტეტისათვის გადმოცემაზე. პატრიოტულ საქმედ იქცა საზოგადოებათა და ცალკეულ პირთა წიგნადი ფონდების გადაცემა უნივერსიტეტისათვის. ამ გზით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მრავალი უნიკალური წიგნი შეიძინა.“ ასე უნდა შეიქმნას ჩვენი, ზუგდიდის ფილიალის, ბიბლიოთეკაც. რამდენადაც ცნობილია ჩემთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩვენს სასწავლებელს 2000 წიგნი აჩუქა. დიდი მადლობა ასეთი თანადგომისათვის. მეც მინდა შევიტანო მცირედი წვლილი ამ დიდ საქმეში — ბიბლიოთეკას ვჩუქნი წიგნებს: ს. ჯორბენაძის „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია“, ლევან სანიკიძის „დედა ისტორია“. ორი ტომი, კონსტანტინე გრიგოლიას „რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება“, სულხან-საბა ორბელიანის „თხზულებანი“, კონსტანტინე სამუშიას „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები“ („მეგრული ტექსტები“), უახლოესი ლიტერატურის ისტორია, „უცხო სიტყვათა ორთოგრაფიული ლექსიკონი“...

ყველას, როგორც ჩვენი მხარის, ისე სრულიად საქართველოს მოქალაქეებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს მოვუწოდებ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენი უნივერსიტეტის მდიდარი წიგნადი ფონდის შექმნაში.

**თამარ დაგარგულია,**

ისტორია-არქეოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.

ზუგდიდის ფილიალის გაზეთი „ორიონი“.

## ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

# ᲥᲔᲗᲠᲘᲜ ᲕᲘᲕᲘᲐᲜᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ



19 მაისს უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ისინი მოვიდნენ ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის ქალბატონ ქეთრინ ვივიანისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომის საზეიმო გადაცემის ცერემონიალზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა მხურვალედ მიულოცა ინგლისელ მეცნიერს ღირსეული აღიარება, გამოაქვეყნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება და გადასცა მას საპატიო დოქტორის დიპლომი.

ქალბატონ ქეთრინის მოღვაწეობაზე ისაუბრეს და ინგლისელ სტუმარს მიესალმნენ პროფესორები ელგუჯა ხინთიბიძე, მზექალა შანიძე, ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ეკა ქუთათელაძე.

ქეთრინ ვივიანმა გულითადი მადლობა მოახსენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორატს და სამეცნიერო საბჭოს ღვაწლის ასეთი დაფასებისათვის.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ინგლისელ ქართველოლოგს ქეთრინ ვივიანს წლეულს ოქტომბერში 80 წელი უსრულდება. დამთავრებული აქვს სორბონის უნივერსიტეტი ფრანგული ცივილიზაციის განხრით. სწავლობდა ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, ფილოსოფიას. ისმენდა პროფესორ დავით ლანგის ქართველოლოგიურ სემინარებს ლონდონის უნივერსიტეტში. თავდაპირველად ჟურნალისტად მუშაობდა. გამოქვეყნებული აქვს ფრანგულიდან ნათარგმნი და საკუთარი ლექსები და პიესები.

1939 წელს დაქორწინდა ანტონი ამტონზე, ჰყავს ორი ქალიშვილი და შვილიშვილები.

60-იანი წლებიდან აქტიურად იკვლევს ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებს. საქართველოსა და მის მწერლობაზე წაკითხული აქვს მოხსენებები პრინსტონში, ბირმინჰემში, ოქსფორდში, კემბრიჯში (ინგლისი), ბარში (იტალია), ტურკუში (ფინეთი) და თბილისში.

ქეთრინ ვივიანმა ინგლისურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ორჯერ გამოიცა („ფოკიო სოსაიეტის“ გამომცემლობაში, ლონდონში, 1977 წელს და „აკოფ პაკერტის“ გამომცემლობაში, ამსტერდამში, 1995 წელს).

როგორც ჩემთან საუბარში თვითონ უთქვამს, „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი აღძვრია მას შემდეგ, რაც გასცნობია ცნობილი ინგლისელი ლიტერატურათმცოდნის მორის ბოურას შესანიშნავ გამოკვლევას რუსთაველის პოემაზე — „აღმაფრენა და პოეზია“. ეს შრომა პირველად 1955 წელს გამოქვეყნდა.

ქეთრინ ვივიანის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი შესრულებულია თავისებური პრინციპით. მთარგმნელი ცდილობს, პოემა შეუხამოს თანამედროვე ინგლისელი საზოგადოების ესთეტიკურ გემოვნებასა და ინტერესს. იგი ნიმუშის სახით პროლოგს თარგმნის ლექსად, დედანთან მაქსიმალური სიზუსტით, პოემის ძირითად ნაწილს წარმოადგენს პროზით, ცდილობს რუსთაველის რთული მეტაფორების გახსნას, ჰიპერბოლების შესრულებას. მთარგმნელი დარწმუნებულია, რომ ამგვარად ინგლისელი მკითხველი უფრო შეიგრძნობს და შეიყვარებს „ვეფხისტყაოსნის“ მაღალ და ესთეტიკურ სამყაროს. ქეთრინ ვივიანის თარგმანი ჩვენში უკვე რამდენჯერმე გახდა მეცნიერული კვლევა-ძიებისა და შესწავლის საგანი. თავის გამოკვლევებში ქეთრინი საინტერესო პარალელებს ავლებს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებსა და რუსთაველის პოემას შორის. საინტერესოა პოემის სტრუქტურის მისეული პარალელები უძველეს ინდურ ეპოსთან — „რამაიანასთან“.

ქალბატონმა ქეთრინმა დიდი სიყვარულით თარგმნა და ინგლისურად გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1983 წელს), კონსტანტინე სალიას მონოგრაფია — „საქართველო“ (1975 წელს), „ქართლის ცხოვრების“ ლაშა-გიორგის პერიოდი (1993 წელს).

ქეთრინ ვივიანი საქართველოს დიდი მეგობარია, იგი გულით ხარობს ქართველთა წარმატებებით, განიცდის ჩვენი ქვეყნის ყოველ წარუმატებლობას.

მე მაქვს წაკითხული მისი საპროტესტო წერილი ინგლისის მთავრობისა და ლონდონის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისადმი 80-იან წლებში ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართველოლოგიური კათედრის გაუქმების გამო.

ორიოდე წლის წინათ უკვე ხანდაზმული ქეთრინ ვივიანი გაემგზავრა თურქეთში ქართული კულტურის დიდი კერების — ხანძთის, ოპიზის, ხახულის და სხვა ძეგლების მოსანახულებლად და სულ ახლახანს მოგვაწოდა შთაბეჭდილებები მოგზაურის ჩანაწერების სახით — „ტაო-კლარჯეთის დაკარგული სამება“, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „ქართველოლოგის“ ბოლო, IV ნომერში.

ქეთრინ ვივიანის ოჯახი, მისი მეუღლე და ქალიშვილები საქართველოს ძნელბედობის დროს არა მხოლოდ მორალური თანადგომით კმაყოფილდებოდნენ.

სწორედ ეს აღინიშნა ქვეყნის პრეზიდენტთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ქალბატონი ქეთრინის შეხვედრის დროს.

ქეთრინ ვივიანისათვის, ამ თავდადებული ქართველოლოგისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება ჩვენგან მისი უაღრესად მნიშვნელოვანი ღვაწლის დაფასებაა.

მე კარგად ვიცი, რა სიამაყით განიცდის ქალბატონი ქეთრინი გაწეული შრომის ესოდენ აღიარებას. შარშან, საკუთარ სამუშაო კაბინეტში საგანგებო ჩარჩოში ჩასმული ქართულად და ინგლისურად დაბეჭდილი პატარა წერილი მაჩვენა. იგი ბატონი ედუარდ შევარდნაძის მილოცვაა ქეთრინ ვივიანისათვის მარჯორი უორდროპის პრემიის მინიჭების გამო.

**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔ,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორი.



# ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ იტყვიან: სტუმარი ღვთისააო და ფართოდ ხსნიან გულის კარებს.

მაგრამ მერე სტუმრებშიც გამოერჩევათ განსაკუთრებით საპატიონი, განსაკუთრებით ახლობელნი და სწორედ რომ საღვთოდ სამასპინძლონი.

როცა ერის საკრალურ განძს, ერის აზროვნების, ფილოსოფიის, მწერლობის მთავარ ძარღვს ისეთივე რიდით და კრძალვით, ისეთივე წვდომით და განცდით უახლოვდება სხვა ერის შვილი, გრძნობის იმავე სიღრმით, აღმაფრენის იმავე ხარისხით, მაშინ შეუძლებელია ნათესავად, სულის მენაწილედ არ მიიღო თუნდაც შორეული მიწის შვილი.

ჩვენი საუნჯე „ვეფხისტყაოსანია“, ჩვენი სტუმარი — ქალბატონი ქეთრინ ვივიანი, ვინც ქართული ლიტერატურის სიმაღლეები ინგლისური ენის შესაძლისით აამეტყველა, ქართულ დიდ სახელს ინგლისურად გაესიტყვა. ეს იყო წინა საუკუნიდან მიღებული დიდი მემკვიდრეობა, გაგრძელება მარჯორი უორდროპის საქართველოსთან ურთიერთობისა.

ქალბატონო ქეთრინ!

დღეს თქვენთვის საქართველო უცხო და უცნობი ქვეყანა არ არის. თქვენ ხომ არაერთხელ ბრძანდებოდით; თან ისე, რომ ყველაზე ეროვნულ, სათუთ და ჩვენი სულის, საქართველოს საკრძალავ სიმებთან მისულიყავით. საქართველო არასოდეს გაგიუცხოვებთ თქვენი სიახლოვისა გამო. ჩვენთვის ეს დიდად საპატიო და სასიხარულოა, იმედი გვაქვს, თქვენთვისაც.

ქალბატონო ქეთრინ!

ჩვენი თაობის ფიქრი და აზრი მადლს შემოგწირავთ დიდი ეროვნული განცდით, დიდი ეროვნული სიამაყით და პატივს მივაგებთ თქვენს ადამიანურ, მწერლურ ღირსებას, თქვენს ლიტერატურულ ღვაწლს და მადლს თქვენი სიტყვისა.

**ᲔᲙᲐ ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქეთრინ ვივიანი; აკადემიკოსი როინ მეტრეველი აქვეყნებს საპატიო დოქტორის დიპლომის ტექსტს.**

## „Ო, ᲔᲜᲐᲕ ᲩᲔᲛᲝ...“

# ᲓᲐᲕᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ „ᲘᲛᲘᲯᲘ“ ᲓᲐ „ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ“?...

ᲜᲐᲡᲮᲔᲜᲔᲑᲘ სიტყვები მეტ-ნაკლები რაოდენობით ყველა ენაში გვხვდება, მათგან სრულიად თავისუფალი ენა არ არსებობს. ასეთ სიტყვებს ქართული ენის ლექსიკურ ფონდშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ საკითხავია, ყოველთვის მართებულად ვხმარობთ თუ არა უცხო სიტყვებს? უცხო სიტყვის ხმარება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ სათანადო ცნების გადმოსაცემად ქართულს საკუთარი სიტყვა არ მოეპოვება, ხოლო ამ ცნების აღმნიშვნელი უცხოური სიტყვა ადვილად გასაგებია იმის წყალობით, რომ მსოფლიოს მრავალ კულტურულ ენაში არის გავრცელებული. ამასთანავე, თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველი სიტყვა და განსაკუთრებით ახალშემოტანილი უნდა ვიხმაროთ სწორი ფორმით და ზუსტი მნიშვნელობით.

თუ თვალს გადავავლებთ ბოლოდროინდელ ქართულ პრესას, დავრწმუნდებით, რომ უცხოურ ლექსიკურ ერთეულთა ხმარებისას ზემოხსენებული პირობები ხშირად არ არის დაცული. კერძოდ, ჩვენს გაზეთებში ერთგვარი მოდის აყოლის შედეგად გაჩნდა ისეთი უცხო სიტყვები, რომელთა ქართულად გადმოცემა თავისუფლად შეიძლება. ასეთია, მაგალითად, ინგლისური სიტყვა „იმიჯი“. „თქვენ საკმაოდ აქტიური პოლიტიკოსის იმიჯი გაქვთ საზოგადოებაში“, „...იგი მას უქმნის ისეთ მორალურ ფონს და საზოგადოებრივ იმიჯს, რომ მერე ნებისმიერი საბაბით პრობლემას აღარ წარმოადგენს ამ ადამიანის დაკავება“.

სიტყვა „იმიჯი“ ახლადგამოცემული ჟურნალის სახელადაც მოგვევლინა. ჟურნალი ორენოვანია, ქართულ-ინგლისური და გარეკანზე სახელწოდება ორივე ენაზეა წარმოდგენილი. „იმიჯი“ ხშირად რადიოდან და ტელეეკრანიდანაც გაისმის.

ამ ინგლისური სიტყვის ყველა მნიშვნელობას ქართული ზედმიწევნით გადმოსცემს. ამის დასადასტურებლად სალექსიკონო მასალას მოვიხმობთ: **image** ინგლისური სახელის და ზმნის ფუნქციებით იხმარება. მისი მნიშვნელობებია: სახე, გამოსახულება, გამოხატულება, ანარეკლი (სარკეში); მსგავსება; გამოსახვა; წარმოსახვა; სახის შექმნა, წარმოქმნა; წარმოდგენის შექმნა და სხვ.

ახლა ორიოდე სიტყვა „მედიას“ შესახებ.

ბოლო დროს ქართულ პრესაში მასობრივ საშუალებათა (გაზეთი, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია), აღსანიშნავად ინგლისური „მასმედია“ (**massmedia**) იხმარება. უფრო მეტიც, ხშირად მხოლოდ „მედიას“ იყენებენ: „ქინქლაძემ საუცხოო ავანსები მიიღო ინგლისური მედიისგან“; „ამ ურყევ რწმენას ინგლისური მედია თუ შიმტკიცებდა...“

ჩვენი აზრით, „მასმედიას“ სჯობია ვიხმაროთ მისი ქართული შესატყვისი, ყველასათვის გასაგები „საინფორმაციო საშუალებანი“ ან „მასობრივი საშუალებანი“, მაგრამ თუ „მასმედიას“ ხმარებას ასე თუ ისე რაიმე გამართლება აქვს, მისი შემოკლება და „მედიას“ ფორმით ხმარება უკვე ყოვლად გაუმართლებელია.



იქნებ არ ღირდეს ჩვენს მეტყველებაში იმ უცხო სიტყვათა დამკვიდრება, რომელთა ბადალი ჩვენს მშობლიურ ენას მოეპოვება.

რუბრიკას უძღვება ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი
**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲥᲣᲠᲓᲐᲫᲔ**

საქართველოს რესპუბლიკა
№130, შაბათი, 7 ივნისი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა

# დაგვიანებული რეკვიემი

„აი, ვინ არის კაი ყმა,
მოსაგონარი ქებათა“
ვაჟა-ფშაველა.

ბახტრიონზე, ერთ პატარა ოთახში, დედის შეუშრალი ცრემლით სველ სურათთან ობოლ ყოჩივარდებს აფენენ მეგობრები.

მეოთხე წელიწადია, ცოცხალთა შორის აღარ არის ვაჟა სიჭინავა, პოეტის თქმისა არ იყოს, მარად 21 წლის ჭაბუკად რომ დარჩენილა.

„ქვეყნის სიყვარული მარტო წიგნში კი არ უნდა ამოიკითხო“, ნაუწერია ბავშვობისას დღიურში და როცა ქვეყნისათვის ზრუნვის წლებმა მოაკითხა, მამულის მეჭირისუფლედ იქცა.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამცველთა შორის ისიც იყო;

1988 წლის ნოემბერში ალალმართალ ქართველ ახალგაზრდა მომშიმშილეთა შორის ისიც იყო;

1989 წლის 9 აპრილის ღამეს ისიც აღუდგა წინ დამრბევთა ტანკებს და ნიჩბებს;

შემდეგ – ომი აფხაზეთში...

იმ დროს ვაჟა სიჭინავა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსზე სწავლობდა.

სტრიქონები დახასიათებიდან: „მეტად განათლებული იყო, იცოდა რამდენიმე უცხო ენა. თბილი, მოსიყვარულე, შესანიშნავი სპორტსმენი...“

დიახ, 1991 წელს ეგეოსის ზღვაზე ჩატარებულ „ეგეოსის ზღვის“ რეგატაში პირველად საქართველოს სახელით მან და მისმა მეგობრებმა მიიღეს მონაწილეობა და მესამე ადგილიც დაისაკუთრეს.

–ვაჟა ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გაემგზავროს. ბილეთი აღებული აქვს, მოულოდნელად უკან აბრუნებს მას.



ეს იყო 1993 წლის 25 აპრილს.

დედას, ქალბატონ ნატას, განსაკუთრებულად ახსოვს ეს დღე. მაშინ შვილმა, თავის ცხოვრებაში პირველად ხმამაღლა და რატომღაც სევდიანად უთხრა: „რა ლამაზი ხარ, დედა, დღეს ყველაზე ლამაზი ხარ!“ რას იფიქრებდა დედა, თუ მისი ვაჟიკო ამ სიტყვებით სამუდამოდ ემშვიდობებოდა და მეორე დღეს სოხუმიდან დაურეკავდა: „მე მალე ჩამოვალ, დედა!“ ეს იყო ბოლო სიტყვები, შვილისგან რომ გაიგონა...

ვაჟა სიჭინავა სწრაფი რეაგირების ჯგუფში – „იუპიტერში“ ჩაეწერა.

„იუპიტერის“ მეთაური კონსტანტინე ჯლამაია იხსენებს: „თუმცა ყველაზე ახალგაზრდა იყო, გამოირჩეოდა სიდინჯით, მამაცობით და გამბედაობით“.

ერთ-ერთი დავალების შესრულების შემდეგ ბანაკში ბრუნდებოდნენ. თითოეულს საკმაო ტვირთი მოჰქონდა. ვაჟამ თავისი მეგობრის ტვირთიც მოიკიდა. მდინარე გუმისთაზე გადმოსვლისას წყალმა გაიტაცა და... აი, ბედის ირონია: ვაჟა სიჭინავა ხომ აფროსანი იყო და გაგიჟებულ ტალღებთან ბრძოლაში რამდენჯერმე გაუმარჯვია, უკანასკნელ შერკინებაში კი პატარა მდინარემ სძლია.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სიკვდილის შემდეგ ვაჟა სიჭინავა გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ქალბატონმა ნატამ მხოლოდ შვილის დაკარგვის შემდეგ გაიგო, თუ რამდენი მეგობარი ჰყოლია მის ბიჭს 54-ე საშუალო სკოლაში, თბილისის უნივერსიტეტში, საერთოდ, საქართველოში.

„ჩემი ვაჟიკო ვაჟკაცი იყო“, – მერამდენედ იმეორებს თვალცრემლიანი და მის თანატოლთაგან მოტანილ გაზაფხულის ყვავილებს აფენს შვილის სურათთან.

**ლელა გაბრიელაშვილი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი.

***რედაქტორის მინაწერი:*** ***აფხაზეთში დაღუპულ უნივერსიტეტელთა ხსოვნას 1994 წელს მიეძღვნა წიგნი — „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“.***

***ბოლოთქმაში ვწერდით: „საბურთალოს პანთეონი (და არა მარტო ის) აუვსია პირტიტველა ბიჭების სურათების ტყეს. აქ მარადიული ძილით სძინავთ მათ, ვინც სამშობლოს თავი შესწირეს. მიწაშია ჩვენი იმედისა და მომავლის ნაწილი. „ფრიადოსანთა სასაფლაო“, — ასე დაერქვა ამ ადგილს. თუ რატომ, — ამ წიგნის წაკითხვისას იგრძნობდით.“***

***სამწუხაროდ, „ფრიადოსანთა სასაფლაოს ბინადარი“ ვაჟა სიჭინავა ამ წიგნში გამორჩენილია. დღევანდელი გახსენება მისი ხსოვნის დაგვიანებული რეკვიემია.***

მეგობრობის მერიდიანი



# ინგლისელ მეცნიერთა სემინარზე

მეორე წელიწადია უნივერსიტეტში არსებობს ქართული ქრისტიანული კულტურის და სიტყვიერების კათედრა (გამგე პროფესორი რევაზ სირაძე), რომელმაც ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა.

სწორედ ამ კათედრის ინიციატივით 19-21 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ლექცია-სემინარი თემაზე – რელიგია და ხელოვნება, რელიგია და მეცნიერება.

სემინარი გახსნა და უცხოელ სტუმრებს მიესალმა თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

ოქსფორდის ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსმა ბატონმა რიჩარდ პარისმა წაიკითხა ორი ლექცია – „ხელოვნება და ღვთიური მშვენება“, და „ქრისტეს ენებანი დასავლურ ხელოვნებაში“. ლექციებს მეტი ელფერი შესძინა ფოტო-სლაიდების სინქრონულმა ჩვენებამ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორმა არტურ პიკოკმა ისაუბრა რელიგიისა და მეცნიერების დამოკიდებულებაზე, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, მანვე წაიკითხა ლექციები თემაზე – „დარვინიზმი და ღვთიურობა“ და „ქრისტიანული ჭეშმარიტების ძიებაში“.

გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნული ლექციების მოსმენის შემდეგ მსმენელებს უამრავი შეკითხვა და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის სურვილი დაუბადათ. დასასრულ, 21 მაისს გაიმართა სხდომა, რომელზეც ბატონებმა რიჩარდ პარისმა და არტურ პიკოკმა პასუხი გასცეს მრავალრიცხოვან შეკითხვას.

**სურათზე:** ბატონები არტურ პიკოკი და რიჩარდ პარისი მეუღლეებთან ერთად.

პრემიერა

# „ჩიტების ბაზარი“ ფეხბედნიერი აღმოჩნდა

უნივერსიტეტი არა მარტო დაძაბული მეცნიერული ცხოვრებით ცხოვრობს, არამედ ყოველნაირად უწყობს ხელს თავისი სტუდენტების ხელოვნების სხვადასხვა დარგთან კავშირს. ამჟამადაც უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ (დეკანი ბ. ბექუაშვილი, დეკანის მოადგილე თ. თუთაშვილი) ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში კვლავ შექმნილიყო თვითშემოქმედების ახალი კერა – სახალხო თეატრი, სადაც მთელი პრაქტიკულ-რეჟისორული მუშაობა ითავა გამოცდილმა რეჟისორმა თამაზ მესხმა. მან დიდი შრომა, მთელი თავისი რეჟისორული და პედაგოგიური ნიჭი მოახმარა ახალგაზრდების მომზადებას. შეიძლება ითქვას, ნულიდან დაიწყო ეს საქმე. წარმოდგენის მონაწილეებს ხელოვნების ანბანს, სცენაზე სიარულსაც კი ასწავლიდა. გასახარია, რომ მას ახალგაზრდა ენთუზიასტებმა გაუმართლეს.

შემოქმედებითმა ჯგუფმა დასადგმელად აირჩია გამოჩენილი მწერლისა და დრამატურგის თამაზ ჭილაძის პიესა „ჩიტების ბაზარი“, რომელიც თანამედროვე ადამიანთა შინაგან სამყაროს, მათ განცდებს ემყარება; წარმოგვიჩენს იმ რთულ და კონფლიქტებით აღსავსე სინამდვილეს, რომელიც ჩვენს ირგვლივაა, იმ „ჩიტების ბაზარს“, რომელშიც ვცხოვრობთ.

პიესისეული შინაგანი კონფლიქტების, ხასიათთა დაპირისპირებების დაფარული ახალი თვისებები წარმოაჩინეს რეჟისორებმა – თამაზ და ლაშა მესხებმა, მხატვარმა ლ. მესხიძემ, კომპოზიტორმა რ. სებისკვერაძემ, მეტყველების პედაგოგმა ნ. კობაიძემ. მათ ყველაფერი გააკეთეს, ძალღონე არ დაიშურეს, რათა კეთილი, კარგი საქმისათვის ჩაეყარათ საფუძველი.

წარმოდგენაში სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს ლადოსა და ცეცას როლების შემსრულებლებმა პაატა სოზუაშვილმა და ნანა მონიავამ. ახალგაზრდებს, რომელთაც ხანდაზმულ ადამიანთა სახეების განხორციელება მოუწიათ, ცხადია, გაუძნელდებოდათ ასაკობრივი ბარიერის გადალახვა. რეჟისორისა და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არც ცდილან „ასაკის თამაშს“. ისინი ცდილობდნენ ხასიათების, გმირთა ურთიერთობების სიმართლით გახსნას და მიზანსაც მიაღწიეს. ლადო – პ. სოზუაშვილი სიძნელეების გადალახვაში დაღლილი, ნაომარი ადამიანია, მაგრამ კეთილი და უკონფლიქტოა, რომელიც მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებობს. სოზუაშვილის ყოველი ჟესტი, ინტონაცია სწორედ ამ განწყობას გადმოგვცემს. ნ. მონიავას ცეცა კი იმპულსურია, ხშირად ეცვლება განწყობა, მსახიობი კარგად გადმოგვცემს მოულოდნელ გადასვლებს მის განწყობილებაში – ხან გაღიზიანებული, გაბრაზებულია, ხან კი მიმტევებელი, კეთილი, მოსიყვარულე, განსაკუთრებით, სულიერად ავადმყოფ ბიჭთან – თეზიკოსთან ურთიერთობაში.



თ. ჭილაძის პიესა ძირითადად ახალგაზრდობას, მათ რთულ ურთიერთობებს ეხება. ძალდაუტანებლად, გულწრფელად თამაშობს თათუს მ. ცხოვრებაშვილი. იგი დამაჯერებლად გადმოგვცემს ახალგაზრდა ქალის ხასიათის გარდაქმნას.

თავისებური, განსხვავებული ხასიათებია კოკა (დ. კვეზერელი) და ნინო (თ. ლოლაძე). მათ შორის რთული ურთიერთობებია, ტკივილით სავსე, გაცრუებული იმედებით აღსავსე განწყობილებები. კოკა – კვეზერელი გრძნობს, რომ ნინოსადმი სიყვარული ამოწურულია, რომ ნინო ის ადამიანი არ არის, ვინც მას ჰგონია, აღარც ნინოს უყვარს კოკა. მწარეა და მტკივნეული მათი განშორება. შემსრულებლები დამაჯერებელნი არიან.

საკმაოდ რთული, გაურკვევლობაში მყოფი პიროვნებაა ე. ხანდოლიშვილის სოფო, რომელსაც ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული ურთიერთობანი ქმართან და კოკასთან, ვერ დაუდგენია, როგორ უნდა ააწყოს თავისი ცხოვრება მომავალში. სცენაზე ის უფრო ხშირად დუმს, მაგრამ მისი დუმილი შინაგანი განცდითაა დატვირთული. მხოლოდ კოკასთან დიალოგში გადმოიფრქვევა გმირის შინაგანი დაბნეულობა, შიში, ფსიქოლოგიური არამდგრადობა.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ დაჩი დარჩიას თეზიკო. შინაგანი გულწრფელობა, უშუალობა ახასიათებს მსახიობის თამაშს. არ ვიცი, რა გამოვა მისგან მომავალში, მაგრამ ამ ახალგაზრდას ჭეშმარიტი ხელოვანის მონაცემები აქვს. მისი გულწრფელობა, სცენური მიმზიდველობა მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს. მის მიერ განხორციელებული სახე სპექტაკლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სცენური მონაპოვარია.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს მალვა მოლოდინაშვილის (ნიკო) უნაკლო შესრულება – ცოცხალი ურთიერთობა პარტნიორთან, მოცემულ სცენურ პირობებში მართალი სიტყვის მოტანა და მაყურებლის დამოკიდებულების შეგრძნება.

„ჩიტების ბაზარი“ უნივერსიტეტის ახალგაზრდობის შესრულებით ნამდვილი მიღწევაა. რასაკვირველია, ახალგაზრდების თამაშს აკლია ოსტატობა, გამოცდილება, მაგრამ, სამაგიეროდ, გულწრფელნი და მართალნი არიან, რაც ყოველთვის ძვირფასია ხელოვნებაში.

ვუსურვოთ ახალ თეატრს, მის შემქმნელებს წინსვლა და შემოქმედებითი დაოსტატება! ბედნიერი იყოს მათი სავალი გზა!

**ნადია შალუტაშვილი,**
პროფესორი.

*სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.*

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1997-1998 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

ფილოლოგიის ფაკულტეტი: სპეციალობები: „ქართული ენა და ლიტერატურა", „ჟურნალისტიკა".

ამ სპეციალობებზე აბიტურიენტები მისაღებ გამოცდას აბარებენ შემდეგ დისციპლინებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).



ისტორიის ფაკულტეტი — „ისტორია": ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), უცხო ენა (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

იურიდიული ფაკულტეტი — „სამართალმცოდნეობა": ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), სამართალმცოდნეობა (ზეპირი).

ეკონომიკის ფაკულტეტი — „ფინანსები და საბანკო საქმე", „აგრობიზნესი": მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები": მათემატიკა (წერა), უცხო ენა (ზეპირი, გარდა რუსულისა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

პედაგოგიკის ფაკულტეტი — „დაწყებითი განათლება, პედაგოგიკა და მეთოდიკა": ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

„სამუსიკო პედაგოგიური" — ინსტრუმენტი (ფორტეპიანო), მუსიკის თეორია, საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

„საექსკურსიო — ტურისტული საქმე" — საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტი — „მათემატიკა-ასტრონომია", „მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები": მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი — „ხის, ლითონის, ქვის და სხვა მასალათა მხატვრული დამუშავება-რესტავრაცია": ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

„მოდელირება": ხატვა, ფერწერა (ნატურმორტი (აკვარელი, გუაში, ზეთი), სპეც. კომპოზიცია, საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

უცხო ენათა ფაკულტეტი — „ქართული ენა და ლიტერატურა — ინგლისური", „ქართული ენა და ლიტერატურა — გერმანული", „ქართული ენა და ლიტერატურა — ბერძნული", „ქართული ენა და ლიტერატურა — რუსული ენა და ლიტერატურა", „თურქული ენა და ლიტერატურა", „სომხური ენა და ლიტერატურა": ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი).

შენიშვნა:

1. მისაღები გამოცდები ცალკეულ სპეციალობებში ჩატარდება განცხადებაში დასახელებული თანამიმდევრობით.

2. „მათემატიკა-ასტრონომიის" და „მენეჯმენტის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე" აბიტურიენტები, რომლებიც პირველ გამოცდაზე — მათემატიკა წერაში მიიღებენ „9" ან „10" შეფასებას და ატესტატში ამ სპეციალობებზე ჩასაბარებელ საგნებში არა აქვთ „4"-ზე ნაკლები შეფასება, ჩაირიცხებიან პირველი გამოცდის შედეგით და გათავისუფლდებიან სხვა გამოცდების ჩაბარებისაგან.

3. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა ჩატარდება:

ა) ყველა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ბილეთების (საკითხების) წესით. ე. ი. თითოეულ აბიტურიენტს ეძლევა წერით გამოცდაზე ინდივიდუალური ბილეთი, სადაც შეტანილი იქნება სამი საკითხი; ერთი, ამა თუ იმ ნაწარმოების, ან მისი ცალკეული ეპიზოდის შინაარსი; მეორე, რომელიმე ნაწარმოების, მისი ერთ-ერთი ნაწილის ან მოტივის განხილვა, ან კიდევ პერსონაჟის დახასიათება და ა. შ. მესამე, დაახლოებით ათი-თორმეტი სტრიქონიანი მოცულობის ტექსტი, რომელშიც იქნება დაშვებული ენობრივი შეცდომები. აბიტურიენტმა უნდა გაასწოროს იგი ქართულ ენაში საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის საფუძველზე.

ბ) საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე კი აბიტურიენტებს მიეცემათ ორი პროგრამული თემა (ნაწარმოების, ან მისი ნაწილის შინაარსი, ერთი — განხილვა, ან პერსონაჟის დახასიათება). აბიტურიენტი საწერად ირჩევს ერთ-ერთ მათგანს.

4. აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა და სურთ უნივერსიტეტში სწავლა განაგრძონ ქართულ სექტორზე, გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ:

ა) ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე (გარდა იურიდიული სპეციალობისა) — გამოცდას აბარებენ ქართული სკოლის პროგრამით.

ბ) სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე შემსვლელნი ჯერ მიიღებენ ქართულ ენაში (წერა — წაკითხულის შინაარსი) ჩათვლას, ხოლო შემდეგ აბარებენ წერით გამოცდას რუსულ ენასა და ლიტერატურაში, სადაც ისეთივე მოთხოვნები წაეყენებათ, როგორც ჰუმანიტარული პროფილის რუსულ განყოფილებებზე ჩამბარებლებს.

გ) საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე — წაკითხულის შინაარსი.

დ) „რუსული ენა და ლიტერატურა" — „ქართული ენა და ლიტერატურის" სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ:

ა. ქართულსკოლადამთავრებულთათვის: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

ბ. არაქართულსკოლადამთავრებულთათვის: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა — წაკითხულის შინაარსი).

## უნივერსიტეტში მიღების წესების შესაბამისად:

1. სტუდენტებად მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები, ასაკის შეუზღუდავად, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩარიცხვისათვის საჭირო პირობებს.

2. უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

3. აბიტურიენტმა განცხადებას, მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ, თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);

ბ) ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4);

პასპორტისა და სამხედრო ბილეთის, ან სამხედრო მიწერის მოწმობის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისას, ხოლო გამოცდებზე გასვლის დროს პასპორტისა და საგამოცდო ფურცლისა.

4. განცხადებები მიიღება ფილიალის მიმღები კომისიის სამდივნოს მიერ 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდე.

5. არაქართულსკოლადამთავრებულმა აბიტურიენტებმა, რომლებიც შედიან სამართლისმცოდნეობის სპეციალობაზე, საბუთები უნდა შეიტანონ 16 ივლისის ჩათვლით, 17 ივლისს მათ ჩაუტარდებათ ჩათვლა ქართულ ენაში. (წერა — წაკითხულის შინაარსი).

6. მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურეობისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს 7 ლარი. აბიტურიენტებს შემოტანილი თანხა უკან არ უბრუნდებათ.

7. გამოცდებზე აბიტურიენტთა პასუხის შეფასება იწარმოებს ათბალიანი სისტემით. 6-ზე ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება გამოცდებიდან.

8. უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.

9. მისაღები გამოცდები ჩატარდება 22 ივლისიდან 5 აგვისტომდე (ჩათვლით), ჩარიცხვები დამთავრდება 7 აგვისტოს.

## ფასიანი სწავლება

### დასწრებული სწავლების ფორმა

დასწრებული სწავლების ფორმაზე მიღება იქნება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე.

დასახელებული სპეციალობების გარდა, დასწრებული სწავლების ფორმაზე მიღება იქნება, აგრეთვე შემდეგ სპეციალობებზე:

ეკონომიკის ფაკულტეტი — „საბაჟო საქმის ორგანიზაცია-მართვა", „რევიზია, კონტროლი, აუდიტი".



### დაუსწრებელი სწავლების ფორმა

ისტორიის ფაკულტეტი. სპეციალობა — „ისტორია".

ფილოლოგიის ფაკულტეტი — „ქართული ენა და ლიტერატურა", „ჟურნალისტიკა".

იურიდიული ფაკულტეტი — „სამართალმცოდნეობა".

ეკონომიკის ფაკულტეტი — „ფინანსები და საბანკო საქმე", „აგრობიზნესი".

პედაგოგიკის ფაკულტეტი — „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა".

ფასიანი სწავლების განყოფილებაზე შემსვლელი აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ ტესტირებულ გამოცდას იმავე საგნებში, რომლებიც ბარდება ამ სპეციალობებზე.

ფასიანი სწავლების ფორმაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: ფასიანი სწავლების ფორმაზე კონტინგენტის 50 პროცენტზე ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, რომლებმაც უფასო სწავლების ფორმაზე მისაღებ გამოცდებზე ყველა საგანში მიიღეს დადებითი შეფასება, მაგრამ კონკურსში ვერ გავიდნენ, ისინი ჩაირიცხებიან დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით საკუთარი განცხადებისა და სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე მათ მიერ არჩეულ, ან მონათესავე სპეციალობაზე.

კონტინგენტის დარჩენილ 50 პროცენტზე ჩატარდება კონკურსი.

განცხადებები მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება ეტაპობრივად: 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ყოველდღე გარდა (კვირისა) 10 სთ.-დან 16 სთ-მდე და 4 აგვისტოდან 7 აგვისტომდე ყოველდღე 10 სთ-დან 16 სთ-მდე. განცხადებას თან უნდა დაურთონ იგივე დოკუმენტები, რაც გათვალისწინებულია უფასო სწავლებაზე.

ტესტირებული გამოცდა ჩატარდება 8 აგვისტოს. ჩარიცხვები დამთავრდება 10 აგვისტოს.

ბრძანება აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ დაიწერება მათ მიერ სწავლის პირველი წლის საფასურის გადახდის შემდეგ, არაუგვიანეს 6 სექტემბრამდე. დაუსწრებელ სწავლებაზე — 20 სექტემბრამდე.

აბიტურიენტებს შეუძლიათ სწავლის ოთხივე წლის საფასურის ერთად გადახდა. ამ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის კონიუნქტურის გათვალისწინებით სწავლის გადასახადის მოსალოდნელი მომატებისას, აბიტურიენტი გადაიხდის მხოლოდ მომატებული თანხის 50 პროცენტს.

### ღია კარის დღე ჩატარდება 22 ივნისს.

*ფილიალის სააქტო დარბაზში 11 საათზე.*

*ჩვენი მისამართია: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №91.*

*თსუ ახალციხის ფილიალი: 2-12-19, 2-19-90.*

თსუ ახალციხის ფილიალის მიმღები კომისია.

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 ივნისს ჩატარდება ღია კარის დღე: უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ველოდებით 10 საათზე ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, ხოლო 13 საათზე — საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე შემსვლელ აბიტურიენტებს.***

***მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.***

სარედაქციო კოლეგია:
ნანული ბარათაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ლევან ვეფხვაძე, გივი შეყილაძე (რედაქტორი), თეიმურაზ ხუროძე.

რეგიონი

# სიმღერით განვლილი ათი წელი

ახლახან თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ვაქთა ფოლკლორული ანსამბლ „წინანდლის“ ათი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. თუმცა ათი წელი სასიმღერო კოლექტივისათვის საყმაწვილო ასაკია, „წინანდალმა“ მრავალი თაყვანისმცემელი გაიჩინა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ ანსამბლის ძირითადი ბირთვი უცვლელია. ეს გასაგებიც არის, მისი წევრები ხომ ქართული ხალხური სიმღერის სიყვარულმა გააერთიანა, სიყვარული კი დროსაც უძლებს, გაჭირვებასაც. ანსამბლის ჩამოყალიბებაში, მის წევრთა ოსტატობის სრულყოფაში დიდი დამსახურება მიუძღვის „წინანდლის“ უცვლელ ლოტბარს ლევან აბაშიძეს.

ანსამბლის პირველ ნაბიჯებზე, განვლილ წლებზე ვრცლად ისაუბრეს ქართული ხალხური მუსიკის ცნობილმა მოამაგეებმა კუკური ჭოხონელიძემ, ანზორ ერქომაიშვილმა, გომარ სიხარულიძემ, „წინანდლელ ბიჭებს“ ღირსსახსოვარი თარიღი მიულოცეს და ფასიანი საჩუქრები გადასცეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსმა დავით სალარიძემ, გურჯაანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ბიძინა სონღულაშვილმა, თელავის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ნანა სოზაშვილმა, ახმეტისა და თელავის რაიონების კულტურის განყოფილებათა გამგეებმა ლეილა ლეგაშვილმა და ჯუმბერ დარჩაიშვილმა და სხვებმა.

და, რა თქმა უნდა, იყო სიმღერა. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს „წინანდალს“, „რუსთავს“, „გურჯაანს“, „ქალგულოს“, თამარ ჭოხონელიძეს და სცენის დებიუტანტს ზაქრო რაზმაძეს.

# ბიბერახი – თელავი: მეგობრობის ათი წელი

17-24 მაისს თელავში გერმანიის ქალაქ ბიბერახის წარმომადგენლობითი დელეგაცია იმყოფებოდა. ამჯერად მეგობართა სტუმრობა პარტნიორულ ურთიერთობათა ათი წლისთავს მიეძღვნა. სათქმელი და გასახსენებელი მართლაც ბევრია. განვლილი დროის მანძილზე ათობით ოჯახი დაუმეგობრდა ერთმანეთს, სისტემატური ხასიათი მიიღო შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლამ, როგორც ოფიციალურ შეხვედრაზე აღინიშნა, ფასდაუდებელია ის დახმარება, რომელსაც გერმანელი მეგობრები უწევდნენ თელაველებს განსაკუთრებით გაჭირვებულ წლებში. დახმარება ამჟამადაც გრძელდება. ბიბერახის ობერბურგომისტრის მოადგილემ ბატონმა ლოტმა თელავის მერიას გადასცა 10 ათასი გერმანული მარკა. ფულადი დახმარება გადაეცა ასევე ქალაქის მესამე საშუალო და გერმანულ სკოლებს.

ათდღიანი პროგრამა გადატვირთული იყო შეხვედრებით თეატრალურ კოლექტივთან, მხატვრებთან, მოცეკვავეებთან და მომღერლებთან. ათი წლის მეგობრობის ერთგვარმა შემაჯამებელმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ მეგობრობა ორ ქალაქს, ორ ხალხს შორის ღრმავდება და სამომავლოდ მრავალ სიკეთეს გვპირდება. ახლა მთავარია, ურთიერთობა საქმიანი კონტაქტებისათვის გამოვიყენოთ.

ზურაბ არსენიშვილი
„სრ“ საკ. კორ.

# ვულოცავთ!
## მიხეილ ცხადაია 85 წლისაა

თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ისტორიაში არიან ადამიანები, რომლებმაც საქართველოში თვითმფრინავთმშენებლობის დარგის დაფუძნებასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ერთ-ერთი ასეთია გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე მიხეილ ცხადაია.

საავიაციო საწარმოში იგი 56 წელია მუშაობს. აქედან 40 წლის მანძილზე ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ მიმართულებას ხელმძღვანელობს. დიდი გამოცდილებისა და მეწარმის უნიკალური ნიჭის წყალობით მისი სახელი დიდი ხანია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს.

დღეს ბატონ მიხეილ ცხადაიას 85 წელი უსრულდება, მაგრამ იგი კვლავაც ახალგაზრდული შემართებით და უნარიანად ხელმძღვანელობს რთულ საქმეს.

ახალ წარმატებებს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ ამაგდარ ადამიანს!

თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანების დირექცია.

# ყველაზე გრძელი და ყველაზე დაბალი





46 წლის ინდოელ რამ სინგჰ ჩაუხანს მსოფლიოში ყველაზე გრძელი ულვაში აქვს, რომლის სიგრძე 196 სმ-ია. იზრდიდა 1970 წლიდან.

24 წლის იორდანელი იუნის ალედვანი ყველაზე დაბალია და მისი სიმაღლე 65 სმ-ია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა გარდაბნის რაიონის სასამართლოს მოსამართლე

ოლეგ ნიკოლოზის ძე კორკოტაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ფიქრია, ლერი მორგოშიები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მიმოზა და რევეტი ბულისკირიებს შვილის

დათოს

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

## ხსოვნა

### ოლეგ კორკოტაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა გარდაბნის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლე ოლეგ ნიკოლოზის ძე კორკოტაძე. ქართველ იურისტთა რიგებს ნაადრევად გამოაკლდა სრულიად ახალგაზრდა კაცი, ენერგიით აღსავსე, პატიოსანი, პრინციპული და ღირსეული მოქალაქე.

დაიბადა 1959 წელს. 1987 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ო. კორკოტაძემ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მთლიანად საზოგადოებრივ საქმიანობასა და ოჯახს მოახმარა. მან შრომითი საქმიანობა სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო. ჯერ მუშად, შემდეგ მძღოლად, გაწვეული იყო საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1984 წლიდან მუშაობა დაიწყო სპეციალობით ჯერ შინაგან საქმეთა ორგანოებში, შემდეგ გარდაბნის რაიონის რაიკომში, აღმასკომსა და პრეფექტურაში. 1993 წელს დაინიშნა გარდაბნის რაიონის მოსამართლედ.

ყველგან, სადაც მას მოუხდა მუშაობა, სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან ო. კორკოტაძე, რომელიც ნამდვილად დააკლდება ყველას, ვინც კი ახლოს იცნობდა, უპირველესად თავის ოჯახს, მეუღლესა და შვილებს, ვისთვისაც მხოლოდ მარადიულ და მოურჩენელ ტკივილად დარჩება დღეიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

## გახსენება

### მურთაზ კვინიკაძე



დიდია დანაკლისი შენი ჩვენგან წასვლით. როგორ გვაკლიხარ მურთაზ. ჩვეული როხროხით გვეტყოდი ხოლმე, უმეგობროდ ერთი დღე არ მაცოცხლოსო. ახლა შენ ჩვენთან აღარა ხარ, მაგრამ ცალ-ცალკე გაკითხავთ საფლავზე და შენს მოსაფერებელ სიტყვებს ვამბობთ. აგერ უკვე ერთი წელიწადი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, და შენს საფლავთან უამრავი ხალხი იყრის თავს. რა ნუგეში უნდა ვუთხრათ შენს მშობლებს, მეუღლეს, შვილებს და ახლობლებს, როცა ძნელია შენზე საუბარი.

დიდი სიხარული განვიცადეთ შენმა მეგობრებმა და კოლეგებმა, როცა შენი კანდიდატურა საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელობამ კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის დასაჯილდოებლად წარადგინა. ქვეყნის ხელისუფლებამ ჩვენთვის საამაყოდ, სხვებთან ერთად შენი შრომაც დააფასა და ღირსების ორდენით დაგაჯილდოვა, ღირსეულო კაცო. მაგრამ შენ მოელენებს დაასწარი და ყველასგან გასაოცრად მოულოდნელად წახვედი ღმერთთან. ამბობენ, ღმერთთან ღმერთის კაცი მიდისო და შენც იმ ქვეყნად იროხროხე, ჩვენო მეგობრობის და ძმობის მატარებელო მურთაზ. შენი განუმეორებელი სიცილი, სითბო და სიყვარული ნამდვილად ყველას გვაკლია. დაე, ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო.

მეგობრები.

---

### თეა ბერიძე



ის დღეც მოვიდა, ადრე ჩვენთვის დიდი სიხარული რომ მოჰქონდა, – შენი დაბადების დღე – 7 ივნისი. დღეს იგი დიდი ტკივილით, მონატრებითა და ცრემლებით გათენდება, მიჭირს და მიმძიმს უშენობა, თეა, მიჭირს შენი გულმოკლული ახლობლების ყურება, უსაშველო ტკივილი, დარდი და სიყვარული დაგვიტოვე. შენ დავიწყება არ გიწერია, თეა.

მე კი ისღა დამრჩენია, ვილოცო შენი ლამაზი სულისათვის და იმ ბედნიერი დღის მოლოდინით ვიცოცხლო, როცა ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს.

შენი თამო.

ქ. თბილისის პროკურატურის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სამგორის რაიონის პროკურორს ვაჟა აბაკელიას ბებიის

ვერა ანდრიას ასულ ფაშტიანი-ჯვებენავას

გარდაცვალების გამო.

---

სამგორის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ პროკურორს ვაჟა აბაკელიას ბებიის

ვერა ანდრიას ასულ ფაშტიანი-ჯვებენავას

გარდაცვალების გამო.

---

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის რაიონული განყოფილების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე რაიონის პროკურორს, ვაჟა აბაკელიას ბებიის

ვერა ანდრიას ასულ ფაშტიანი-ჯვებენავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორები: ანზორ ბასილაია, ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.